ნიაღვარი თბილისში A2

ევროსასამართლოს პრაქტიკა და საქართველოს დევნილი მოსახლეობის უფლებათა დაცვის პერსპექტივა A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 23 ივლისი, 2004 წელი. №173 (722)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### "რაო ეეს როსიი" საქართველოს ენერგეტიკას უმიზნებს



"რაო ეეს როსიი" საქართველოს ენერგეტიკის მისამართით ღია მოქმედებაზე გადადის.

A4

## უცხოეთი

### დემოკრატია ნავთობისათვის თუ ნავთობი დემოკრატიისათვის?



ვისი კეთილდღეობისთვის იბრძვიან ამერიკელი ჯარისკაცები, ნუთუ მხოლოდ ერაყელი ხალხის?

A5

## საზოგადოება

### საკრებულო გაოცებულია თავისივე დამტკიცებული ბიუჯეტით

"სასადილოების წლევანდელი ბიუჯეტი ისეა გათვლილ-განაწილებული, რომ თავი და ბოლო ვერ გავუგეთ", – აცხადებენ საკრებულოში მათ მიერვე დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ.

A6

## სამართალი

### თავისუფლება ფული ღირს





სასამართლო გადაწყვეტილებები იმის მიხედვით განისაზღვრა, თუ რამდენად შეასრულეს დაპატიმრებულმა მაღალჩინოსნებმა პროკურატურისგან მიღებული პირობა და რა რაოდენობის თანხა გადაიხადეს.

A7

## ამინდი

| | 23/7 | 24/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 28 |
| ქუთაისი | 27 | 27 |
| ბათუმი | 26 | 24 |
| სოხუმი | 21 | 22 |
| ფოთი | 24 | 24 |
| თელავი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 25 | 26 |
| გორი | 26 | 24 |
| ახმეტა | 29 | 27 |
| ჭიათურა | 27 | 27 |
| გაგრა | 20 | 21 |
| საჩხერე | 27 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8950 |
| ევრო | 2.3219 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4864 |
| რუბლი | 0.0651 |

# საქართველო და საერთაშორისო სამართალი





ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო და მისი თავმჯდომარე ლუციუს ვილდჰაბერი.

## საქართველო სანქციების საფრთხის წინაშე

*საქართველოსთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი პირველი გადაწყვეტილების საფუძველზე, ბათუმის უშიშროების იზოლატორიდან თენგიზ ასანიძე გათავისუფლდა, მაგრამ ევროსასამართლოს მიერ დაკისრებულ სანქციას საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს. ამას კი შეიძლება, მკაცრი სანქციები მოჰყვეს.*

სოფიკო ჩხაიძე

ჯერჯერობით, "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ" საქართველოს მოქალაქის მიერ ევროსასამართლოში შეტანილი ერთადერთი სარჩელია, რომელზეც ევროსასამართლომ განაჩენი გამოიტანა. ამ ვერდიქტის ძალით, უკანონო პატიმრად ცნობილი თენგიზ ასანიძე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო საპყრობილედან, ხოლო სამი თვის ვადაში ქვეყნის ხელისუფლებას მისთვის უკანონო პატიმრობით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 155 ათასი ევრო უნდა გადაეხადა. ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილებას თვით ასლან აბაშიძეც კი ვერ შეეწინააღმდეგა და იძულებული შეიქნა, მის პირად ტუსაღად წოდებული თენგიზ ასანიძე გაეთავისუფლებინა.

საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც თავის დროზე მნიშვნელოვანი ზეწოლა განახორციელა აჭარის აწ უკვე ყოფილ ლიდერზე, რათა მისი მხრიდან ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მიეღწია, ამჟამად თავად ურჩობს. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ თენგიზ ასანიძისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ევროსასამართლოს მიერ დადგენილი ვადა 8 ივლისს ამოიწურა, ყოფილი უკანონო პატიმრისთვის თანხა არ გადაუხდიათ.

ფაქტია, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თენგიზ ასანიძის ოთხწლიანი უკანონო პატიმრობისთვის პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა, აჭარის აწ უკვე ყოფილი მმართველი ასლან აბაშიძე გახლდათ. მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ ევროსასამართლოს ფუნქციებში არ შედის უკანონობაში კონკრეტული პასუხისმგებელი პირების ძიება და არც იმ პოლიტიკურ რეალობაში გარკვევა, რამაც პატიმრის ციხეში დატოვება გამოიწვია. ევროპელი მოსამართლეების განაჩენი პირდაპირია – მოქალაქის უკანონო პატიმრობისთვის პასუხისმგებლობა ქვეყნის ხელისუფლებას ეკისრება. ასე რომ, ასანიძის უკანონო პატიმრობისთვის დაკისრებული 150 ათასი (პლუს 5 ათასი ევრო ადვოკატთა მომსახურებისთვის) ევრო, სწორედ ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა იქნეს გაღებული.

ბიუჯეტს კი ერთი ადამიანისთვის მისაცემი ამხელა თანხა არ გააჩნია, – ასეთი ახსნა-განმარტება მიიღო თენგიზ ასანიძემ, როდესაც საქმეში გარკვევა გადაწყვიტა.

**"თავდაპირველად მპირდებოდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში იქნება და ევროსასამართლოს მიერ დათქმულ ვადაში, ჩემს კუთვნილ თანხას ანგარიშზე დასვამდნენ,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თენგიზ ასანიძემ, **- შემდეგ მიდგომა შეიცვალა, მითხრეს, რომ ბიუჯეტში ჩემი თანხა გათვალისწინებული არ არის. კი, ბატონო, ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, მართლაც არ იქნება მოსაწონი, ბიუჯეტიდან ნაღდი ფულით ამხელა თანხა მივიღო, როცა ქვეყანაში ხელფასებისა და პენსიების გასტუმრება ჭირს. ამიტომ, შევთავაზე, მომცენ რაიმე ისეთი ქონება, რომელიც იმ ხალხს ეკუთვნოდა, რომლებსაც ჩემს წამებაში მიუძღვით წვლილი და რომელიც ამ წუთში არ იყიდება, ფულად ვერ იქცევა. იყოს ეს თუნდაც იმ თამბაქოს ფაბრიკის აქტივები, რომელსაც მე ადრე ვხელმძღვანელობდი და ახლაც იქ ვმუშაობ. სიამოვნებით დათანხმდნენ ამ წინადადებას, მაგრამ ამის შემდეგ საქმე არ დაძრულა".**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროსასამართლო

ევროსასამართლოს შექმნა იყო პირველი მცდელობა, საერთაშორისო თანამეგობრობას ისეთი ტიპის ინსტიტუტი დაემკვიდრებინა, რომელიც შიდასახელმწიფოებრივ ინსტიტუტებზე მაღლა მდგომ სავალდებულო გადაწყვეტილებებს მიიღებდა. მანამდე არც გაერო-ს და არც სხვა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მსგავსი პრაქტიკა არ არსებობდა.

1950 წელს ევროპის საბჭომ მიიღო დოკუმენტი, რომელსაც მთლიანად ეყრდნობა ევროპული უფლებადამცავი სისტემა – ეს არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. სწორედ ამ კონვენციის საფუძველზე მოქმედებს ევროსასამართლო.

საქართველომ ამ კონვენციის რატიფიცირება ევროსაბჭოში გაერთიანების შემდეგ, 1999 წლის 12 მაისს მოახდინა. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს გაუჩნდათ უფლება და შესაძლებლობა, საკუთარი უფლებები კიდევ ერთ სასამართლო ინსტანციაში დაიცვან, მით უმეტეს, რომ ამ ინსტანციის სრული მიუკერძოებლობა გარანტირებულია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რომის სტატუტი და აფხაზეთის პრობლემა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო შედარებით ახალი ორგანოა და ამიტომაც, ნაკლებად ცნობილი. საქართველო აღნიშნული ორგანოს დამფუძნებელ რომის სტატუტს 2003 წლის სექტემბერში შეუერთდა. გარდა იმისა, რომ ამ ნაბიჯით საქართველომ განვითარებული კაცობრიობის მიერ აღიარებული პრინციპებისადმი თავისი ერთგულება დააფიქსირა, ქვეყნის ხელისუფლებას კიდევ ერთი არანაკლებ პრაგმატული მოსაზრება ამოძრავებდა. საქართველოს აღნიშნული სასამართლოს საშუალებით აფხაზი სეპარატისტების დანაშაულებრივი ქმედებების სააშკარაოზე გამოტანაც უნდოდა. სხვათა შორის, რომის სტატუტთან საქართველოს მიერთებას ჩვენში მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავდა. თუმცა, მათი არგუმენტი – რომ სტატუტის რატიფიცირება საქართველოს საწინააღმდეგოდ შეიძლება შემობრუნდეს, უფრო მნიშვნელოვანმა მიზანმა გადაწონა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროსტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "ლორისის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პრეცედენტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 კვირის TV-პროგრამა | B8 სხვადასხვა

# ევროკავშირი ქართულ სამართალზე მუშაობს



ვახო ბესელიას ფოტო

ევროკავშირის მისია საქართველოში სამ თვეს დარჩება.

*ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში 10 უცხოელი ექსპერტი იმუშავებს, რომლებსაც სისხლის სამართლის სფეროში რეფორმის გასატარებლად საქართველოს ხელისუფლების დახმარება ევალებათ.*

გუშინ, ევროკომისიის წარმომადგენლობაში ახალი მისიის "EUJUST THEMES" პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც "ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის" პრინციპით ხორციელდება. მისიის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი ამ წლის ივნისში, ევროკავშირისთვის დახმარების თაობაზე პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას თხოვნა გახდა. ექსპერტების მიზანი ასეთია: საქართველოს სისხლის სამართლის სფეროში ახალი კანონმდებლობის, კონკრეტულად - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება. აგრეთვე - სასამართლო რეფორმის და ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინირება;

მისიის საქართველოში გამოგზავნის ფაქტს თავად ევროკავშირის წარმომადგენლები ძალზე სერიოზულ ნაბიჯად აფასებენ. **"ეს კიდევ ერთი დასტურია, თუ რამდენად სერიოზულ და ოპერატიულ რეაგირებას ახდენს ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლების თხოვნაზე, კონკრეტულად, კანონის უზენაესობის დამკვიდრების თვალსაზრისით,"** - განაცხადა გუშინ ევროკავშირის სამდივნოს საგარეო ურთიერთობათა დირექტორთა ხელმძღვანელმა მაიკლ მატისენმა. "EUJUST THEMES" კომისიის ხელმძღვანელი სილვი პანსთი უშუალოდ ხავიერ სოლანასადმი - საგარეო და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისადმი იქნება ანგარიშვალდებული. საქართველოს ხლისუფლების მიერ ექსპერტების რეკომენდაციების გაზიარების თუ არგაზიარების თაობაზე სილვი პანთსის ანგარიშის საფუძველზე, დასკვნებს უკვე ევროკავშირის კომიტეტებში გააკეთებენ.

**"ჩვენ საქართველოში არ ჩამოგვაქვს ფული, მაგრამ ჩამოგვაქვს არანაკლებ ფასეული რამ, ჩვენი ცოდნის, გამოცდილების, რეკომენდაციების სახით. კომისიის შემადგენლობაში შემავალი ექსპერტების უმეტესობამ საქართველოში ჩამოსასვლელად კუთვნილ შვებულებაზე თქვა უარი,"** - განაცხადა გუშინ საქართველოში მისიის ხელმძღვანელმა პანთსიმ, რომელიც პროფესიით მოსამართლეა და საერთაშორისო დონეზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, მათ შორის, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალთან თანამშრომლობის მხრივ. მისიის საქართველოში ყოფნის პერიოდში პანთსი იმის გარკვევასაც შეეცდება, თუ კონკრეტულად რატომ ხვდება წინასწარი დაკავების საკანში ამდენი ხალხი.

*ლელა მჭედლიძე*

# ანდრეი რაპოპორტი საქართველოს ენერგომუშტს ულერებს

*კომპანია "რაოეესის" გამგეობის წევრის, ანდრეი რაპოპორტის აზრით, თითოეულმა ქართველმა თავი ბედნიერად უნდა იგრძნოს იმით, რომ მისი სამშობლო რუსეთის მეზობელია. "გაგიმართლათ. ჩვენ რომ არ ვიყოთ, რას იზამდით? ელექტროენერგიას თვითმფრინავებით ხომ არ შემოიტანდით?" - ამაყად იკითხა რუსმა სტუმარმა ნინო ბურჯანაძესთან გუშინ გამართული შეხვედრის დროს.*

საქართველოს პარლამენტში გუშინდელი სტუმრობის დროს რაპოპორტი ხშირად ახსენებდა სიტყვა "დისკომფორტს". იგი ჩიოდა იმაზე, რომ "თელასი" მხოლოდ ქაღალდზეა მომგებიანი და სულაც არ უკვირს, ამერიკელებმა მასზე უარი რომ თქვეს. სტუმრის მტკიცებით, "თელასის" დავალიანება დღითიდღე იზრდება და მის დასაფარად "რაოეესს" სისტემატურად უწევს კრედიტების გამოყოფა. თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, რაპოპორტი აღნიშნავს, რომ სათავო ოფისს უახლოეს მომავალში განზრახული აქვს "თელასისთვის" კიდევ 9 მილიონი დოლარის გამოყოფა, საიდანაც 3 მილიონი გამრიცხველიანებას მოხმარდება, 6 მილიონი კი - ქსელების მოდერნიზაციას.

ქართველ კანონმდებლებთან შეხვედრის დროს (საუბარს ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილიც ესწრებოდნენ) რაპოპორტი, არცთუ იშვიათად, ულტიმატუმის ენაზე საუბრობდა.

**"თუ ენერგეტიკის სფეროში არსებული ხერგილებისგან არ გავთავისუფლდებით, წინ ვერ წავალთ. ახალ პროექტებზე ლაპარაკი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება,"** - განაცხადა სტუმარმა, რომელიც არც რეკომენდაციებს იშურებს და ქართულ მხარეს ურჩევს, რაც შეიძლება მალე გაყიდოს ენგურჰესი.

მის კატეგორიულ ტონს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თავშეკავებით ხვდება და ანდრეი რაპოპორტთან საუბარს "კონსტრუქციულს" უწოდებს. ნინო ბურჯანაძე აუწყებს რაპოპორტს, რომ საკანონმდებლო ორგანოში უკვე შემოსულია კანონპროექტი, რომელიც ელექტროენერგიის მოპარვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. სპიკერის თქმით, ამ დოკუმენტს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს.

პარლამენტის თავმჯდომარე აქცენტს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზანშეწონილობაზე აკეთებს, თუმცა, იქვე დანანებით დასძენს, რომ ამ კუთხით ყველაფერი წესრიგში არ არის და ცხინვალის რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარება ორი ქვეყნის თანამშრომლობას ძალიან ცუდ ფონს უქმნის.

*გიორგი ასანიშვილი*

# არძინბას ინტერვიუ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა აფხაზეთის პრეზიდენტობის საკუთარ კანდიდატს უახლოეს ხანებში დაასახელებს. ამის შესახებ არძინბამ „როსიისკაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას აფხაზეთის დაბრუნების თაობაზე. „სააკაშვილის მსგავსად, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს სხვა ხელმძღვანელებსაც სურდათ, მაგრამ უკვე 14 წელია, აფხაზეთი შედგა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა," - აღნიშნა მან. არძინბას შეფასებით, „საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნებაზე არც უნდა იოცნებოს." „ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიის შესაძლებლობას არ გამოვრიცხავთ, შეიარაღებული ძალები საგანგებო რეჟიმზე არ გადაგვიყვანია. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სოხუმის ხელისუფლება მზადაა, დაიცვას აფხაზეთის მოსახლეობა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა," - აცხადებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი.

რაც შეეხება საკუთარ საპრეზიდენტო მოღვაწეობას, არძინბა დარწმუნებულია, რომ 14-წლიანი მმართველობის პერიოდში მას, როგორც პრეზიდენტს, არც ერთი სტრატეგიული შეცდომა არ დაუშვია, რამაც „აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბება განაპირობა". „თუ რამეზე მწყდება გული, ეს ჩემი თანამებრძოლების ღალატია," - აღნიშნავს არძინბა, თუმცა „მოღალატეების" ვინაობას არ ასახელებს.

***ინტერ-პრესი***

# ნიაღვარი თბილისში

## ხალხი ხელისუფლებას უყურადღებობას საყვედურობს, ხელისუფლება ყველაფერს ძველ ხელისუფლებას აბრალებს

**"დილის შვიდის ნახევრიდან შველას ვითხოვდით, მაგრამ შუადღემდე ხელისუფლებიდან არავინ გამოჩენილა",** - აღშფოთებას ვერ ფარავდნენ გუშინ ადამიანები, რომლებიც საკუთარ სახლში წელამდე წყალში იდგნენ.

**"დილის ექვსი საათიდან ყველა გამგეობა, ყველა სამსახური, ვისაც ეს ეხება, მობილიზებული იყო,"** – გუშინვე აცხადებდა დედაქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე, რომელმაც ღია ცის ქვეშ საგანგებო ბრიფინგი ჩაატარა.

**"წვიმა რომ მოდის, ჩემთვის სიკვდილი იწყება,"** - ემოციები ვერ დაფარა ქალბატონმა, რომლის სახლსაც ორი წლის წინ მიწისძვრამ დარია ხელი. **"ჩვენთვის ვერც ერთი დროის ხელისუფლებამ ვერ მოიცალა"... "ჭიაბერაშვილმა ჭერი მაინც გადამიხუროს"... "ძველმა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა, ახალი ამბობს, ასე მოკლე დროში ყველაფრის გაკეთებას როგორ მოვახერხებო... ის ხომ მოახერხა, რომ მერიის წინ მღებრიშვილს აცემინა ჩვენი თავი. ჭერი რომ არ გვახურავს თავზე, წამოწვიმების და ნიავის წამოქროლების რომ გვეშინია, სწორედ იმიტომ მოვაწყეთ მაშინ აქცია მერიის წინ!"** - უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები ხელისუფლებას უყურადღებობას საყვედურობდნენ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

კოკისპირულმა წვიმამ ისედაც დაზიანებულ სახლებს სულ მოუთავა ხელი.

22 ივლისის ძლიერმა წვიმამ ყველაზე დიდი პრობლემები დიდუბე-ჩუღურეთის, მთაწმინდა-კრწანისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსახლეობას შეუქმნა. ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ დედაქალაქში სანიაღვრე სისტემა, პრაქტიკულად, მოშლილია. ნაგვით ავსებულ სანიაღვრე კოლექტორებს წყლის გატარება უჭირთ.

ყველაზე ძლიერად ალმაშენებლის გამზირი და მტკვრის მარცხენა სანაპირო დაიტბორა. დაზიანდა 9000 კვადრატულ მეტრამდე გზის საფარი. ლოტკინის დასახლებიდან ნიაღვარმა მიწა და ქვა-ღორღი ჩამოიტანა, რის გამოც რამდენიმე ახლომდებარე ქუჩაზე მოძრაობა შეწყდა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, შავთელის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი მშენებარე ობიექტიდან მიწა ჩამოიშალა და მეზობლად მდებარე საცხოვრებელ სახლებს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ახვლედიანის ქუჩაზე საკანალიზაციო ჭა ჩაინგრა და გზის მცირე ნაწილიც თან ჩაიტანა. კოკისპირულმა წვიმამ, საცხოვრებელი სახლების გარდა, სახელმწიფო დაწესებულებების შენობებიც დატბორა.

**"საერთოდ, არ მიყვარს საუბარი წინა ხელისუფლებაზე, მაგრამ ფაქტია, რომ მას თითიც კი არ გაუნძრევია დედაქალაქის კეთილმოსაწყობად..."** - განუცხადა "24 საათს" ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ.

გათვალისწინებულია თუ არა სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება და, კონკრეტულად, რა პერიოდისთვის? პრემიერის პასუხი დადებითი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ზოგადია: **"რა თქმა უნდა, ეს ქალაქის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია, როგორც სხვა საკითხები... ეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება, რათა ყველაფერ ამის მოწესრიგება მაქსიმალურად მოკლე ვადებში მოხერხდეს."**

საბედნიეროდ, სტიქიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

*ვერიკო თევზაძე*

# „ფერო" ახლდება და მდიდრდება

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, მას შემდეგ, რაც მათ მსოფლიო ბაზარზე 6-პროცენტიანი ნიშა დაიკავეს, ინვესტიციების ჩადება უკვე ქარხნის გადაიარაღება-რეკონსტრუქციაში დაიწყეს. აღნიშნულის ნათელ მაგალითად 21 ივლისს, ქარხანაში ახალი, თანამედროვე სტანდარტების ღუმელის ამუშავება იქცა, რომლის ღირებულებაც 2 მილიონ დოლარს შეადგენს. ახალი ღუმელი ქარხნის წარმოებას, დაახლოებით 30 პროცენტით გაზდის. "ფეროს" ხელმძღვანელთა განმარტებით, ასეთი სახის ღუმელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსად ფუნქციონირებს. უახლეს ხანში ინვესტორები "ფეროს" მთლიან გადაიარაღებას გეგმავენ. სიმბოლურია ისიც, რომ ახალი ღუმელის გაშვება მეტალურგთა პროფესიულ დღესასწაულსაც დაემთხვა.



"ფეროს" ხელმძღვანელობა ამაყობს ახალი ღუმელით.

**"ახალი ღუმელი წარმოების გაზრდისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, გაიზრდება მსოფლიო ბაზარზე ფეროშენადნობების ექსპორტი, რაც ზესტაფონისა და ცენტრალური ბიუჯეტის შევსების დამატებითი წყარო გახდება. გათვალისწინებულია ახალი სოციალური პროგრამების შექმნა და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფისათვის მიზნობრივი პროექტების დაფინანსებაც,"** - განაცხადა ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ნიკო ჩიქოვანმა.

ახალი ღუმელი 22 მეგავატ ელექტროენერგიას მოიხმარს და ყოველდღიურად მინიმუმ სამოცდაათ ტონა სილიკომანგანუმს გამოუშვებს. ამჟამად ქარხანა დღეში 250 ტონა სილიკომანგანუმს აწარმოებს. „ფეროში" 2500 ადამიანია დასაქმებული, მათი საშუალო ხელფასი 250 ლარს შეადგენს. ახალი ღუმელის გაშვება კი დამატებით 100-მდე სამუშაო ადგილს შექმნის. გენერალური დიქრეტორის ნიკა ჩიქოვანის განცხადებით, ახალი ღუმელის ამუშავება "ფეროს" საშუალებას მისცემს, დაახლოებით 8 000-ს ადამიანზე მეტი მომავლშიც უზრუნველყოს მუდმივი სამუშაო ადგილით და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია აწრმოოს. **„ამავე დროს გაიზრდება ჩვენი შეკვეთები ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის, ჭიათურმანგანუმის, ტყიბულის მაღაროსა და სხვა პარტნიორების მიმართ,"** - აღნიშნა ჩიქოვანმა. ღუმელის დასამონტაჟებლად საკონსულტაციო ფირმამ ზესტაფონში უკრაინელი სპეციალისტი მოავლინა.

**„ეს კაცი როდესაც ჩამოვიდა და ჩვენი სპეციალისტების მუშაობა ნახა, თავის ხელმძღვანელობასთან დარეკა - ამათ ჩემი სწავლება არ სჭირდება, აქეთ მასწავლიანო. მას, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია, ვიჯექით და ვქეიფობდით,"** - ამბობს ნიკა ჩიქოვანი. ჩიქოვანის განცხადებით, ხალი ღუმელის დამონტაჟება, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქარხნის გადაიარაღების პროცესში. აგვისტოში ღუმელებზე ახალი ფილტრებიც დაყენდება, რაც ზესტაფონისთვის აქტუალურ პრობლემას - მავნე გამონაბოლქვებს მოსპობს.

ამჟამად ზესტაფონის „ფერო" 100 პროცენტით კერძო საკუთრებაა. 2003 წლის სექტემბრიდან სააქციო საზოგადოების აქციების საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტი) მფლობელია ავსტრიული სამრეწველო ჯგუფი „დე-ცე-ემ დეკომეტალი". აღნიშნული სამრეწველო ჯგუფი 1846 წელს შეიქმნა, როგორც დერპიშების საგვარეულო ფირმა. ამჟამად კი მსოფლიოში ფოლადის წარმოების ცნობილი ლიდერია, ქმნის რა ამ წარმოებაში მთლიან ჯაჭვს - ნედლეულის მოპოვება, მარკეტინგი, ფინანსირება, პროდუქციის წარმოება და მიწოდება. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია ისეთ ნედლეულზე მუშაობა, როგორიცაა რკინის მადანი, მანგანუმის მადანი და მასიური რკინაშენადნობები. დღესდღეობით სამრეწველო ჯგუფი მსოფლიოს 41 ქვეყანაში წარმოებისა და რეალიზაციის ქსელს აერთიანებს.

ნიკა ჩიქოვანის განცხადებით, ავსტრიელი ინვესტორების შემოსვლამ ქარხანას წლების განმავლობაში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის საშუალება მისცა, კერძოდ, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა ქარხნის ელექტროენერგიითა და ნედლეულით მომარაგება, გაიზარდა მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება. სამი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელებამ შესაძლებელი გახადა ახალი ტექნიკური საშუალებების შეძენა და 2 ღუმელის აღდგენა-გაშვება. განახლდა ავტოპარკი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო ხაზებს, სრულდება წარმოების პროცესის კომპიუტერიზაცია და სხვა. ინვესტორის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში ს.ს. „ფეროში" დამატებით 10 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებაა დაგეგმილი. ამავე დროს „დე-ცე-ემ დეკომეტალი" საქართველოში ინვესტიციების გაფართოებასაც აპირებს. კერძოდ კომპანია „ჭიათურმანგანუმისა" და „ტყიბულნახშირის" შეძენას გეგმავს. მათივე თანხით ევროპულ სტანდარტებზე რემონტდება ზესტაფონის საფეხბურთო სტადიონი. მოწვეული ჰყავთ უცხოელი მწვრთნელიც. „ფეროს" ხელმძღვანელობა, უახლოეს ორ წელიწადში ზესტაფონის „მეტალურგს" ევროპულ ტურნირებზე უპირებს გაყვანას. ქუთაისში კი „ფერო" კინოთეატრ „სულიკოს" რეკონსტრუქციას და „ბოულინგ ცენტრის" გახსნას გეგმავს.

*ბექა სისაური*
*ზესტაფონიდან*

# "რმკ"-ს სამი პოტენციური მყიდველი ჰყავს

გუშინ საღამოს ბრიტანულ-ინდური კომპანიის "ისპად"-ის საკმაოდ წარმომადგენლობითმა დელეგაციამ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი დაათვალიერა. "ისპადი" სწორედ ის კომპანიაა, რომლის თაობაზეც დიდ ბრიტანეთში ვიზიტის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი საუბრობდა. ის მეტალურგიულ წარმოებაში მსოფლიოს მასშტაბით რიგით მეორე კომპანიაა და 25 მეტალურგიულ ქარხანას ფლობს, მისი საწესდებო კაპიტალი კი 5 მილიარდ ევროზე მეტს შეადგენს. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის დასათვალიერებლად თავად "ისპადის" პრეზიდენტი ლაკშმი მეტტალი იყო ჩამოსული. მას ქარხნის რეაბილიტაციის მმართველი ბენო ქაშაკაშვილი მასპინძლობდა. ჯერჯერობით უცნობია, რა შთაბეჭდილება მოახდინა რუსთავის მეტალურგიულმა სტუმრებზე და გახდება თუ არა "ისპადი" მისი პოტენციური მეპატრონე.

სამაგიეროდ უკვე გარკვეულია, რომ "რმკ"-ს პრივატიზებით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი უკრაინელები, რომლებმაც საწარმო რამდენიმე თვის წინ დაათვალიერეს და შეისწავლეს. საუბარია "დონეცკის ინდუსტრიულ კავშირზე" და "ინტერპაიპ"-ზე. მათ უკვე გამოგზავნილი აქვთ ოფიციალური წერილი ეკონომიკის მინისტრის კახა ბენდუქიძის სახელზე, სადაც მიუთითებენ, რომ სასამართლო დავის დასრულებისთანავე, მზად არიან ქარხნის შესყიდვაზე მოლაპარაკებები დაიწყონ.

კიდევ ერთ პოტენციურ მყიდველად რუსული კომპანია "ევრაზ ჰოლდინგი" სახელდება. არსებობს დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ კახა ბენდუქიძის სიმპათიები სწორედ რუსების მხარეზეა. გავრცელებული ხმებით, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ამჟამინდელი ინვესტორის, "არესის" რუსი წარმომადგენლები სწორედ "ევრაზჰოლდინგთან" აწარმოებენ მოლაპარაკებებს და კვლავაც სურთ, რომ ახალი ინვესტორი თუ მეპატრონე მათი ჩანაცვლების პრინციპით შევიდეს ქარხანაში. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ პროცესებთან არის დაკავშირებული უზენაეს სასამართლოში "არესის" სარჩელთან დაკავშირებით საქმის გაჭიანურება. უზენაესის ვერდიქტი ზუსტად ერთი თვის წინ უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა, იმის გამო, რომ სასამართლო კოლეგია სხდომაზე არ გამოცხადდა(?!), განაჩენის გამოტანა გაურკვეველი დროით გადაიდო.

*მაია მოსიაშვილი*

# აზერბაიჯანი "საუკუნის კონტრაქტის" იუბილესთვის ემზადება

აზერბაიჯანი "საუკუნის კონტრაქტის" ათი წლის იუბილეს აღსანიშნავად ემზადება. ამ საკითხზე აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ბრძანებულება 19 ივლისს გამოქვეყნდა.

საზეიმო ღონისძიებების გეგმის მოსამზადებლად შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც აზერბაიჯანის მთავრობის წევრებთან ერთად შედიან, აგრეთვე, სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი ნატიგ ალიევი და კომპანია "ბი-პი-აზერბაიჯანის" პრეზიდენტი დევიდ ვუდვორდი.

კასპიის ზღვის აზერბაიჯანის აუზში ნავთობის საბადოების ერთობლივი ათვისების შესახებ შეთანხმება აზერბაიჯანის მთავრობამ და ცნობილმა უცხოურმა ნავთობკომპანიებმა 1994 წლის 20 სექტემბერს გააფორმეს.

ექსპერტთა შეფასებით, პროექტი, რომელსაც შემდგომში "საუკუნის კონტრაქტი" ეწოდა, აზერბაიჯანის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას შეუწყობს ხელს.

დღეისთვის ამ პროექტის ფარგლებში აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის სექტორში 7 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უკვე განხორციელდა.

საბადო "ჩირაღის" ამოქმედების დღიდან, 1997 წლის 12 ნოემბრიდან დღემდე ამ საბადოდან 34 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობია მოპოვებული. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების ამჟამინდელი სარდლის, გენერალ-მაიორ სვიატოსლავ ნაბზდოროვის შეცვლა ორ კვირაში მოხდება. ამის შესახებ ოთხშაბათს განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გივი იუკურიძემ. ნაბზდოროვს აღნიშნულ პოსტზე გენერალ-მაიორი მარატ კულახმეტოვი შეცვლის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 24 ივლისს, ჩეხეთის ქართული დიასპორა პრაღაში, რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს. ჩეხეთში მცხოვრები ქართველები ოფიციალური მოსკოვის მიერ სამაჩაბლოში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობისთვის აქტიური მხარდაჭერას გააპროტესტებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ ნაბზდოროვის მორიგი პროვოკაციული გამონათქვამების გამო.

21 ივლისს ქართული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსმა გენერალმა უარყო საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის არსებობა როკის გვირაბის მონაკვეთზე. მან ასევე განაცხადა, რომ საქართველოს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის მოთხოვნა მოუწევს, და რომ რუსეთია გამაერთიანებელი და არა აშშ.

ქართული მხარე მიიჩნევს, რომ გენერალ ნაბზდოროვის მოქმედებები და მისი განცხადებები ეჭვქვეშ აყენებს შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის პოსტზე მისი ყოფნის მიზანშეწონილობას და, საერთოდ, სამშვიდობო ძალების მიუკერძოებლობას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მხარისაგან დაუყოვნებლივ ახსნა-განმარტებებს მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ზვიად ძიძიგური უახლოეს დღეებში პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდება და შეეცდება გაარკვიოს, რატომ ფერხდება პარლამენტში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. როგორც ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, პარლამენტის იურიდიულ დეპარტამენტში ამის მიზეზად იურიდიულ პრობლემებს ასახელებენ, თუმცა „მსგავსი პრობლემები საერთოდ არ არსებობს".

დეპუტატი არ გამორიცხავს იმასაც, რომ კომისიის შექმნას გარკვეული სპეცსამსახურები აფერხებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი აცხადებს, რომ დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებს და სჯერა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდება, ისევე, როგორც ეს აჭარაში მოხდა.

„ჩვენი ჯარისკაცები ადამიანთა უსაფრთხოებას ამჟამად აფხაზეთში იცავენ. სამხრეთ ოსეთში სამშვიდობოების გაგზავნის საკითხი, ჯერჯერობით, დღის წესრიგში არ დამდგარა. ვფიქრობ, კონფლიქტის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი ქართულ-რუსულმა ურთიერთობებმა უნდა შეასრულოს, რომელიც ბოლო დროს საგრძნობლად დათბა. მოსკოვში ვიზიტისას დავრწმუნდი, რომ ორივე ქვეყნის პრეზიდენტები ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობასა და კონსტრუქციულობას იჩენენ, რაც კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების გარანტად უნდა იქცეს", - განაცხადა კოფი ანანმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ პრეზიდენტ სააკაშვილს ლიტვაში ვიზიტის შედეგები გააცნო. შეხვედრის შემდეგ გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველოსთვის ლიტვასთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია, რადგან ლიტვა ნატო-ს წევრი ქვეყანაა. მისივე თქმით, ლიტვა საქართველოს ლობირებს და ხელს უწყობს ნატო-ში გაწევრიანების საქმეში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა იმედოვნებს, რომ ისრაელი პირველი სახელმწიფო იქნება, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. ამის შესახებ არშბამ სოხუმში ვიზიტით მყოფ ისრაელის ელჩს საქართველოში რივკა კოენს განუცხადა.

საქართველოში ისრაელის საელჩო კომენტარს აკეთებს ისრაელის ელჩის რივკა კოენის აფხაზეთში ვიზიტის შესახებ. „ისრაელის ელჩის ვიზიტის მიზანი იყო, შეესწავლა კონფლიქტის მოგვარების მხრივ არსებული ვითარება და შეხვედროდა აფხაზეთში მცხოვრებ ებრაულ თემს, მათთვის სოციალური დახმარების გაწევის მიზნით," - აღნიშნულია საელჩოს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ისრაელის სახელმწიფო კიდევ ერთხელ, როგორც ყოველთვის, ადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ევროსასამართლო

პირველი გვერდიდან

ევროსასამართლო განიხილავს არა სახელმწიფოთაშორის, არამედ ინდივიდუალურ დავებს. ანუ იგი ერევა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ურთიერთობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, ევროსასამართლომ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ერთი კონკრეტული ადამიანის საქმე განიხილოს. ასეთი პრეცედენტი კი, როგორც უკვე ვთქვით, ევროსასამართლოს შექმნამდე არ არსებობდა. სწორედ ამიტომ, ევროპის სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი სხვა სასამართლოებისგან განსხვავებით, როგორიცაა მაგალითად, ჰააგის სასამართლო, სტრასბურგის სასამართლო ევროპაში თავიდანვე დამკვიდრდა, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი გარანტი. მართალია, სახელმწიფოთაშორისი დავების განხილვის შესაძლებლობას ევროპის სასამართლოც იძლევა, მაგრამ ინდივიდუალურ დავებთან შედარებით, ასეთი საქმეების სტატისტიკა ნაკლებია. როგორც აღვნიშნეთ, ევროსასამართლო მოქმედებს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის საფუძველზე, რომელიც თავისი არსით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზეა ორიენტირებული. ასეთი უფლებებია: სიტყვის, რწმენის, შეკრებების, გაერთიანებების, სიცოცხლის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა და ასე შემდეგ. სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გარდა, რაც ევროკონვენციაში ასახული არ არის, სტრასბურგის სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში ჩამოთვლილი ყველა სხვა უფლების დარღვევის შემთხვევას განიხილავს. მოგვიანებით, ევროკონვენციას რამდენიმე ოქმი დაემატა, რომელიც საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების მთელ სპექტრს მოიცავს.







# საქართველო სანქციების საფრთხის წინაშე



*თენგიზ ასანიძე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხის ანაზღაურებას იმ საწარმოს აქტივებით ითხოვს, რომელშიც მუშაობს.*

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

თენგიზ ასანიძის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულზე ლევან ვარშალომიძეზეა დამოკიდებული, რომელმაც აჭარის ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი განკარგულება უნდა მისცეს.

8 ივლისის შემდეგ კი ევროსასამართლოს მიერ საქართველოსთვის დაკისრებულ 155 ათას ევროს საჯარიმო პროცენტები ემატება - ყოველთვიურად საკმაოდ მაღალი, ევრობანკის მიერ დადგენილ საპროცენტო განაკვეთს დამატებული საერთო თანხის სამი პროცენტი. კიდევ უფრო შემაშფოთებელი ის პოლიტიკური სანქციებია, რომლებიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების არაღსრულებას შეიძლება მოჰყვეს.

ევროსასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენლის თიკო ბურჯალიანის თქმით, **”ის, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება გარდუვალია, აპრიორია. რაც შეეხება აღსრულებაზე ზედამხედველობის ბერკეტებს, ევროსასამართლო, გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას და გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია გადაეცემა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომლის მუშაობაც სხვადასხვა რეზოლუციებით რეგულირდება. შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზეწოლა წმინდად პოლიტიკურია და გადაწყვეტილების არაღსრულების შემთხვევაში, ჯერ ერთი, რომ ქვეყნის იმიჯის მნიშვნელოვნად შელახვაზეა საუბარი, მეორეც, სულ ახლახან მიღებულ იქნა მე-14 დამატებითი ოქმი, რომელსაც, სხვათა შორის, საქართველომაც მოაწერა ხელი და ამ ოქმის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზეწოლის სამართლებრივი ბერკეტებიც ჩნდება. კერძოდ, თუ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ იქნა აღსრულებული, მოსარჩელეს კვლავ შეუძლია ევროსასამართლოს მიმართოს. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი ის გახლავთ, რომ, თუ მანამდე ასანიძისთვის თანხის გადახდა ვერ მოხერხდა, სექტემბერში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი დადგება და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს აუცილებლად მოსთხოვენ ამისთვის პასუხს. პრეცედენტი, რომ ქვეყანამ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება არ აღასრულა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამიტომ, მიჭირს პროგნოზირება, რა შეიძლება მოჰყვეს ამას, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ რეაქცია ძალზე მკაცრი იქნება. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კანონის მოთხოვნების უგულებელყოფა ევროსასამართლოს ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ამის კი ევროსტრუქტურებს ძალიან ეშინიათ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ასანიძის საქმის მოუგვარებლობას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოსთვის ხმის შეწყვეტის მოთხოვნა მოჰყვეს, მეტიც, საქართველოს ევროსაბჭოდან გარიცხვის საკითხიც კი დადგეს”.**

# ევროსასამართლოს მუშაობის პრინციპი

იმისათვის, რომ მოქალაქემ მიმართოს ევროსასამართლოს, აუცილებელი პირობაა, მის მიმართ ევროკონვენციით აღიარებული რომელიმე უფლება იყოს დარღვეული.

მეორე მთავარი პირობაა, რომ ქვეყანას, რომელსაც მოსარჩელე წარმოადგენს, აღიარებული ჰქონდეს ევროსასამართლოს იურისდიქცია და იყოს ევროკონვენციის წევრი. და ბოლოს, ევროსასამართლო საქმეს წარმოებაში მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმე ქვეყნის ყველა შიდა ინსტანციას მოივლის.

საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ უარყოფითი განაჩენის დამტკიცების შემდეგ, მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, საბოლოო ვერდიქტი 6 თვის ვადაში ევროსასამართლოში გაასაჩივროს.

მოსარჩელემ განცხადებით უნდა მიმართოს ევროსასამართლოს სამდივნოს (განაცხადის ფორმა შეგიძლიათ ამავე გვერდზე იხილოთ). ევროსასამართლო განიხილავს საქმის წარმოებაში მიღების მიზანშეწონილობას, ანუ გადაწყვეტილებას მიიღებს იმის მიხედვით, თუ რამდენად დაირღვა მოსარჩლის მიმართ ევროკონვენციით აღიარებული ესა თუ ის უფლება. გადაწყვეტილების მიღებისას, სტრასბურგის სასამართლო ასევე გაითვალისწინებს იმასაც, აქვს თუ არა გაკეთებული სახელმწიფოს დათქმა იმ კონკრეტულ მუხლზე, რომელსაც მხარე ასაჩივრებს. დათქმა გულისხმობს სახელწიფოს უფლებას, ამა თუ იმ კონვენციის რატიფიკაციისას, სავალდებულო ძალის მქონედ არ აღიაროს მისი რომელიმე ნაწილი. საქართველომ ერთადერთი დათქმა ევროკონვენციის იმ ოქმზე გააკეთა, რომელიც საკუთრების უფლებას შეეხება. ეს არის ორმაგი დათქმა:

ერთია, რომ ეს ოქმი არ ვრცელდება მეანაბრეებზე, ანუ ამ დოკუმენტით არ არის აღიარებული მეანაბრეთა საკუთრების უფლება და, შესაბამისად, მეანაბრეები ვერ მიმართავენ სტრასბურგის სასამართლოს.

მეორე დათქმა კი კონფლიქტურ ზონებში დარჩენილ ქონებას შეეხება. სახელმწიფომ შეუძლებლად ჩათვალა, გასაჩივრების შემთხვევაში, 300 000 ლტოლვილის საკუთრების ანაზღაურება.

აღნიშნული საკითხების შემოწმების შემდეგ, ევროსასამართლოს სამდივნო იღებს გადაწყვეტილებას, მიიღოს თუ არა წარმოებაში საქმე. გარკვეული დეტალების დასაზუსტებლად, მხარეს ეგზავნება კითხვარი და მხოლოდ პასუხების მიღების შემდეგ ეგზავნება შეტყობინება სახელმწიფოს, რომელიც მოპასუხეს წარმოადგენს.

ამ პროცედურების გავლის შემდეგ იწყება უშუალოდ საქმის განხილვა.

ევროსასამართლოს განხილვის პირველი ეტაპი არის საქმის დაშვებადობის განხილვა. ევროსასამართლოში საქმის განხილვის ვადები ბოლო პერიოდში შემჭიდროვდა და 2-3 წელს აღარ აღემატება. ამასთანავე, პრეცედენტების შექმნის მიზნით, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ ახალგაწევრიანებულ ქვეყნებს.

ევროსასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია განაცხადოს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ანუ კონკრეტული ადამიანის უფლების დაცვა, რისთვისაც ეკისრება ფინანსური სანქცია. იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთი და იგივე მუხლით გამუდმებით შედის საქმეები (ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა იტალიიდან და საბერძნეთიდან), ეს იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანაში არსებობს გარკვეული მახინჯი პრაქტიკა და ფინანსური სანქციები საკმარისი ზომა არ არის. ასეთ შემთხვევაში, ევროსასამართლო მიმართავს პოლიტიკურ ორგანოს - ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს. სწორედ მას აქვს უფლება, სახელმწიფოს მიმართ სავალდებულო ხასიათის რეზოლუცია გამოიტანოს. თუ სახელმწიფო ასეთი რეზოლუციების იგნორირებასაც ახდენს, მაშინ დღის წესრიგში დგება ურჩი ქვეყნის ევროსაბჭოდან გარიცხვის საკითხი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ევროსასამართლოში სარჩელი მშობლიურ ენაზე შეიტანოს. მართალია, ქართულ ენაზე დაწერილი სარჩელი გაცილებით გვიან განიხილება, ვიდრე ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე შედგენილი, მაგრამ ასეთი რამ დასაშვებია.

## ევროსასამართლოში შესატანი განაცხადის ფორმა

**მხარეები**
**ა) განმცხადებელი**
სახელი, გვარი
სქესი
მოქალაქეობა
4. საქმიანობის სფერო
5. დაბადების ადგილი და თარიღი
6. მისამართი
7. ტელეფონის ნომერი
8. მისამართი, რომელზეც ცხოვრობს განმცხადებელი სარჩელის წარდგენის მომენტისთვის, თუ იგი განსხვავდება მე-5 პუნქტში მითითებული მისამართისგან
9. წარმომადგენლის სახელი, გვარი
10. წარმომადგენლის საქმიანობის სფერო
11. წარმომადგენლის მისამართი
12. წარმომადგენლის ტელეფონის ნომერი
**ბ)13. მაღალი ხელშემკვრელი მხარე**
**14. ფაქტების აღწერა**
**15. განმცხადებლის მიერ კონვენციის ან თანდართული ოქმების დარღვევის ფაქტებისა და დამადასტურებელი არგუმენტების გადმოცემა**
**16. შიდა სახელმწიფოებრივი ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების თარიღი, სასამართლო ორგანოს დასახელება და მისამართი)**
**17. სხვა გადაწყვეტილებები (ქრონოლოგიურად დალაგებული, გადაწყვეტილებების თარიღებისა და სასამართლო ინსტანციების დასახელებები)**
**18. არსებობს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალება, რომლისთვისაც თქვენ არ მიგიმართავთ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, თუ რატომ არ იქნა თქვენს მიერ გამოყენებული**
**19. საჩივრის საგნის გადმოცემა და წინასწარი მოთხოვნა სამართლიანი ანაზღაურების შესახებ**
**20. სხვა საერთაშორისო ინსტანციები, რომლებშიც იხილებოდა ან იხილება მოცემული საქმე**
**21. თანდართული დოკუმენტების ნუსხა (საჩივარს დაურთეთ მხოლოდ დოკუმენტების ასლები)**
**მინდობილობა და ხელმოწერა**

# რომის სტატუტი და აფხაზეთის პრობლემა

პირველი გვერდიდან

რომის სტატუტის რატიფიცირების გარეშე საქართველოს ყოველგვარი მცდელობა ჰააგის საერთაშორისო სასამართლო აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნოწმენდით დაეინტერესებინა, ძირშივე განწირული იქნებოდა. დღეისათვის კი ეს მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია. ახლახან, ჰააგის სასამართლოს პროკურატურის ანალიტიკურმა ჯგუფმა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იუსტიციის ყოფილი მინისტრის პაატა დავითაიას შეტანილი სარჩელის საფუძველზე, გამოძიების დაწყების რეკომენდაცია მისცა. ალბათ, “24 საათის” მკითხველისათვის საინტერესო იქნება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს თავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, იგივე ჰააგის სასამართლო.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საფუძველი ჩაუყარა 1998 წლის 17 ივლისს “სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ რომის სტატუტის” მიღებამ.

2004 წლის მაისის მდგომარეობით, “სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ რომის სტატუტს” მიერთებულია 94 სახელმწიფო. მათ შორის, 24 - აფრიკიდან, 11 - აზიიდან, 15 - აღმოსავლეთ ევროპიდან, 18 - ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზიდან, ხოლო 26 - დასავლეთ ევროპიდან და სხვა დანარჩენი რეგიონებიდან.

სტატუტი ამოქმედდა 2002 წლის 11 აპრილს, როდესაც გაერო-ს გენერალურ მდივანს რატიფიკაციის მე-60-ე სიგელი გადაეცა. ოფიციალურად ძალაში შესვლის თარიღად 2002 წლის 1 ივლისი ითვლება.

სტატუტში ნათქვამია, რომ გასულმა საუკუნემ კაცობრიობის ისტორიაში არნახული სისასტიკით ჩაიარა. უმრავლეს შემთხვევებში, ამ დანაშაულებებისათვის არავინ დასჯილა, რამაც სხვებიც წააქეზა მსგავსი დანაშაულების ჩასადენად. ჰააგის სასამართლოს სასწრაფოდ დაფუძნება მსგავსი დაუსჯელობის აღკვეთისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მზარდი დარღვევების აღმოფხვრის აუცილებლობამ განაპირობა.

ჰააგაში მდებარე სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციაში შედის კერძო პირების წინააღმდეგ საქმეების განხილვა, რომელთაც ყველაზე შემაძრწუნებელ დანაშაულთა ჩადენაში ედებათ ბრალი. ესენია: გენოციდი, დანაშაული კაცობრიობის წინაშე და ომის დროს ჩადენილი დანაშაული.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ეროვნული სასამართლო სისტემის დამატებითი ფუნქცია აკისრია, და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს საქმის განხილვის უფლება, თუ ეროვნულ მთავრობას არ შეუძლია (ანუ მისი სასამართლო სისტემა, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს, ან შეზღუდულია მისი იურისდიქცია) ან არ სურს (ანუ აშკარად აფარებს ხელს დამნაშავე პირებს).

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნებული ორგანოა, მაშინ, როცა ყველა დროებითი საერთაშორისო ტრიბუნალი, მაგალითად, იუგოსლავიისა და რუანდის, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ არის შექმნილი. ტრიბუნალები იქმნება სპეციფიკური სიტუაციის შესაბამისად, და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ფუნქციონირებენ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მუდმივი საერთაშორისო კრიმინალური ტრიბუნალის ფუნქციას შეასრულებს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო სასამართლოსგან იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი გაერო-ს მუდმივმოქმედი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა და მისი პრეროგატივაა სახელმწიფოთა შორის დავების განხილვა.

# აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ აღარ გამოდის

*რამდენიმე დღის წინ ევროსასამართლომ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სარჩელი სახელწოდებით “აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ” ამორიცხულ იქნა განსახილველ საქმეთა სიიდან.*

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, ზვიად განსახურდიას ხელისუფლებისდროინდელმა ფინანსთა მინისტრმა, რომელმაც შუალედში – შევარდნაძის მმართველობის პერიოდში - რამდენიმე წელი ციხეში დაჰყო, თავადვე თქვა უარი ევროსასამართლოში შეტანილ სარჩელზე.

როგორც ცნობილია, გურამ აბსანძე ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ 1998 წლის 9 თებერვალს მომხდარი ტერაქტის ორგანიზებისა და დაფინანსების ბრალდებით დააკავეს, სამშობლოს ღალატის გამო ასამართლებდნენ და საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მისი სარჩელი 2001 წელს შევიდა. მოსარჩელე პრეტენზიას გამოთქვამდა რამდენიმე თვის მანძილზე უკანონო პატიმრობის გამო. კერძოდ, სარჩელის თანახმად, გურამ აბსანძე უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა 1999 წლის მაისიდან 30 ივლისამდე და იმავე წლის 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე. საუბარია სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ვადების დარღვევაზე. გარდა ამისა, აბსანძე სარჩელში აღნიშნავდა, რომ მას არ მიეცა ეფექტური დაცვის გამოყენების საშუალება. გურამ აბსანძის სარჩელმა სტრასბურგის სასამართლოს რამდენიმე ინსტანცია გაიარა და დაშვებულ იქნა არსებით განხილვაზე, თუმცა, სანამ ევროპელი მოსამართლეები განაჩენს გამოიტანდნენ, საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა და უკვე სახელმწიფო მინისტრის პორტფელის მფლობელი მოსარჩელის პოზიცია შეიცვალა. მან წელს, 5 აპრილს, ევროსასამართლოს სარჩელის გაუქმების თხოვნით მიმართა.

**„ხელისუფლება, რომელმაც ჩემი უფლებები შელახა, ქვეყანას აღარ მართავს. ამ ხელისუფლების მიმართ კი მე პრეტენზიები არ გამაჩნია“**, - ასეთი გახლავთ სახელმწიფო მინისტრის აზრი, რომელსაც ევროსასამართლო დაეთანხმა და სამშაბათს გამოაქვეყნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გურამ აბსანძის სარჩელი ამოირიცხა განსახილველთა სიიდან.

თუმცა, ევროსასამართლოს მოსარჩელის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაშიც აქვს უფლება, განიხილოს საქმე. განაცხადის ამორიცხვის პროცესს ევროკონვენციის 37-ე მუხლი არეგულირებს, სადაც წერია, რომ თუკი ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს საჭიროა, სასამართლოს მოსარჩელის უარის თქმის შემდეგაც შეუძლია, საქმე განიხილოს. თუმცა, როგორც წესი, სასამართლო ამ უფლებას არ იყენებს ხოლმე.

## სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოდან მიღებული საქმეები

ევროკონვენციის რატიფიცირება, რაც აუცილებელი პირობაა ევროსასამართლოში კონკრეტული ქვეყნიდან განაცხადის შესატანად, საქართველოს პარლამენტმა 1999 წელს მოახდინა. მას შემდეგ საქართველოდან სტრასბურგში, დაახლოებითი დაანგარიშებით, 120-მდე სარჩელი შევიდა. თუმცა, ამ სარჩელთაგან, საქართველოს ხელისუფლებასთან კონტაქტი ევროსასამართლომ მხოლოდ 17-ის თაობაზე დაამყარა.

**“დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“დანელია საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“სარქისოვა საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“დონაძე საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“მაკრახაძე საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“აირიევი საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“მებაღიშვილი და შპს “ამატი” საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ”;**
**“კოკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ”;**

**“მონასელიძე რუსეთის წინააღმდეგ”**

საქართველოს მოქალაქე მონასელიძე, მართალია, რუსეთის ხელისუფლებისადმი გამოთქვამს პრეტენზიებს, მაგრამ მისმა მოქალაქეობამ ევროსასამართლოს საფუძველი მისცა, საქართველოს ხელისუფლებისთვის მიემართა, რათა იგი, სურვილის შემთხვევაში, საქმეში ჩაერთოს.

**“იოსელიანი საქართველოს წინააღმდეგ”**

ჯაბა იოსელიანის ადვოკატმა სტრასბურგის სასამართლოს 2000 წელს, ჯერ კიდევ მაშინ მიმართა, როცა "მხედრიონის" ლიდერი ციხეში იჯდა. ამ სარჩელზე ევროსასამართლოს მიერ რაიმე რეაგირების მოხდენამდე, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ერთ დროს ძველ მეგობარს შეწყალების სიგელი უბოძა. თუმცა, ჯაბა იოსელიანს ძველი სარჩელი ევროსასამართლოდან უკან აღარ გამოუთხოვია.

ამ სარჩელმა შესაბამის სექციამდეც მიაღწია და მხარეების გამოკითხვაც ჩატარდა. როგორც თიკო ბურჯალიანმა გვაცნობა, ეს საქმე ჯერაც არ არის დაშვებული არსებით განხილვაზე.

**“ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ”**

ასლან აბაშიძის პოლიტიკური ოპონენტი ლევან ქიძინიძე აჭარის ლიდერის მიერ ოთხი წლის მანძილზე იდევნებოდა. მისი სარჩელი, ჩვენი ინფორმაციით, საკუთრების უფლების შელახვას ეხება.

**“ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ”**

ევროსასამართლოს, სასარჩელო განცხადებით, გაზეთ “ქობულეთის” რედაქტორმა ნატო ქათამაძემ მიმართა. მოსარჩელის აზრით, ქართულმა სასამართლომ ხელყო აზრის გამოთქმის თავისუფლების პრინციპი და არ გამიჯნა კერძო და საჯარო პირი. მოსარჩელეთა შეფასებით, კურიოზია, რომ სასამართლომ “ცნობების გამავრცელებლად” არა მარტო საინფორმაციო საშუალება და ჟურნალისტი, არამედ გაზეთის დამფუძნებელი - ქობულეთის რაიონის გამგეობაც მიიჩნია. ამ საქმეს ჯერ არ გაუვლია დაშვებითობის პროცედურა.

**“შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ”**

მოსარჩელეთა აზრით, მათთან მიმართებაში დარღვეული იქნა ევროკონვენციის მე-6 მუხლი, კერძოდ, მათი უფლება სამართლიან სასამართლოზე. როგორც ცნობილია, საქმე ეხება ჩეჩენი პატიმრების რუსეთში ფარულად ექსტრადიციას. ეს საქმე უკვე დაშვებულია არსებით განხილვაზე და, სავარაუდოდ, ევროსასამართლოს ვერდიქტი უკვე შემოდგომაზე გახდება ცნობილი.

**“გლდანის კონგრეგაცია 97 საქართველოს წინააღმდეგ”**

ორგანიზაციის წევრები ჩივიან ბასილ მკალავიშვილის მომხრეთა მიერ იეღოვას მოწმეების დარბევის ხელისუფლების მიერ ვერაღკვეთის გამო. ეს სარჩელი დაშვებულია არსებითად განსახილველად.

**“პენსილვანიის საგუშაგო კოშკი საქართველოს წინააღმდეგ”**

სარჩელში იეღოვას მოწმეების დარბევის გარდა, გაპროტესტებულია იეღოვას მოწმეთა ორგანიზაციებისთვის რეგისტრაციების გაუქმება.

**“გეგელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”**

ეს ის სარჩელებია, ცხადია, თენგიზ ასანიძისა და გურამ აბსანძის სარჩელებთან ერთად (მათ შესახებ ამავე გვერდზე წაიკითხავთ), რომელთა შესახებაც ევროსასამართლომ საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს ხელისუფლება.

**შალვა ნათელაშვილის** მიერ სტრასბურგში გაგზავნილი ათეულობით სხვადასხვა შინაარსის სარჩელი კი, ისევე, როგორც ფრიდონ ინჯიასა და სხვათა განაცხადები, ჯერჯერობით, ევროსასამართლოსთვის მხოლოდ და მხოლოდ ფარატინა ქაღალდია.

## "პარიზის კლუბმა" გადაწყვეტილება მიიღო

"პარიზის კლუბმა" საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც ერთი კვირა პარიზში იმყოფებოდა და კრედიტორი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს მართავდა, გუშინ თბილისში დაბრუნდა.

ვალების რესტრუქტურიზაციაზე მოლაპარაკებები სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, ირანის, ყაზახეთის, ავსტრიის, რუსეთის, თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნიდერლანდების წარმომადგენლებთან შედგა. რესტრუქტურიზაცია 2003-2006 წ.წ გადასახდელ თანხებს შეეხო - საუბარია როგორც პარიზის კლუბის წევრი ქვეყნების ვალებზე, ასევე არაწევრი ქვეყნების ვადადამდგარ ვალებზე, რომელთა საერთო ოდენობა 200 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ვალები "ჰიუსტონის პირობებით" გადავადდა, ძირითადი თანხის გადახდა 20 წლის შემდეგ დაიწყება. "პარიზის კლუბში" საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხის დასმა 2004 წლის 4 ივნისს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ საქართველოში ფონდის პროგრამის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ფონდმა პროგრამის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება შარშან, საქართველოს მთავრობის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიიღო. შესაბამისად, არ გაგრძელდა მოლაპარაკებები "პარიზის კლუბშიც" და საქართველოს საგარეო ვალების - 51,853,482.97 აშშ დოლარის გადახდის აუცილებლობა დაუდგა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლის ინფორმაციით, პარიზის კლუბში 21 ივლისს მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთვის უახლოეს 2 წელიწადში საგარეო ვალების მომსახურების გეგმის 169,2 მილიონი დოლარიდან 46 მილიონ დოლარამდე შემცირებას ითვალისწინებს, რაც "უაღრესად მნიშვნელოვანი მიღწევაა" და ბიუჯეტში თანხების ეკონომიის საშუალებას იძლევა.

შეგახსენებთ, რომ პირველად "პარიზის კლუბის" მეშვეობით საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია 2001 წლის 6 მარტს განხორციელდა. მაშინ საგარეო ვალის რესტრუქტურირება განხორციელდა დღეს ისევ მიღწეული, ანუ "გაუმჯობესებული ჰიუსტონის" პირობებით: კრედიტის მთლიანი ხანგრძლივობა - 20 წელი, მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი - 3 წელი, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი არა უმეტეს 4 პროცენტისა (ძირითადად, ეს მაჩვენებელი ქვეყნებთან ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად 3 პროცენტამდე ჩამოვიდა). სულ, 2001-2002 წ.წ. რესტრუქტუირებულმა თანხამ 242.69 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ჭიათურა.** საქართველოს მთავრობა სს "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციას უახლოეს მომავალში გეგმავს. საპრივატიზაციო ნუსხის მიხედვით, რომელშიც "ჭიათურმანგანუმი" ერთ-ერთ პირველ ადგილზე ფიგურირებს, სახელმწიფო სააქციო საზოგადოების აქციათა 100 პროცენტს ფლობს. თუმცა, როგორც სს "ჭიათურმანგანუმის" სამეთვალყურეო საბჭოში განაცხადეს, სახელმწიფო აღნიშნული საწარმოს აქციების არა 100 პროცენტის, არამედ მხოლოდ 81 პროცენტის მფლობელია. 1996 წელს საქართველოს მთავრობამ რუსეთისგან სესხის აღების მიზნით გირაოში სხვა მსხვილ ობიექტებთან ერთად, "ჭიათურმანგანუმის" აქციათა 5 პროცენტი ჩადო, რომელიც დღემდე არ გამოსყიდულა. 1999 წელს აქციათა 11 პროცენტი ორმა უცხოურმა კომპანიამ შეისყიდა. აქციათა 3 პროცენტის მფლობელები საწარმოს თანამშრომლები არიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს ბათუმის "ინტურისტი" შესაძლოა, უძრავ ქონებად გაიყიდოს. ამის შესახებ ეკონომიკის განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა. მისი თქმით, შპს ბათუმის "ინტურისტზე" აუქციონი ხვალ უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა სამინისტრომ ინვესტორების თხოვნა გაითვალისწინა და აუქციონის გამოცხადება ერთი კვირით გადადო. ბენდუქიძის თქმით, პოტენციურ მყიდველთა უმრავლესობას "ინტურისტის" უძრავ ქონებად შესყიდვა სურს, თუმცა სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია და სწავლობს, გაიყიდოს "ინტურისტი" როგორც შპს თუ როგორც უძრავი ქონება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მარტვილი.** მეხუთე დღეა, მარტვილის რაიონს დენი არ მიეწოდება. გამგეობაში აცხადებენ, რომ მათ ელექტროგადამცემი ხაზი "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" თანამშრომლებმა იმის გამო ჩაუჭრეს, რომ ის არალიცენზირებული და უკანონოდ გაყვანილი იყო. შედეგად, რაიონულ ცენტრშიც და 30-ზე მეტ სოფელში გამორთულია ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტი. გაჩერებულია მარტვილის ჩაის ფაბრიკაც, რის გამოც მოსახლეობა მოკრეფილი ჩაის ფოთლის ჩაბარებას ვერ ახერხებს. **მედია-ნიუსი**

# "რაო ეეს როსიი" საქართველოს ენერგეტიკას უმიზნებს

### რაპოპორტს თავისი ვიზიტის ოფიციალური მიზანი განუხორციელებელი დარჩა

მაია ურუშაძე

*"რაო ეეს როსიი" საქართველოს ენერგეტიკის მისამართით ღია მოქმედებაზე გადადის. გუშინ თბილისში ვიზიტით მყოფმა, რუსული ენერგოგიგანტის მმართველთა საბჭოს წევრმა ანდრეი რაპოპორტმა განაცხადა, რომ "რაო ეეს როსიი" საქართველოს ენერგოსისტემაში მიმდინარე პრივატიზების პროცესით დაინტერესებულია და მას გენერაციის ობიექტების, განსაკუთრებით კი – ენგურჰესის შესყიდვის სურვილი აქვს. "იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა სადგურის გაყიდვას გადაწყვეტს, კომპანია მის შესყიდვაზე იფიქრებს," – განაცხადა გუშინ რაპოპორტმა. რაც შეეხება "რაოელი" მაღალჩინოსნის ჩამოსვლის ძირითად მისიას, ის გუშინ შეუსრულებელი დარჩა. "თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ განუხილავს და არც კომპანიის 2003 წლის ფინანსური საქმიანობის ანგარიში დაუმტკიცებია. რაპოპორტმა ეს პროცედურა თავის მომავალ ვიზიტამდე – ერთი თვით გადადო.*



*რაპოპორტი საქართველოს საინვესტიციო გარემოთი უკმაყოფილოა.*

იური ლობოდინის ფოტო

გარდა იმისა, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ყველა რგოლით "რაო ეეს როსიის" დაინტერესება რაპოპორტმა გუშინ, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის შემდეგ ღიად დააფიქსირა, მან "რაოს" ინტერესი გაამჟღავნა **"სხვა ყველა იმ ენერგოობიექტის მიმართაც, სადაც დღეს ამერიკელები არ არიან".** მისი თქმით, ობიექტები, რომელთაც ამერიკელები მართავენ, "რაოს" ყურადღების არეალში არ არიან (ჯერჯერობით).

ამერიკელები, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გარდა, არც ერთ ენერგეტიკულ საწარმოს არ მართავენ. ფაქტობრივად, გამოდის, რომ რუსულ ელექტროენერგეტიკულ გიგანტს საქართველოს ენერგოსისტემის ყველა რგოლი აინტერესებს, გენერაციიდან – დისპეტჩერიზაციის გავლით და დისტრიბუციის ჩათვლით. ამასთან, ის დაინტერესებულია აკონტროლოს როგორც მაგისტრალური, ასევე ქვეყნის შიდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებიც.

პრემიერ-მინისტრსა და "რაოს" მაღალჩინოსნის შეხვედრას ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური და რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც ესწრებოდნენ. აქვე იყო "თელასის" "რაოელი" თავკაცი დანგირას მიკალაიუნასიც.

მიუხედავად ქვეყანაში დაწყებული "დიდი პრივატიზაციისა", ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ირწმუნება, რომ გენერაციის სტრატეგიული ობიექტის – ენგურჰესის გასხვისება არ იგეგმება. ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის განცხადებით, სადგურის პრივატიზება **"მხოლოდ დიდი პოლიტიკური გარიგების ფასად მოხდება."**

თუმცა, გუშინ ენგურჰესისკენ მადაგახსნილ და "თელასის" სამომავლო გეგმებით ამაყ "რაოს" მაღალჩინოსანს კიდევ ერთი ბარიერი დახვდა წინ. **"სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების პრივატიზაციის შესახებ "რაოსთან" მოლაპარაკებები მანამდე არ დაიწყება, ვიდრე კომპანიასთან არსებული პრობლემები, მათ შორის - ფინანსური საკითხები არ მოგვარდება,"** – წყალი გადაუწურა "რაოს" ენერგეტიკის მინისტრმა. მისი განმარტებით, საბითუმო ბაზარს მთლიანობაში "თელასის" 53 მილიონლარიანი დავალიანება აქვს, თუმცა ამ ვალის ძირითად ნაწილად ქართული მხარე 30 მილიონ ლარს ანგარიშობს. საქმე ისაა, რომ "რაოს" ჯერ კიდევ არ არის დაუფარავს საკუთარი წილი საქართველო-რუსეთის თანაბარი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სააქციო საზოგადოება "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალში. ამ თანხის შევსებას 23 მილიონი დოლარი აკლია. ენერგეტიკის მინისტრი "რაოს" სწორედ "საქრუსენერგოს" საწესდებო კაპიტალიდან უქვითავს 23 მილიონ დოლარს, რომლის გაქვითვასაც ენერგოგიგანტი საქართველოსთვის მოწოდებული დენის დავალიანების ანგარიშში ითხოვდა. რუსული მხარის მონაცემებით, დავალიანება, რომელიც საქართველოს "რაო ეეს როსიის" მიმართ წლების მანძილზე დაუგროვდა, 46 მილიონ დოლარს შეადგენს. მაგრამ, ქართული მხარე ამ ციფრს ეჭვქვეშ აყენებს: **"ეს დავალიანება არარეალურია, რადგან ამ თანხიდან 29 მილიონი დოლარის ღირებულების ელექტროენერგიის იმპორტზე კონტრაქტი გაფორმებული არ არის, 8 მილიონი დოლარი კი კომპანია "ენერგოკონტრაქტის" კერძო ვალია. საქართველომ 46 მილიონი დოლარიდან შეიძლება მხოლოდ 8 მილიონი დოლარი გაისტუმროს, ეს ვალი "რაო ეეს როსიის" მიმართ ადრე, "საქენერგოს" მართებდა. "საქენერგოს" სამართალმემკვიდრე კი ამჟამად "საქენერგო 2000"-ია, ამიტომ ვალი მან უნდა დაფაროს,"** – აცხადებს გილაური.

მოკლედ, ვის ვისი და რამდენი მართებს, დღეიდან სპეციალური მუშა-ჯგუფის გასარკვევია, რომელშიც ქართული მხრიდან ეკონომიკის, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროების წარმომადგენლები შევლენ. ამ ჯგუფმა ორ მხარეს შორის სადავო საკითხები 15 აგვისტომდე უნდა შეათანხმოს.

განსახილველ საკითხებს შორის საყურადღებოა "თელასის" სამომავლო გეგმები: რაპოპორტის თქმით, ათი თვეა, რაც "რაო ეეს როსიიმ" "თელასი" შეისყიდა და უკვე 15 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. ახლა კი კომპანია თბილისის ქსელების რეაბილიტაციაში კიდევ 5 მილიონი დოლარის ინვესტირებას, ხოლო "ხრამი 1"-ის რეაბილიტაციაში – 4 მილიონი დოლარის ჩადებას გეგმავს. ამ სამუშაოებს კომპანია მომავალი ზამთრისთვის მზადების პროგრამის ფარგლებში განახორციელებს. ქართველ სპეციალისტებს კი "თელასის" საქმიანობისთვის თვალყურის აქტიურად დევნება მოუწევთ, რათა კომპანიამ საქართველოს ენერგეტიკას ძნელად გასასტუმრებელი კრედიტები არ აჰკიდოს.

იმისათვის, რომ კომპანიამ საქართველოში თავი მშვიდად და დაცულად იგრძნოს, რაპოპორტი საქართველოს ხელისუფლებისგან საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასაც ითხოვს. როგორც მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარესთან რაპოპორტის შეხვედრისას გაირკვა, "რაო ეეს როსიის" საქართველოში დღეს არსებული საინვესტიციო გარემო არ მოსწონს და უკმაყოფილოა იმ საგადასახადო ტვირთით, რომელიც კომპანიას ზურგზე აწევს.

რაპოპორტის სამუშაო გრაფიკი გუშინ ძალიან დატვირთული აღმოჩნდა. შესაძლოა, ამიტომაც, მან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება წინასწარ დაგეგმილ და დეკლარირებულ ფორმატში ვერ მოახერხა. ისე, შესაძლოა, ამ "მოუცლელობას" სხვაგვარი ახსნაც ჰქონდეს. გვერდიდან ისე ჩანს, თითქოს, "რაოს" ამ და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის რუსული ენერგოგიგანტი საქართველოს ხელისუფლებას ერთთვიან ვადას აძლევდეს – სწორედ ამ დროის გასვლის შემდეგ, რაპოპორტი ისევ ეწვევა თბილისს გუშინდელი ვიზიტის ოფიციალური მისიის შესასრულებლად – სამეთვალყურეო საბჭომ, რომლის თავმჯდომარეობასაც რაპოპორტი ითავსებს, აგვისტოს მიწურულს "თელასის" 2003 წლის ფინანსური ანგარიში უნდა დაამტკიცოს.

# "თბილუნივერსალბანკი" - მცირე და საშუალო ბიზნესზე ორიენტირებული ბანკი

სოფო თბილელი

*რამდენიმე ხნის წინ წარმოუდგენელიც კი იყო, რომ პატარა მაღაზიის მფლობელი ან ჯიხურის მეპატრონე თავისი ბიზნესის გაფართოებისთვის სესხის ბანკიდან გამოტანას შეძლებდა. მათთვის ბანკი ყოველთვის დახურულ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ მდიდრებს ემსახურებოდა. დღესდღეობით, კი მთელი რიგი ბანკები ძირითადად სწორედ მცირე და საშუალო სეგმენტზე არიან ორიენტირებულნი. ერთ-ერთი ასეთი ბანკი "თბილუნივერსალბანკია", რომლის ძირითადი მომხმარებლები და პარტნიორები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არიან.*

"თბილუნივერსალბანკის" ძირითად კლიენტებს განვითარებაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ზომის კომპანიები და მათთან დაკავშირებული საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ბანკის ხელმძღვანელი პირების განმარტებით, "თბილუნივერსალბანკის" საქმიანობა მთლიანად მცირე და საშულო ბიზნესის მხარდაჭერისკენაა მიმართული. **"ჩვენი ბანკი მთლიანად ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის ბაზარზე",** - განაცხადა "თბილუნივერსალბანკის" ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მიშა გაფრინდაშვილმა.

"თბილუნივერსალბანკში" ირწმუნებიან, რომ მათი პროდუქტების უმეტესობა სპეციალურად მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნა. მაგალითად: ესქპრეს და მიკრო სესხები; ამასთანავე, "თბილუნივერსალბანკმა", პირველმა საქართველოში შექმნა და დანერგა საბანკო სისტემისთვის სრულიად ახალი პროდუქტი - პირადი ბანკირის მომსახურება. ბანკს ფულადი გადარიცხვების ორი სისტემა აქვს - სტანდარტული და იმპორტიორი, რომელიც მცირე კომპანიათა საჭიროებებზეა მორგებული. ამის გარდა, ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფილიალებისათვის ადგილმდებარეობის შერჩევასაც. ფილიალების ადგილმდებარეობის შერჩევის მთავარი კრიტერიუმია, რომ მცირე და საშულო ბიზნესის წარმომადგენლებმა ბანკში მისასვლელად ბევრი დრო არ დახარჯონ. ასევე სპეციალურად ამ სეგმენტისათვისაა შექმნილი პროდუქტი, რომლის მეშვეობითაც მცირე და საშუალო ბიზნესმენები თურქეთისა და აზერბაიჯანში ანგარიშის გახსნის გარეშე შეუძლიათ აწარმოონ ფულის გადარიცხვა. **"ეს გაკეთდა იმისთვის რომ ბიზნესმენებმა ფული ხელით არ ატარონ. ფული შემოდის ჩვენთან. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს დამყარებული აზერბაიჯანისა და თურქეთის ბანკებთან. ამ ქვეყნებში ჩასული ადამიანი, უპრობლემოდ, პაროლისა და პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ იღებს ფულს",** - განაცხადა გაფრინდაშვილმა.

ბანკი უკვე დიდი ხანია წარმატებით ახორციელებს ფულად გზავნილებს "კონტაქტის" სისტემით, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოახდინოს ფულის სწრაფი გადარიცხვა მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში." ამის გარდა, "თბილუნივერსალბანკმა" საქართველოში პირველმა დანერგა ფულადი გზავნილების ახალი სისტემა "მიგომი". დღესდღეობით, რუსეთის ბაზარზე მოღვაწე მცირე და საშუალო ბიზნესში დასქმებული პირები უკვე სარგებლობენ ფულადი გზავნილების ამ ახალი სისტემით. ბანკი, რომელიც მთლიანად მცირე და საშულო ბიზნესის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, ბუნებრივია, რომ სისტემატურად ზრუნავს ისეთი პროდუქტების შექმნაზე, რომლებიც უშუალოდ იქნება მორგებული ამ სეგმენტზე. **"მთავარი ის არის, რომ ჩვენ მუდმივად ვიჭერთ ამ ბიზნესის მოთხოვნებს და ვცდილობთ ყველაფერი მაქსიმალურად მოვარგოთ მცირე და საშუალო ბიზნესს",** - აცხადებენ ბანკში. ბანკის ხელმძღვანელი პირების თქმით, "თბილუნივერსალბანკი" მომავალშიც გეგმავს მთელი რიგი ახალი პროდუქტების შექმნას, რომლებიც ძირითადად სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. საკრედიტო სამსახურის უფროსის ვასილ ვერულაშვილის თქმით, ის რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ჯამურ პორტფელს, მთლიანად ბანკის პორტფელში ძირითადი ნაწილი უკავია, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბანკი ძირითადად მცირე და საშულო ბიზნესზეა ორიენტირებული.

ყველაზე დიდი მოთხოვნა, როგორც ყველა ბანკში - სესხზეა. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, "თბილუნივერსალბანკი" უფრო მცირე მასშტაბების ბიზნესებსაც აფინანსებს და თავის კლიენტებს მცირე და საშუალო მოცულობის სესხებთან ერთად მიკრო და ექსპრეს სესხებსაც სთავაზობს.

ექსპრეს სესხი ერთ-ერთი ყველაზე ახალი საკრედიტო პროდუქტია. მისი მოცულობაა 200 - 2000 აშშ დოლარი, დაფარვის ვადა 12 თვემდეა. ექსპრეს სესხის მიმზიდველობა კი ისაა, რომ მისი გაფორმების გამარტივებული სქემა ხარჯებს არ მოითხოვს. ბანკის ხელმძღვანელი პირების განმარტებით, ექსპრეს სესხის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი არ არის უძრავი ქონება, სავსებით საკმარისია თავდებობა ან მოძრავი ქონების დაგირავება, რაც გაცილებით იოლი და სწრაფად შესასრულებელია. "თბილუნივერსალბანკის" საკრედიტო სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად, ექსპრეს სესხებით მოსარგებლე კლიენტების რაოდენობა საკმაოდ ბევრია.

ადამიანს, რომელსაც კონკრეტულ ბიზნესში მინიმუმ ექვსი თვის გამოცდილება აქვს, მის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების ან კომპანიის კუთვნილი აქტივების წარდგენის შემდეგ შეუძლია ბანკიდან მიკროსესხის გამოტანა, რომლის მოცულობა 1,000 დოლარიდან 20 ათას დოლარამდეა. იგივე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების პროგრამის მოხმარების მსურველიც. "თბილუნივერსალბანკში" მცირე და საშუალო სესხის თანხა მინიმუმ 20 ათასი აშშ დოლარია, მაქსიმუმ - 500 ათასი აშშ დოლარი. "თბილუნივერსალბანკში" სესხი მაქსიმუმ შვიდი წლით გაიცემა. თუმცა, ვადებიც, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთების მოცულობა კონკრეტული საკითხის შესწავლიდან გამომდინარეობს. ასევე ინდივიდუალურად ხდება სესხის დაბრუნების გრაფიკის შედგენაც. მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში საპროცენტო განაკვეთები 17 დან 22 პროცენტამდე ვარირებს. ბანკის ხელმძღვანელი პირების განმარტებით, რისკის ფაქტორი და ვადა საბოლოო ჯამში საპროცენტო განაკვეთში აისახება. რაც შეეხება სესხის უზრუნველყოფის ღირებულებას, "თბილუნივერსალბანკში" აცხადებენ, რომ უზრუნველყოფის ღირებულება სესხს უნდა აღემატებოდეს. ბანკის ხელმძღვანელი პირების განმარტებით, კლიენტებისადმი ინდივიდუალური მიდგომა "თბილუნივერსალბანკის" მთავარი პრიორიტეტია. მათივე თქმით, ბანკში ყველაფერი ინდივიდუალურად ხდება: ბიზნესის შესწავლა, სესხებისა და სხვა პროდუქტების მიწოდება და მომსახურებაც. **"ჩვენი სურვილია ჩვენმა კლიენტმა თავი იგრძნოს როგორც ინდივიდმა, ბიზნესმენმა, რომელსაც პატივს სცემენ, იგრძნოს, რომ ის "თავის" ბანკშია",** - განაცხადა გაფრინდაშვილმა.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც "თბილუნივერსალბანკი" კლიენტებს შესთავაზებს ბიზნესის მარაგების დაგირავებას გულისხმობს. **"თუ კლიენტს არა აქვს ის უძრავი ქონება რითიც სესხი უნდა უზრუნველყოს, მას შეუძლია დააგირაოს ბიზნესის აქტივი. მერწმუნეთ" ასეთი მიდგომა ძალიან მომგებიანია ბიზნესმენებისთვის. ეს უფრო მოქნილია",** - აცხადებენ ბანკში.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს სატრანსფორმატორო ჯიხურების რემონტზე;**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.

თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 აგვისტო.

**ბი-პისა და მისი პარტნიორების, BTC /SCP პროექტების მიერ დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში მერსი ქორი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები უკვე მეორე წელია ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის სამუშაოებს მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მობილიზაციისა და გაძლიერების მიზნით.**

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ხაიში პროგრამის პარტნიორი ბიომეურნეობათა ასოციაცია ელკანა წარმატებით ახორციელებს საქმიანობას სოფლის მეურნეობის კუთხით. ამ ორგანიზაციის დახმარებით სოფელში ყველა ოჯახს სურვილის მიხედვით დაურიგდა ხუთი ძირი ნამყენი სხვადასხვა ხეხილის მაღალი ხარისხის ნერგი - ვაშლი, გარგარი, ალუჩა, ატამი, მსხალი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ დარგულთაგან ყველა ნერგმა გაიხარა.

მოსახლეობის თხოვნით ელკანამ განახორციელა საშემოდგომო ხორბლის სათესლე მასალის წარმოების მოდელი, რომლის მიხედვითაც სერტიფიცირებული ხორბალი დაითესა სოფლის საკუთრებაში მყოფ 5 ჰა ნაკვეთზე. ამ მოდელმა უკვე თავისი შედეგიც მოიტანა - აღებული მოსავალი თანაბრად განაწილდა მოსახლეობაში, რამაც შექმნა მეორე რეპროდუქციის სათესლე მასალის მარაგი. გარდა ამისა, სექტემბერში მოსახლეობას დაურიგდება ელიტური ან პირველი რეპროდუქციის სათესლე მასალა. შედეგად შემოდგომაზე ყველა ოჯახი დათესავს თითქმის 1 ჰექტარს და შემდეგ წელს უკვე მოსავალსაც მიიღებს.

მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებით საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში ჩართულ თეთრიწყაროს რაიონის სოფლებში შევა ელიტური ან პირველი რეპროდუქციის სერტიფიცირებული ხორბლის სათესლე მასალა, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას აწარმოოს უმაღლესი ხარისხის ხორბლის თესლი 3-4 წლის განმავლობაში.

# დემოკრატია ნავთობისათვის თუ ნავთობი დემოკრატიისათვის?

ლაშა გიორგიძე

2003 წლის აპრილში ერაყში დაწყებულ ომს ბევრი საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი ნავთობს უკავშირებდა. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმი რეალურად საფრთხეს უქმნიდა როგორც მსოფლიოს და რეგიონის ყველა ქვეყანას, ისე ერაყის ადგილობრივ მოსახლეობასაც. მიუხედავად იმისა, რომ ომის ძირითადი საბაბი, მასობრივი განადგურების იარაღი ვერ აღმოაჩინეს, ერაყში არსებულ ვითარებას არ შეიძლება, არსებული ბოროტების მსგავსი ბოროტებით შეცვლა ვუწოდოთ და, შესაბამისად, არ გავამართლოთ ამ ომის დაწყების აუცილებლობა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ საკითხით დაინტერესებულ პიროვნებას ბუნებრივად ებადება შეკითხვა: აშშ-ს ერაყში ნავთობი უფრო აინტერესებდა თუ ქვეყნის დემოკრატიულ პრონციპებზე გადასვლა? სწორედ ამიტომ არის, რომ 2004 წლის 28 ივნისს ხელისუფლების ერაყის მთავრობის ხელში გადასვლის შემდეგაც, ამ საკითხებით დაინტერესება არ განელებულა. ამ ქვეყანაში მიღწეული ნებისმიერი წარმატება თუ წარუმატებლობა კი, რა თქმა უნდა, დემოკრატიული ფასეულობების უპირველეს ექსპორტიორს - აშშ-ს მიეწერება.

ერაყში არსებული ნავთობის მარაგი ადგილობრივი თუ უცხოელი ექსპერტების მიერ არაერთხელ არის შეფასებული. იგი დღევანდელობის ამ უმდიდრესი ბუნებრივი რესურსით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. თუმცა, ახლა საკითხავია, როგორ მოხდება ნავთობისაგან მიღებული შემოსავლების ხარჯვა და რას მოხმარდება იგი? ამ საკითხების შესწავლას რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ემსახურება, რომლებიც ერაყის ახალი ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ბოლო დროს უკმაყოფილებას გამოთქვამენ. მათ შორის ერთ-ერთი ავტორიტეტული ერაყის კონსულტაციისა და მონიტორინგის საერთაშორისო საბჭოა **(International Advisory and Monitoring Board of Iraq)**. აღნიშნულმა ორგანიზაციამ რამდენიმე დღის წინ მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, რომ ერაყის ახალი მთავრობა ნავთობიდან შემოსულ თანხებს საკმარისზე ნაკლებ ზედამხედველობას უწევს, ხოლო არასაკმარისი ფინანსური კონტროლი ქვეყანაში კორუფციის ასაყვავებლად არაჩვეულებრივ ნიადაგს ამზადებს. მოხსენებაში, ასევე, გაკრიტიკებული იყო აშშ-ს წარმომადგენლობაც ერაყში, რომელთაც ერაყის ფონდებში აშშ-დან გადარიცხული თანხების მიზნობრივი ხარჯვა უნდა აღერიცხათ. მხოლოდ ივნისის თვეში გადარიცხული საერთო თანხა კი 20 მილიარდია.



*ვისი კეთილდღეობისთვის იბრძვიან ამერიკელი ჯარისკაცები, ნუთუ მხოლოდ ერაყელი ხალხის?*

კრიტიკოსები ასევე შეშფოთებას გამოთქვამენ იმის შესახებ, რომ ერაყში არსებული ფონდების საქმიანობა გამჭვირვალე არ არის და, შესაბამისად, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს საერთაშორისო საზოგადოებაში. "ჩვენ ზუსტად ისიც კი არ ვიცით, თუ ვინ დგას კონტრაქტის მეორე მხარეს?" - აცხადებს ერაყის შემოსავლების ხარჯვით დაინტერესებული ერთ-ერთი ორგანიზაციის **(Iraqi Revenue Watch)** წარმომადგენელი.

საერთაშორისო ორგანიზაციებს ამერიკელი ოფიციალური პირებიც ეთანხმებიან, რომლებიც აცხადებენ, რომ ჭაბურღილებზე შესაბამისი აღჭურვილობის არარსებობის გამო საკმაოდ დიდი რაოდენობის კონტრაბანდული ნავთობი გაიტანეს ქვეყნიდან, განსაკუთრებით, ოკუპაციის პირველი თვეების განმავლობაში. უფრო მეტი კონტროლის განსახორციელებლად და კორუფციასთან საბრძოლველად ერაყში აუდიტის უმაღლესი საბჭო შეიქმნა **(Board of Supreme Audit)**. თუმცა, არავინ იცის, რამდენად მიეცემა ამ სტრუქტურას ნორმალურად მუშაობის საშუალება იმ პირობებში, როდესაც მისი პირველი ხელმძღვანელი სიცოცხლეს ცოტა ხნის წინ გამოასალმეს.

კოალიციის ჯარები, წელიწადზე მეტია, ერაყში დემოკრატიის დასაცავად იბრძვიან. ეს ბრძოლა სადამ ჰუსეინის ჩამოგდებით დაიწყო და დღემდე გრძელდება. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ დიქტატორის დაჭერა და მისი შვილების სიკვდილი მიზნის მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა. სუნიტების, შიიტებისა და ქურთების პრობლემები, რასაც ჰუსეინი ძალისმიერი მეთოდებით აგვარებდა, მოლაპარაკების მაგიდასთან უფრო რთული გადასაჭრელი აღმოჩნდა. თუმცა, ამერიკელთა შუამდგომლობით, ყველა მხარემ შესაბამისი უფლებები მიიღო და მოვალეობებიც იკისრა

ახლა საკითხავია ის, თუ როგორ მოხდება დემოკრატიული პრინციპების რეალურად განხორციელება ერაყში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მ ქვეყანაში მმართველობა, დანაპირებისამებრ, ადგილობრივ მთავრობას გადასცა, რომელმაც 2005 წელს ახალი მთავრობის არჩევნები და კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით რეფერენდუმი უნდა ჩაატაროს, ბევრს ეპარება ეჭვი, რომ ერაყი ოდესმე სტაბილური დემოკრატიული ქვეყანა გახდება. ამ მიზნის მისაღწევად კი, საერთაშორისო საზოგადოებამ და, განსაკუთრებით, აშშ-მ ყველაფერი გააკეთა. თუ ვაშინგტონმა დემოკრატიის ნიღაბი ერაყის ნავთობის მოსაპოვებლად მოირგო, ერაყმა საკუთარი ნავთობი თავისი დემოკრატიის დაცვას უნდა მოახმაროს. ურთიერთშეთანხმება მიღწეულია: ერაყიდან გაედინება ნავთობი, ხოლო დასავლეთიდან - დემოკრატიული პრინციპები.

# აშშ-ს ეროვნული კომისია ოცთვიანი საქმიანობის შედეგებს აქვეყნებს

ხათუნა გაბიევი

გუშინ აშშ-ს ეროვნულმა კომისიამ 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერაქტის შესახებ 575-გვერდიანი მოხსენება გამოაქვეყნა. კომისია ასახელებს 10 შემთხვევას, როდესაც აშშ-ს შეეძლო თვითმკვლელი-ტერორისტების შეჩერება, მაგრამ არაფერი გააკეთა. ამათგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნომერ პირველი ტერორისტის ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის წარუმატებელი მცდელობა და დაზვერვის ფედერალურ ბიუროსა და დაზვერვის ცენტრალურ განყოფილებას შორის აუცილებელი თანამშრომლობის არარსებობა. გარდა ამისა, როგორც გამოძიების მასალები გვიჩვენებს, დაზვერვის "დასაკვირვებელ პირთა სიაში" არ ფიგურირებდა იმ ორი კამიკაძის სახელი, რომლებიც 2000 წელს მალაიზიაში "ალ ქაიდას" ტერორისტთა შეხვედრას ესწრებოდნენ.

კომისია პირდაპირ არ ადანაშაულებს ბუშის ადმინისტრაციას, რომელიც ხელისუფლების სათავეში 2001 წლის იანვარს მოვიდა, და არც მისი წინამორბედი დემოკრატი კლინტონის ადმინისტრაციას. თუმცა, მცირეოდენ მინიშნებას კომისია მაინც აკეთებს იმ ფაქტზე, რომ აშშ-ს ადმინისტრაციამ 2001 წლის აგვისტოს ფედერალური დაზვერვის ბიუროს ანალიტიკურ ჩანაწერს სათანადო ყურადღება არ მიაქცია. აღნიშნულ დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა, რომ ბინ ლადენი აშშ-ს წინააღმდეგ ტერაქტების სერიის განხორციელებას, ხოლო მისი თანამოაზრეები - თვითმფრინავის გატაცებას აპირებდნენ, რათა ამ გზით მოეხდინათ ზეწოლა თეთრ სახლზე, აშშ-ს ციხეებში მყოფი "ალ ქაიდას" წევრების გასათავისუფლებლად.

ტრაგედიის მიზეზების დასკვნებთან ერთად, კომისია მთელ რიგ წინადადებებსა და რეკომენდაციებს აქვეყნებს, რაც სამომავლოდ ტერაქტების პროფილაქტიკისკენაა მიმართული.



*აშშ-ს ეროვნული კომისია სამომავლოდ დაზვერვის ეფექტური მუშაობისთვის რეკომენდაციებს იძლევა*

საგამოძიებო კომისიის წევრის, ფრედ ფილდინგის განცხადებით, კომისიის მიზანი მხოლოდ პრობლემის გადაჭრა იყო და არა ვინმეს დასჯა. "ჩვენ, უბრალოდ, გვსურს, რომ ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდეს", - აღნიშნა მან.

"ლე ფიგაროს" თანახმად, კომისია მძაფრად მხოლოდ აშშ-ს კონგრესს აკრიტიკებს და დრამატული ცვლილებების განხორციელებას აუცილებლად მიიჩნევს. შესაცვლელია ზედამხედველობის ის ფორმა, რომელსაც აშშ-ს კონგრესი სპეცსამსახურების საქმიანობაზე დღემდე ახორციელებდა.

შესაძლოა, შტატების შეცდომა ისიც იყო, რომ "ალ ქაიდასაგან" მომავალი საფრთხის გამკლავებას ზესახელმწიფო იმ მეთოდებით ცდილობდა, რომელიც კარგად ჰქონდა აპრობირებული "ცივი ომის" უკანასკნელ წლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისლამურ ტერორიზმთან საბრძოლველად არანაირად არ გამოდგებოდა.

ტერორისტების გამოწვევების თემა მასმედიის საშუალებით არ გავრცობილა. იგი არ შეადგენდა პოლიტიკური დებატების უმთავრეს საგანს. რეალურად, ამ საფრთხის მიჩქმალვას ხელი მაშინდელი საპრეზიდენტო არჩევნების "ციებ-ცხელებამ" შეუწყო.

კომისიის რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილი იქნება, თუ აშშ-ს ხელისუფლების სტრუქტურას დაემატება კიდევ ერთი უწყება, რომელიც ყველა სპეცსამსახურსა და დაზვერვის ქვეგანყოფილებას გააკონტროლებს.

გარდა ამისა, საჭიროა შეიქმნას ანტიტერორისტული ეროვნული ცენტრი, რომლის მოვალეობაც "აშშ-ს ტერიტორიაზე და მის გარეთ ისლამისტი ტერორისტების წინააღმდეგ სტრატეგიული დაზვერვისა და ოპერაციული დაგეგმვის შერწყმა" იქნება.

მოხსენება არ გულისხმობს აშშ-ში ბრიტანული მი-5 ტიპის ანალოგიური შიდა სადაზვერვო სამსახურების შექმნას.

11 სექტემბრის ტერაქტის გამოძიებაზე კომისია 20 თვის განმავლობაში მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში კომისიამ უამრავი ადამიანი დაკითხა, მათ შორის - აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი, პრეზიდენტის მრჩეველი უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისი და აშშ-ს სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები.

კომისია სულ ათი წევრისგან შედგებოდა, რომელთაც ადრე მაღალი სახელმწიფო პოსტები ეკავათ, ამჟამად კი ისინი კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობენ და არანაირად აღარ არიან დაკავშირებულნი სახელმწიფო მოღვაწეობასთან.

ამერიკელი ანალიტიკოსები 11 სექტემბრის საგამოძიებო კომისიის საქმიანობას ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ 1964 წლის ერლ უორენის სასამართლო კომისიის შემდეგ. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ამერიკის პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობის საქმეს იძიებდა.

## შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ღია კონკურსს

1. შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი ობიექტების (საქონელი, მომსახურება, სამუშაო):
ა) მინი ასს-ის (ავტომატური სატელეფონო სადგურის),
ბ) ინტერნეტ არხის გამოყოფის (ოპტიკურბოჭკოვანი კაბელის ან სპეციალური რადიოგადამცემის გამოყენებით),
გ) ადგილობრივი ლოკალური კომპიუტერული ქსელის პროექტირებისა და მშენებლობის,
დ) თბილისის აეროპორტიდან სენაკის ლოკატორამდე რადიო სარელეო ხაზის აგების,
ე) 100 აბონენტზე გათვლილი სტაციონარული რადიოსადგურის (თავისი რაციებით),
ვ) 3 ცალი რადიო სარელეო სადგურის,
ზ) 50 კომპიუტერისა და 36 პრინტერის
შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. შესასყიდი ობიექტების აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, შეეძლებათ 2004 წლის 26 ივლისიდან მისამართზე: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".
4. ამ განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე და შესაბამისად დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეადგინონ მათი საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები (საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შემადგენელ ნაწილს). საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნას წარმოდგენილი ამ განცხადების მე-3 მუხლში აღნიშნულ მისამართზე 2004 წლის 27 ივლისიდან 27 აგვისტოს 1700 საათამდე. შპს "საქაერონავიგაციას" უფლება აქვს კონკურსის მონაწილეებს მოთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.
5. კონკურსის თაობაზე დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ამ განცხადების მე-3 მუხლში მითითებულ მისამართზე. ვებ გვერდი: http://www.airnav.com.ge ტელეფონი: (+995 32) 94 77 39, საკონტაქტო პირი გიორგი ედიშერაშვილი.

# არაფატის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება

პალესტინამ საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც ისრაელს ე.წ. "უსაფრთხოების კედლის" დემონტაჟი ევალება. ასამბლეაზე წარმოდგენილი ქვეყნებიდან მხოლოდ აშშ-მ, ისრაელმა, ავსტრალიამ, მარშალის კუნძულებმა, მიკრონეზიამ და პალაუს კუნძულებმა მისცეს ხმა რეზოლუციის წინააღმდეგ. სხდომას არ დაესწრნენ 10 ქვეყნის, მათ შორის, კანადის წარმომადგენლები. ზოგიერთმა ქვეყანამ კი თავი შეიკავა.

მიუხედავად ამისა, პალესტინის ავტონომიის ეს გამარჯვება კვლავ არ არის გადამწყვეტი. ისევე როგორც ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს დადგენილება, გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაც აუცილებლად შესრულებას არ ექვემდებარება. ისრაელზე ზეწოლა, თან ეკონომიკური სანქციების სახით, მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია. თუმცა, ვაშინგტონმა არაერთგზის განაცხადა, რომ თუ კედლის თაობაზე რეზოლუციის პროექტი განსახილველად უშიშროების საბჭოში შევა, აშშ ვეტოს უფლებას გამოიყენებდა. პალესტინელთა განცხადებით კი, ისინი საკითხის უშიშროების საბჭოში დაყენებას აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე არ აპირებენ.

გაერო-ში პალესტინის წარმომადგენელმა ნასერ ალ-კიდვამ განაცხადა, რომ ორივე საერთაშორისო გადაწყვეტილების რეკომენდაციული ხასიათის მიუხედავად, ისინი "მორალურ ვალდებულებებს აკისრებენ არა მარტო ისრაელს, არამედ მთელ საერთაშორისო თანამეგობრობასაც".

თავის მხრივ, გაერო-ს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას ისრაელმა "სიმართლის დამახინჯება" და "უმრავლესობის ტირანია" უწოდა. პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის მრჩეველი რაანან გისინი ირწმუნება, რომ "უსაფრთხოების კედლის მშენებლობა არათუ არ შეჩერდება, არამედ დაჩქარებული ტემპებით გაგრძელდება". ისრაელი და აშშ დაჟინებით იცავენ ნაგებობის კანონიერებას, რომელიც, მათი მტკიცე რწმენით, ისრაელის მოქალაქეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

უნდა აღინიშნოს, რომ რეზოლუცია, შესაძლოა, არც მიეღოთ, თუკი უკანასკნელ მომენტში არაბულ სახელმწიფოთა ლიგა პროექტის ტექსტში ცვლილებების შეტანაზე არ დათანხმდებოდა. საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით, დოკუმენტში "ნებისმიერი ტერორისტული აქტის დაგმობა" და იმ მოთხოვნების შესრულება დაამატეს, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ "საგზაო რუკაშია" დაყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი 25-ვე სახელმწიფო კენჭისყრისაგან თავს შეიკავებდა და რეზოლუციას მხარს არ დაუჭერდა.

პალესტინელებისათვის უკიდურესად მნიშვნელოვან, გაერო-ს გადაწყვეტილებას თვით ავტონომიაში არსებული უწესრიგობები აყენებს ჩრდილს. სამშაბათს, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ რამალაში, პალესტინის ავტონომიის საკანონმდებლო საბჭოს წევრსა და ინფორმაციის ყოფილ მინისტრზე ნაბილ ამრზე თავდასხმა მოხდა. თავდამსხმელმა 6-ჯერ ისროლა, თუმცა ამრმა მხოლოდ 2 უმნიშვნელო ჭრილობა მიიღო ფეხში. ვინ მოაწყო თავდასხმა, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ რეფორმების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მხარდამჭერ და იასირ არაფატის ყველაზე სერიოზულ კრიტიკოს ნაბილ ამრს საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს. გასულ წელს ამრის სახლი მას შემდეგ დაცხრილეს, როდესაც იგი პალესტინის ავტონომიის მეთაურის წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ არაფატმა დაიყოლია პრემიერ-მინისტრი ახმედ კურეი, გადადგომაზე უარი ეთქვა და ღაზას სექტორში აჯანყებულები მცირედით მაინც დააწყნარებინა, პალესტინის ავტონომიაში კრიზისი ჯერ კიდევ არ დარეგულირებულა.

მეტიც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ცნობით, ეს უფრო სერიოზული მოვლენების ჯერ კიდევ მოსამზადებელი ეტაპია. ლონდონში გამოცემული არაბულენოვანი გაზეთის "ალ-კუდს ალ-არაბის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც პალესტინის მეთაურის უახლოეს გარემოცვაში მყოფ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ არაფატის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება. შეთქმულებაში აშშ-ს სპეცსამსახურები, ეგვიპტის დაზვერვა და ავტონომიის მეთაურის ერთ-ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგე – მუჰამედ დაჰლიანი იღებენ მონაწილეობას. სამივე მხარის გადაწყვეტილებით, არაფატის თავიდან მოშორების ყველაზე ეფექტურ საშუალებას შიდა გადატრიალება წარმოადგენს. "არეულობა ღაზაში, რომელიც უშუალოდ ეგვიპტის დაზვერვის ხელმძღვანელის, ომარ სულეიმანის მიერ არის ორგანიზებული, გადატრიალების პირველი სტადია გახლავთ, რაც ავტონომიაში არაფატის გავლენის შემცირებას ემსახურება", – ირწმუნება "ალ-კუდს ალ-არაბი".

*24 საათი*

# რუსეთის სტაბილურობა მცირდება

რუსეთში სტაბილურ განვითარებას საფრთხე შეექმნა. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ "დოიჩე ბანკ ეურაზია გრუპ"-ის მიერ გამოქვეყნებული მიმდინარე თვის მოხსენებიდან.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პოლიტიკური რისკების ინდექსი (DESIX) მსოფლიოში გამორჩეულად სანდო გამოკვლევაა, რომელიც 2001 წლიდან ყოველთვიურად ტარდება. გამოკვლევა მოიცავს 24 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში სიტუაციის ანალიზს, რომელთა შორისაც აზიურ, აფრიკულ და ლათინო-ამერიკულ ქვეყნებთან ერთად, რუსეთი და მისი აღმოსავლეთევროპელი მეზობლებიც შედიან. აღნიშნული ინდექსი 0-დან 100-მდე ქულათა სკალით განსაზღვრავს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს და გადალახოს კრიზისები. მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც გამოითვლება ინდექსი, გაერთიანებულია ოთხ კატეგორიად – მართვა (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებების ინსტიტუციონალიზაციის დონე, მოსახლეობის თვალში სახელმწიფო დაწესებულებების ლეგიტიმურობის ხარისხი და ა.შ.), საზოგადოება (უმუშევრობის დონე, ანტისამთავრობო ოპოზიციის არსებობა და სხვა), უსაფრთხოება (მაგალითად, საგარეოპოლიტიკური კონფლიქტები, საგანგებო სიტუაციების სიხშირე და სხვა) და ეკონომიკა. როგორც "ევრაზია გრუპ"-ის ექსპერტები ამტკიცებენ, ინდექსის გამოსათვლელად საჭირო მაჩვენებელთა 65 პროცენტი პოლიტიკური ხასიათისაა და მხოლოდ 35 პროცენტია ეკონომიკური ხასიათის.

რუსეთის სტაბილურობის ინდექსი აღნიშნულ სიაში სამი პუნქტით დაეცა და 2002 წლის ნოემბრის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაფიქსირდა. რუსეთი დღეისათვის 57 ქულას იმსახურებს, ნაცვლად წინა თვეში მინიჭებული 60-ისა. ამ მაჩვენებლით იგი ფილიპინებს უთანაბრდება და რეიტინგის ცხრილში თურქეთისა და ჩინეთის შემდეგ დგას. აღსანიშნავია, რომ პირველ ადგილს უნგრეთი იკავებს 75 ქულით, ხოლო ბოლოს - ნიგერია.

ექსპერტთა აზრით, ეს ვარდნა პოლიტიკური რისკების მატებასთან და "იუკოსის" გახმაურებულ საქმესთან არის დაკავშირებული. ასევე, ვარდნას ხელი შეუწყო სტრუქტურული რეფორმების მიმდინარეობის შენელებამ.

რუსეთის შემთხვევაში სტაბილურობის ინდექსის კატეგორიებიდან ერთადერთი, სადაც ვარდნა არ დაფიქსირებულა, "უსაფრთხოების" გრაფაა. დანარჩენ გრაფებში – ყველგან მაჩვენებლების შემცირება შეინიშნება.

"ეურაზია გრუპის" წარმომადგენელი ლორენს რუზკასი აცხადებს, რომ მიუხედავად პუტინის ხელისუფლების სიმყარისა, რუსეთის სტაბილურობის ინდექსი მაინც ეცემა. მართალია, "ეურაზია გრუპის" ანალიტიკოსებმა დელიკატურად შეიკავეს თავი რუსული "ვარდნის" გამომწვევი კონკრეტული მიზეზების დასახელებისაგან, მაგრამ ევროპული პრესა ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ამ მოვლენას "იუკოსის საქმეს". ამის გამო, ბევრი ექსპერტი შიშობს, რომ სახელმწიფოსა დ ბიზნეს-წრეებს შორის შესაძლოა ურთიერთობები გაუარესდეს.

ცოტა ხნით ადრე, გაერო-ს ეკონომიკური კომისიის ევროპული კვლევების შედეგები გამოქვეყნდა. მასში, რასაკვირველია, რუსეთიც არის მოხსენიებული. გაერო-ს ექსპერტები რუსეთს რეკომენდაციას აძლევენ, არ დაუშვას რუსული რუბლის ხელოვნური გამყარება, რადგანაც ამან შეიძლება ადგილობრივი ბიზნესმენების კონკურენტუნარიანობას შეუშალოს ხელი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის ორგანიზაციამ რუს ჩინოვნიკებს სრულიად საპირისპირო რეკომენდაცია მისცა.

გაერო-ს მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ 2004 წლისათვის რუსეთის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი, დაახლოებით, 7 პროცენტს შეადგენს, რაც წლის დასაწყისში გაკეთებულ პროგნოზზე ბევრად მეტია. ექსპერტთა აზრით, ამ მოვლენის ერთადერთი მიზეზი ნავთობზე ფასების რეკორდული მაჩვენებელია და არა ადმინისტრირების გაუმჯობესება.

# კერძო სკოლა განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილია

*სახელმწიფო სკოლების რეპუტაციის ვარდნასთან ერთად, გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან საქართველოში ჩნდება ალტერნატივა - კერძო სკოლები. სხვადასხვა წარმომავლობის, გადასახადის, ინტერესის, მაგრამ ერთი შინაარსის მქონე - საგანმანათლებლო დაწესებულება. მასწავლებელთა ტალღა შედარებით მაღალანაზღაურებადი სამსახურისკენ დაიძრა. მშობლები ენდობოდნენ სკოლებს, მაგრამ სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ სეგმენტის მიმართ არ იკვეთებოდა. "ჩვენ ფული შეგვაქვს სახელმწიფო ხაზინაში, დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ ჩვენც გვჭირდება სახელმწიფოს ყურადღება", - ითხოვდნენ კერძო სკოლები.*
*დღეს საქართველოში 30 000 მოსწავლე სწავლობს კერძო სკოლაში.*

დალი კუპრავა

2004 წლის 16 აპრილს დაარსდა არასამთავრობო (კერძო) სკოლების ასოციაცია. ასოციაციაში საქართველოს 41 "წმინდა" კერძო სკოლა გაერთიანდა; ანუ კერძო ინსტიტუტებთან არსებულ და სახელმწიფო სკოლებში შექმნილ კერძო სკოლებს დამფუძნებლებმა გვერდი აუარეს, - ისინი ორი ბატონის მსახურნი არიანო. " ჩვენ, ასოციაციაში არ ვართ როგორც სკოლის დირექტორები. ჩვენ ვართ ადამიანები, რომლებსაც სურვილი გვაქვს, ჩვენში ახალი განათლება დაინერგოს", - განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარემ თბილისის სკოლა-ლიცეუმ "მწიგნობართუხუცესის" დირექტორმა დათო კახნიაშვილმა.

წლების განმავლობაში კერძო სკოლები სახელმწიფოსგან ერთ პასუხს იღებდნენ, - თქვენ კერძო ხართ და ნება თქვენია, ჩვენ სახელმწიფო სკოლებს ვპატრონობთო. მართალია, კერძო სკოლები სახელმწიფო სტანდარტს ზევით საკუთარი სასწავლო პროგრამით მოქმედებდნენ, მაგრამ სკოლას, სასწავლო პროგრამის გარდა, კიდევ რამდენი რამ ესაჭიროება?! ის, რომ კერძო სკოლა ფასიანია, ყველაფერს ვერ აგვარებს და თუ მთელ მსოფლიოში სკოლა დიდი ბიზნესისთვის სატყუარას არ წარმოადგენს, ის რაღა საქართველოში აღმოჩნდებოდა კომერციული საბადო, რომ ყველა საჭიროება თავად დაეკმაყოფილებინა.

ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს და გასულ წლებში, ეტყობა, სახელმწიფოს კერძო სკოლებისთვის არ ეცალა. ამასობაში, ძალაუნებურ და სრულ თავისუფლებაში, საკუთარი ინოვაციებისა და მსოფლიო განათლების სისტემების შესწავლის გზით, სკოლები ისე განვითარდნენ, რომ ინდივიდუალურის გარდა, საერთო, ზოგადი ხასიათის პრობლემები დაუგროვდათ. კერძო სკოლების მესვეურები საჭირბოროტო პრობლემების მოსაგვარებლად გაერთიანდნენ და შექმნეს ასოციაცია.

"ჩვენ გვინდა, რომ განათლების სახელმწიფო პროგრამის მონაწილენი ვიყოთ", - ამბობს ასოციაციის თანათავმჯდომარე, თბილისის კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა პანსიონის დირექტორი ნინო ჩიკვაიძე. "დავიწყოთ იმით, რომ როდესაც განათლების მინისტრთან ალექსანდრე ლომაიასთან მივედით, ისე მიგვიღო, როგორც ჩვეულებრივი სკოლის დირექტორები, საქართველოს განათლების სისტემის წარმომადგენლები", - აღნიშნავენ "აღიარებით" კმაყოფილი ასოციაციის წევრები.

რაც შეეხება მათ პრობლემებს, "კაცი იფიქრებდა, რომ ბატონი მინისტრი ჩვენთან ერთად ფიქრობდა და კითხვებზე პასუხი იქვე შემოგვაგება - ის, რასაც ჩვენ ვნატრობდით და გვჭირდება", - აღნიშნა რუსთავის საშუალო სკოლა "ჩირაღდნის" დირექტორმა დავით კაპანაძემ.

ასოციაცია მხარს უჭერს განათლების სისტემაში მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმას და სრულ მზადყოფნას გამოთქვამს მიმდინარე პროცესში თანამშრომლობისათვის. ისინი ითხოვენ, განისაზღვროს კერძო სკოლის სტატუსი და გაიმიჯნოს იმ სასწავლო დაწესებულებებისგან, რომლებიც სახელმწიფო სკოლებში სადღეისოდ ფუნქციონირებენ ორმაგი სტატუსით.

კერძო სკოლების ინტერესია, მიმდინარე რეფორმის პირობებში, განისაზღვროს მათი ადგილი და სახელმწიფო პოლიტიკის კურსი მათ მიმართ.

ვინაიდან, კერძო სკოლების უმეტესობა განიცდის საიჯარო ფართის ნაკლებობას, მაშინ როცა სახელმწიფო სექტორის სკოლები ფართს არამიზნობრივად აქირავებენ, კერძო სკოლების ასოციაციამ მოითხოვა საიჯარო წესით ამოქმედდეს უზურფრუქტი, ფართის სასკოლო დაკავების მანძილზე (გრძელვადიანი იჯარა);.

" დღეს იმედისმომცემად იცვლება საგადასახადო კანონები - სასწავლო დაწესებულებას საგადასახადო პრობლემა არ უნდა ექმნებოდეს, რომ ჩრდილოვან ეკონომიკას არ შეეფაროს. სამწუხაროდ, დღევანდლამდე კანონიერება ბევრი სკოლისთვის კრახის ტოლფასი იქნებოდა და მასწავლებლის ხელფასსაც ვერ აუვიდოდა, განსაკუთრებით, რეგიონებში", - აღნიშნავენ კერძო სკოლის მესვეურები.

ისინი ხვალინდელ დღეს იმედიანად უყურებენ და დარწმუნებულები არიან, რომ, ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის წყალობით, კერძო სკოლა სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ბავშვია და სახელმწიფო ერთნაირად უნდა იყოს დაინტერესებული საკუთარი მოქალაქის განათლებით, გნებავთ, კერძო სკოლაში სწავლობდეს ის და, გნებავთ - სახელმწიფო სასწავლებელში.

# საკრებულო გაოცებულია თავისივე დამტკიცებული ბიუჯეტით

*თბილისის წლევანდელ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველი ფენისთვის უფასო სასადილოების დასაფინანსებლად 769 ათასი ლარია გათვალიწინებული. შარშანდელ ბიუჯეტს ეს თანხა ოდნავ აღემატება. ეს მატება იმდენად მცირეა, კლიენტები უკეთესობას ვერც იგრძნობენ. თუმცა, პრობლემა მხოლოდ ეს არ არის. "სასადილოების წლევანდელი ბიუჯეტი ისეა გათვლილ-განაწილებული, რომ თავი და ბოლო ვერ გავუგეთ", – აცხადებენ საკრებულოში მათ მიერვე დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის 2004 წლის ბიუჯეტმა, ქალაქის კეთილმოწყობისა და ახლად შობილი საპატრულო პოლიციის გარდა, არაერთ საბიუჯეტო უწყებას გაუცრუა იმედები. საკმაოდ ბევრი პროექტი დარჩა ქაღალდზე, მათ შორის - უფასო სასადილოების დაფინანსების გაუმჯობესების პროექტებიც. ქალაქის რაიონების ხელმძღვანელობა სასადილოების დაფინანსების გაზრდასა და თანხის ყველა რაიონში თანაბრად განაწილებას მოითხოვდნენ, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობამ მათი მოთხოვნა არ გაითვალიწინა. გამგეობებმა საშველად ისევ საკრებულოს მიმართეს, საკრებულოს წევრები კი მათგანვე დამტკიცებულმა ბიუჯეტმა განაცვიფრა.

**"სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხა სხვადასხვა რაიონში განსხვავებულად ნაწილდება. მაგალითად, ისანი-სამგორის რაიონში ადამიანზე დღეში 65 თეთრია გამოყოფილი, ვაკე-საბურთალოსა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებში – ლარზე მეტი. თანხის განაწილების პრინციპი გაურკვეველია; თანაც, 65 თეთრიცა და ლარიც იმდენად მცირე თანხაა, რომ ამით ადამიანი როგორ უნდა გამოკვებო, წარმოუდგენელია. მოკლედ, ამ სფეროში ისეთი განუკითხაობაა, ბიუჯეტს ვერაფერი გავუგეთ",** – აცხადებს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე სოსო ეგუტია.

მაგალითისთვის ორი რაიონი ავიღოთ. ვაკე-საბურთალოს რაიონში მოქმედებს ორი სასადილო, სადაც 340 ადამიანი იკვებება. წინა წელთან შედარებით, წელს ამ სასადილოების დაფინანსება არ გაზრდილა. 2004 წლის ბიუჯეტში კვლავ 78 ათასი ლარია გათვალისწინებული - ანუ დღეში ერთ ადამიანზე 99 თეთრი მოდის. ოღონდ, ამ თანხაში სამეურნეო ხარჯებიც შედის და კვებაზე, ფაქტობრივად, 70 თეთრი რჩება. **"70 თეთრად ადამიანს როგორ ვაჭამოთ; თანაც, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 78 ათასი თვეში 22 დღეზეა გათვლილი, თითქოს შაბათ-კვირას უმწეოებს კვება არ სჭირდებოდეთ. ამის გარდა, ჩვენს რაიონში ყველაზე ნაკლები თანხა ირიცხება. არადა, უმწეო ბევრია და ფული არ გვყოფნის. მთაწმინდა-კრწანისის რაიონს ჩვენზე მეტი სოციალურად დაუცველი მოქალაქე არ ჰყავს, მაგრამ იქ სასადილოებისთვის 219 ათასი ლარია გამოყოფილი, ჩვენ კი 78ე თასზე ნაკლებს არ გვაძლევენ",** – აცხადებს ვაკე-საბურთალოს გამგებლის მოადგილე ნანა ლაცაბიძე.

ისანი-სამგორის რაიონს, მიუხედავად იმისა, რომ სასადილოების დაფინანსება ხუთი თეთრით გაეზარდა, ვაკე-საბურთალოზე უარესად აქვს საქმე. შარშან კვებისა და სამეურნეო ხარჯებისთვის დღეში (შაბათ-კვირის გარდა) 60 თეთრი იყო გამოყოფილი, წელს ეს თანხა 65 თეთრი გახდა, რაც 720 სოციალურად დაუცველი ადამიანისთვის ბევრი ვერაფერი შეღავათია.

საკრებულომ მერიის საფინანსო სამსახურს დაავალა სასადილოებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების ხელახალი გაანგარიშება-განაწილება და ვადა სექტემბრამდე მისცა. მერიის სამსახური კი თავს იმითი იმართლებს, რომ ბიუჯეტიდან მეტი თანხის გამოყოფის საშუალება არ იყო. **"უფასო სასადილოები ქალაქის ხელმძღვანელობის კეთილი ნებით გაიხსნა. ამის შესახებ არანაირი ნორმატიული აქტი არ არსებობს. პრობლემებიც ამიტომ ჩნდება. ბიუჯეტიდან რისი საშუალებაც იყო, იმდენი თანხა გამოიყო. თუკი გამგეობებს მეტი უნდათ, სპონსორები იშოვონ. რაც შეეხება საბიუჯეტო თანხების განაწილებას, ამ საკითხის ხელახლა გადახედვა მე მოვითხოვე. სექტემბრამდე შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტს შევიმუშავებთ, კვების ნორმაც დადგინდება და თანხები სტიქიურად აღარ განაწილდება",** – აცხადებს მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ამირან ძებისაშვილი.

წინა წლებში, სწორედ ამ საკანონმდებლო ლაფსუსებისა და განუკითხაობის წყალობით, ჩინოვნიკები უფასო სასადილოებისთვის გამოყოფილი თანხებით უმწეოებზე უკეთ სარგებლობდნენ (ისანი-სამგორის რაიონში 2003 წელს აღმოჩენილი სერიოზული დარღვევების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა). საინტერესოა, რატომ არ შეიძლებოდა ამ ნორმატიული აქტის შემუშავება 2004 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე?


**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"




### იწვევს ფირმებს ინტერესის გამოხატვის წერილებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტის "ილია ჭავჭავაძე" (შემდგომში - პროექტი) ფარგლებში ახორციელებს დაწყებითი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმას. რეფორმის არსი მდგომარეობს სწავლების შინაარსის ძირეულ შეცვლაში, სკოლებისათვის მისაღწევი მიზნების ახლებურად ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. რეფორმა გათვალისწინებულია 2000 - 2012 წლის პერიოდისათვის. პროექტს აფინანსებს მსოფლიო ბანკი (საერთაშორისო განვითარების ასოციაცია). განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი (შემდგომში - პროექტის საკოორდინაციო ცენტრი), რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ჩამოყალიბება, რომელიც დაარსდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრის მიზანია, საქართველოს განათლების სისტემა უზრუნველყოს სანდო და ობიექტური მექანიზმებით, რათა ზუსტად და ობიექტურად შეფასდეს და გაკონტროლდეს სწავლების შედეგები. ცენტრის დანიშნულებაა, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასა თუ პირს: მთავრობას, სკოლებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შეუქმნას ნათელი წარმოდგენა სწავლებისა და სწავლის შედეგებზე. ცენტრი ამ მისიას განახორციელებს თანამედროვე პრაქტიკაში არსებული შეფასების მექანიზმების შექმნითა და გავრცელებით, განათლების სისტემაში მომუშავე პირებისათვის საწვრთნელი კურსების მოწყობით, განათლების სისტემაში გადაწყვეტილებების მიღებისას კონსულტაციების გაწევითა და საგანმანათლებლო შეფასების სფეროში კვლევით.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გამართულად მუშაობისათვის აუცილებელია ცენტრის ადგილსამყოფელი შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია მისი საოფისე შენობად ადაპტირების მიზნით.

პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იწვევს დაინტერესებულ ფირმებს, რათა წარმოადგინონ ინტერესის გამოხატვის წერილები და შესაბამისი ინფორმაცია შემდეგი სამუშაოსთვის:

### შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია საოფისე შენობად ადაპტირების მიზნით

**1. მიზნები**

ტექნიკური დავალების მიზანია ქ. თბილისში ივანე ჯავახიშვილის ქ. N60-ში მდებარე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო და, აუცილებლობის შემთხვევაში, გასამაგრებელ სამუშაოების ჩატარება. სამუშაოთა მთელი მოცულობა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

| ობიექტი | მისამართი | თანამშრომელთა რაოდენობა | ფართი [illegible] |
|---|---|---|---|
| შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი | ქ. თბილისი ივანე ჯავახიშვილის ქ. N60 | 80 ([illegible] 180) | 1470 მ² |

**2. მომსახურების ფარგლები**

საპროექტო ფირმამ (შემდგომში - კონსულტანტი) უნდა უზრუნველყოს მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს არქიტექტურულ-საინჟინრო პროექტირებასა და საავტორო ზედამხედველობას და შენობის გამაგრება-გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურის და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს N42 ბრძანების (07.06.03.)" შესაბამისად.

**საპროექტო დავალება შედგება:**

ა) არქიტექტურული და საინჟინრო საპროექტო მომსახურებისაგან, რომელიც საჭიროა ზემოთ აღნიშნული ობიექტის გამაგრებისა და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განსახორციელებლად ხარისხისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) საავტორო ზედამხედველობისაგან, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამშენებლო სამუშაოების წარმოება კონსულტანტის მიერ მომზადებული და საკოორდინაციო ცენტრის მიერ დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

**დავალება შესრულდება სამ ეტაპად:**

I ეტაპი - წინასწარი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება
II ეტაპი - საბოლოო სამშენებლო დოკუმენტაციის (მუშა პროექტი) მომზადება
III ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა

**I ეტაპი - წინასწარი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება:**

ა) არქიტექტურული ნაწილი.
ბ) საინჟინრო გადაწყვეტა.

ამას გარდა I ეტაპზე საკოორდინაციო ცენტრისთვის განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია:

1. შენობის არსებული მდგომარეობის ანგარიში

ა) დასკვნა შენობის სეისმურობის შესახებ (შენობის სივრცული ანალიზი სეისმომედეგობაზე), შესაძლო დაზიანების ხარისხის ჩვენებით სეისმური ინტენსივობის (MSK-64) სკალის მიხედვით;

ბ) საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიების ტოპოგადაღება (საინჟინრო კომუნიკაციის ჩვენებით, კომუნიკაციების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიბმით);

გ) გეოლოგიური კვლევა და დასკვნა;

დ) გრუნტის წყლების დონე, დასკვნა ფუძე-საძირკვლების შესახებ;

ე) შიდა და გარე კომუნიკაციების არსებული მდგომარეობა (ელექტროობა, წყალი, კანალიზაცია, სატელეფონო ხაზი, გაზი, გათბობა, ვენტილაცია, სანიაღვრე არხები, სადრენაჟო სისტემები და სხვა);

ვ) აზომვითი ნახაზები შესაძლო დაზიანებული ზონების ჩვენებით;

2. დამატებითი წინასწარი საპროექტო დოკუმენტაცია

ა) შენობის გამაგრება-გაძლიერების ყველა საჭირო ესკიზური ნახაზი;

ბ) შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების წინასწარი ჩამონათვალი და საორიენტაციო განფასება;

გ) გამოსაყენებელი მასალების წინასწარი ჩამონათვალი.

3. შენობის გამაგრებისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის რენტაბელობის ანალიზი

კონსულტანტმა შემოთავაზებული საპროექტო გადაწყვეტილებების საფუძველზე უნდა გააანალიზოს სავარაუდო ხარჯები და წარმოადგინოს თავისი დასკვნების ანგარიში.

კონსულტანტი საკოორდინაციო ცენტრთან ერთად მოიძიებს ყველა საჭირო წინასწარ მონაცემს, ტექნიკურ პირობასა და მოთხოვნას, რომლებსაც გასცემს სახელმწიფო ზედამხედველობისა და სხვა დაინტერესებული ორგანო.

კონსულტანტმა უნდა შეათანხმოს ობიექტის ტექნიკური პირობები ყველა ჩართულ გარე ორგანიზაციასთან და საკოორდინაციო ცენტრთან.

პირველი ფაზისათვის განსაზღვრული სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს ერთი თვისა ავანსის გაცემიდან.

**II ეტაპი - საბოლოო სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება** (მუშა პროექტი)

საკოორდინაციო ცენტრისგან და სხვა ჩართული გარე ორგანიზაციებიდან პირველ ეტაპზე თანხმობის მიღების შემდეგ კონსულტანტი მოამზადებს საბოლოო ტექნიკურ დოკუმენტაციას. მუშა პროექტის შემადგენელი ნაწილების შინაარსში მოცემული მოთხოვნები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაკონკრეტებული იქნება დასაპროექტებელი ობიექტის დანიშნულებისა და ჩასატარებელი სამუშაოების შესაბამისად.

მეორე ეტაპით განსაზღვრული სამუშაოები უნდა დასრულდეს პირველი ეტაპის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

**III ეტაპი - საავტორო ზედამხედველობა**

საავტორო ზედამხედველობის გეგმა-გრაფიკი და ხარჯთაღრიცხვა თან უნდა დაერთოს კონსულტანტის ტექნიკურ და ფინანსურ წინადადებას.

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს ზედამხედველობა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს სამშენებლო კონტრაქტისა და საქართველოში მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობის და წესების მიხედვით.

ყოველგვარი ცვლილება პროექტში, თავისი შენიშვნები მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით, აგრეთვე თავისი წინადადებები მათი აღმოფხვრის თაობაზე კონსულტანტმა უნდა წარუდგინოს საკოორდინაციო ცენტრს.

პროექტის განხორციელებისას ცვლილებებისა და დამატებების შემთხვევაში კონსულტანტი ვალდებულია, დაამუშაოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და სათანადო ცვლილებები შეიტანოს პროექტში.

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს ზედამხედველობის ანგარიში თვეში ორჯერ.

მშენებლობის დასრულების შემდეგ კონსულტანტი წარმოადგინს დასკვნას მშენებლობის ხარისხსა და მისი პროექტთან შესაბამისობის შესახებ.

პროექტი დასრულებულად ჩაითვლება კონსულტანტისა და საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების და ყველა შენიშვნის (თუ ასეთი იქნება) გათვალისწინების შემდეგ.

ფირმის შერჩევისას პროექტის საკოორდინაციო ცენტრი იხელმძღვანელებს კონსულატანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდით. ფირმების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვის წერილის საფუძველზე განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი შეარჩევს საუკეთესო კვალიფიკაციისა და რეკომენდაციების მქონე ფირმას.

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ინტერესის გამოხატვის წერილები და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამუშაო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია საქართველოს განათლების საკოორდინაციო ცენტრში შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F
ელ-ფოსტა: GEP@wanex.net
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **თეა კვინტრაძე**

დაწვრილებითი ცნობებისა და საქმიანობის დეტალური აღწერილობის მისაღებად დაგვიკავშირდით პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**ინტერესის გამოხატვის წერილების წარმოდგენის საბოლოო ვადაა**
**2004 წლის 3 აგვისტო.**

**აღნიშნული თარიღის შემდეგ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვის წერილები არ მიიღება.**

# თავისუფლება ფული ღირს

თამარ კაციტაძე

*გუშინ ქართული მართლმსაჯულება ორ გახმაურებულ საქმეს განიხილავდა. საოლქო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წინასწარი პატიმრობის საკითხი, ხოლო უზენაესი სასამართლო, თბილისის N1 საპყრობილეში ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბონდო შალიკიანის გათავისუფლების ბედს წყვეტდა. გუშინდელი სასამართლო გადაწყვეტილებები იმის მიხედვით განისაზღვრა, თუ რამდენად შეასრულეს დაპატიმრებულმა მაღალჩინოსნებმა პროკურატურებისგან მიღებული პირობა და რა რაოდენობის თანხა გადაიხადეს.*





*სასამართლო გადაწყვეტილებები იმის მიხედვით განისაზღვრა, თუ რამდენად შეასრულეს დაპატიმრებულმა მაღალჩინოსნებმა პროკურატურისგან მიღებული პირობა და რა რაოდენობის თანხა გადაიხადეს.*

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინდელი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სულხან მოლაშვილმა სასურველი თავისუფლება ვერ მიიღო და იგი, სავარაუდოდ, წინასწარ პატიმრობაში, სულ მცირე, კიდევ სამ თვეს, ანუ ოქტომბრამდე დაჰყოფს. მიზეზი ცნობილია - სულხან მოლაშვილმა თბილისის პროკურატურისგან დასახელებული 3 მილიონი ლარის გადახდა ამ დრომდე ვერ შეძლო. რაც შეეხება დღემდე ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილ 135 ათას ლარს და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემულ წავკისის აგარაკს, იგი, ქალაქის პროკურორის აზრით, თავისუფლებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

გუშინდელ სასამართლო სხდომაზე პროკურატურამ მოლაშვილის პატიმრობაში დარჩენის მიზეზად ის გარემოებაც დაასახელა, რომ, თითქოს, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე თავისუფლების შემთხვევაში ხელს შეუშლის გამოძიებას და ზეწოლას მოახდენს მოწმეებზე.

პროკურატურის ცნობილი, მაგრამ არცთუ არგუმენტირებული მტკიცების გაბათილება სულხან მოლაშვილის ადვოკატებმა ვერც სასამართლოს მეორე ინსტანციაში შეძლეს. უფრო სწორად, სასამართლოსთვის საკმარისი არ აღმოჩნდა განმარტება, რომ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის საქმე, კანონის თანახმად, უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა. არც ის ფაქტი, რომ მოლაშვილი დაკავების შემდეგ ნაწამებია და არც ის, რომ იგი დღემდე თავს პოლიტიკურ პატიმრად ასახელებს.

საოლქო სასამართლოს მოსამართლემ, რომელმაც ორივე მხარის არგუმენტების მოსმენის შემდეგ, მოსაფიქრებლად ერთდღიანი ვადა აიღო, საბოლოოდ სარწმუნოდ კვლავ თბილისის პროკურატურის არგუმენტები მიიჩნია და ძალაში ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვა.

**"საოლქო სასამართლომ ყოვლად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. მეტიც, მის გადაწყვეტილებაში გაჩნდა მოტივი, თითქოს, მოლაშვილი გათავისუფლების შემთხვევაში, გამოძიებას დაემალება. ასეთი არგუმენტი პროკურატურას არ დაუსახელებია და მართლმსაჯულების მხრიდან ამგვარი "ბრალდების" ჩართვა, არც მეტი არც ნაკლები, კანონის უხეში დარღვევაა,"** - განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ სულხან მოლაშვილის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა. თუმცა, მან კარგად იცის, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს სასამართლოთა ქმედების შეფასებას მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. სამაგიეროდ, არსებობს საერთაშორისო ასპარეზი.

**"საოლქო სასამართოლს გადაწყვეტილება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ამიტომ, უკვე დაწყებული გვაქვს მასალების შეკრება, რათა სულხან მოლაშვილის საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გავასაჩივროთ. უმაღლეს საერთაშორისო მართლმსაჯულებას ივლისის ბოლოს მივმართავთ და დარწმუნებული ვართ, რომ იქ საკუთარი სიმართლის დამტკიცება არ გაგვიჭირდება,"** - ამბობს სოსო ბარათაშვილი.

სხვათა შორის, თავის დროზე, სტრასბურგის სასამართლოში შევიდა ტყიბულის რაიონის დეპუტატის ბონდო შალიკიანის საქმეც. მისი მეუღლე სახელმწიფოს ადამიანის უფლებების შელახვაში ადანაშაულებდა. მართალია, ევროპული მართლმსაჯულებიდან შალიკიანის საქმესთან დაკავშირებით ქართულ მხარეს პასუხი ჯერჯერობით არ მიუღია, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ პერიოდში უკვე მოხერხდა თავად შალიკიანის და მისი ექვსი თანამზრახველის პატიმრობიდან გათავისუფლება. როგორც ცნობილია, თავდაპირველად შალიკიანს ბრალი იარაღის უკანონო შენახვაში ედებოდა, მოგვიანებით კი, მას გადასახადებისგან თავის არიდების და სხვისი ქონების მითვისების ბრალდებებიც მიემატა.

პროკურატურის მტკიცებით, ბონდო შალიკიანი თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდა, თუ იგი სახელმწიფოს 3 მილიონ 408 500 ლარის ოდენობით ზარალს აუნაზღაურებდა. აქედან, მილიონ-ნახევარი ლარი მას ნაღდი ფულის სახით უნდა გადაეხადა, დანარჩენს კი ქონების სახით სთხოვდნენ.

საბოლოოდ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ შალიკიანმა ბიუჯეტის სასარგებლოდ 280 ათასი ლარი გადაიხადა, ხოლო სახელმწიფოს გადასცა მისი კუთვნილი ბიზნესწილები, მათ შორის - ელექტრომექანიკურ და სატრაქტორო ქარხნებში, გლდანის ხორც-კომბინატში, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საამქრო (ორი საერთო საცხოვრებლით), სანატორიუმი "საირმე", რომელიც აქამდე პროფკავშირების საკუთრება იყო და მასზე სასამართლო დავა დღემდე მიმდინარეობდა, ოცამდე ბენზინგასამართი სადგური, ტელეარხი "ქუთაისი" და ა.შ.

სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების და იმერეთის საოლქო პროკურატურასა და ბრალდებულ შალიკიანს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ტყიბულის ყოფილმა მაჟორიტარმა და მის საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულმა სხვა პირებმა თავი ბრალდებულად ცნეს და თავისუფლებაც მიიღეს.

თუმცა, კიდევ იყო ერთი გარემოება. იმისათვის, რომ ბონდო შალიკიანს იარაღის უკანონო შენახვისთვის პატიმრობიდან თავი დაეღწია, მან კანონის თანახმად, ჯარიმის სახით 20 ათასი დოლარიც გადაიხადა. შედარებით მცირე ჯარიმების - 2 ათას-2 ათასლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწიათ მის თანამზრახველებსაც, რომლებიც ასევე აღიარებენ წარდგენილ ბრალდებას და რომლებიც გუშინ შალიკიანთან ერთად დაემშვიდობნენ თბილისის №1 საპყრობილეს.

# 18 წლის სასტიკი მკვლელები

რუსთავში შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა ტაქსის მძღოლზე, რომელიც მიყენებული ტრავმის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

ინციდენტი რუსთავის მე-18 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. რუსთავის პოლიციის უფროსის, დავით ცირეკიძის ინფორმაციით, სამი ბოროტმოქმედი თბილისში "ფორდსკორპიოს" მარკის ტაქსში (სახელმწიფო ნომრით "GOG 816") ჩაჯდა და მძღოლს - აფხაზეთიდან დევნილ რობერტ გოგავას რუსთავში წაყვანა სთხოვა. მათ მგზავრობის საფასური წინასწარ გადაიხადეს, თუმცა ადგილზე მისვლის შემდეგ ფული უკან მოითხოვეს. შელაპარაკების შემდეგ, მგზავრებმა მძღოლს დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს, რის შედეგადაც რობერტ გოგავა ადგილზე გარდაიცვალა.

სამი თავდამსხმელიდან ორი - რუსთავის მაცხოვრებლები, 18 წლის გენადი ბოჭორიშვილი და 18 წლის ალექსანდრე დიღმელიშვილი პოლიციამ მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ დააკავა. გენადი ბოჭორიშვილს სამართალდამცველებმა რუსთავში, ერთ-ერთი მშენებარე კორპუსის სარდაფში მიაგნეს, სადაც ის დაიმალა. აღმოჩნდა, რომ ის დანით იყო დაჭრილი. სავარაუდოდ, ბოჭორიშვილმა ჭრილობა ინციდენტის დროს მიიღო.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ინციდენტის დროს მძღოლი ხალხს საშველად უხმობდა, თუმცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პოლიციასთან დაკავშირება ვერ მოახერხეს, რადგან პოლიციის ქვეგანყოფილებაში ტელეფონი გათიშული იყო. ადგილზე მისვლა სასწრაფო დახმარების მანქანამაც დააგვიანა. რუსთავის მე-18 მიკრორაიონის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ მათი დასახლება პოლიციის მიერ უყურადღებოდაა მიტოვებული. სამართალდამცველები მკვლელობაში ეჭვმიტანილი მესამე პირის ძებნას კვლავ აგრძელებენ.

ინციდენტი მოხდა ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებსა და აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის. საუბარია ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, რომლის შედეგად, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში დიდი რაოდენობით კონტრაბანდული სამეურნეო-სამრეწველო საქონელი აღმოაჩინეს. ოჯახის წევრები ამტკიცებდნენ, რომ მათ ტვირთზე ჯარიმა გადახდილი აქვთ.

უშიშროების სამსახურმა შემდგომი გამოძიების მიზნით საქმე ფინანსურ პოლიციას გადასცა. ფინანსური პოლიცია ტვირთის ზუსტ ღირებულებას დაადგენს, რის შემდეგაც დანაშაულს კონკრეტული კვალიფიკაცია მიეცემა. **24 საათი**

# ოსური მხარე გატაცებული ნიკოლოზ სრესელის "მარეკაზე" გაცვლას ითხოვს

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ ჯარიაშენის მოსახლეობა ნიკოლოზ სრესელის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსურ მხარეს ანგარიშსწორებით ემუქრება. "შეიარაღებულმა ოსმა ბოევიკებმა საუკეთესო ახალგაზრდა გაიტაცეს, თუ მას დაუყოვნებლივ არ გაათავისუფლებენ, იგივეს გავაკეთებთ, სოფელ არცევიდან გავიტაცებთ საუკეთესო ოს ახალგაზრდებს," - აცხადებენ ჯარიაშნელები და საქართველოს ხელისუფლებას ახალი ბლოკ-პოსტების გახსნასა და რეგიონში ძალოვანთა დამატებითი შემადგენლობის შეყვანას სთხოვენ.*

სოფელ ჯარიაშენის მოსახლეობის აღშფოთება გუშინწინ, გვიან საღამოს მომხდარმა გატაცებამ გამოიწვია. ავტომატებით შეიარაღებულმა, ოთხმა ნიღბიანმა მამაკაცმა, ჯარიაშენის ცენტრიდან 18 წლის ნიკოლოზ სრესელი გაიტაცა. თვითმხილველთა განცხადებით, გამტაცებლები "ნივის" მარკის თეთრი ფერის ავტომანქანით მოძრაობდნენ, მათ სრესელი ავტომატის კონდახით სცემეს, მანქანაში ძალით ჩასვეს და ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიისკენ - ღრომის ხეობის მიმართულებით წავიდნენ.

სოფელ ჯარიაშენს ოსური სოფელი ზემო არცევი ესაზღვრება. სრესელის ოჯახის წევრები და თანასოფლელები აცხადებენ, რომ შეიარაღებული პირები სწორედ არცევიდან შემოვიდნენ და ნიკოლოზ სრესელი ქართველ სამართალდამცველთა მიერ ცოტა ხნის წინ დაპატიმრებულ არცეველ კრიმინალზე, მარეკ დუდაევზე გაცვლის მიზნით გაიტაცეს. ამ ვერსიას ეთანხმებიან ქართველი სამართალდამცველებიც.

**"შემიძლია განვაცხადო, რომ ნიკოლოზ სრესელის გატაცებაში ჩართულნი არიან ცხინვალის მილიციის თანამშრომლები. გატაცება, სავარაუდოდ, იმ მოტივით მოხდა, რომ ოსურმა მხარემ გატაცებული ახალგაზრდის სანაცვლოდ იმ ოსი ეროვნების კრიმინალების გადაცემა მოითხოვოს, რომლებიც ქართველმა სამართალდამცველებმა ცოტა ხნის წინ დააკავეს. თუმცა, გაცვლა არავითარ შემთხვევაში არ მოხდება, რადგან ქართული მხარე წესიერ ადამიანებს კრიმინალებზე არ ცვლის, ამიტომაც ოსი ძალოვნებისგან ვითხოვთ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ნიკოლოზ სრესელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული მხარე გატაცების ფაქტის გამო პასუხისმგებლობას ცხინვალის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს დააკისრებს,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა შიდა ქართლის პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა. მისივე ინფორმაციით, შიდა ქართლის პოლიცია გუშინწინ ღამითვე დაუკავშირდა ოსურ მხარეს, რომელიც ირწმუნება, რომ ნიკოლოზ სრესელის გატაცების საქმეზე სერიოზულად მუშაობენ.

ალეკო სუხიტაშვილის ინფორმაციით, გამტაცებლებს შემთხვევის ადგილზე დარჩათ რაცია, რომელშიც ოს ძალოვანთა შეტყობინებები ისმინებოდა და რაც ადასტურებს იმას, რომ გამტაცებლები ცხინვალის ძალოვანი უწყების თანამშრომლები იყვნენ.

მართალია, ცხინვალის მხარეს ქართული მხარისთვის კონკრეტული ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ მოუწოდებია, მაგრამ როგორც შიდა ქართლის პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, ქართველი სამართალდამცველებისთვის გამტაცებელთა სავარაუდო ვინაობა უკვე ცნობილია.

ცნობილი გახდა, რომ ნიკოლოზ სრესელის გარდა, ოსურ მხარეს ორი დღის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდა ხაშურელი ახალგაზრდები - ზვიად ლომიძე და მიხეილ გოგოლაძე. ისინი ცხინვალის მილიციის თანამშრომლებმა თამარაშენის გამოსასვლელში დააკავეს და ორი დღის განმავლობაში მილიციის განყოფილებაში ჰყავდათ დაკავებული. ზვიად ლომიძის განცხადებით, მათ ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. ოსური მხარის წარმომადგენლები დაინტერესებულნი იყვნენ გაერკვიათ, დაკავებულები ქართული საჯარისო დანაყოფის წარმომადგენლები ხომ არ იყვნენ. ზვიად ლომიძე და მიხეილ გოგოლაძე გუშინწინ, გვიან ღამით გაათავისუფლეს. ქართველი სამართალდამცველებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის მათი დაკავების ამბავი გათავისუფლების შემდეგ გახდა ცნობილი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გამწვავებული ვითარების მიუხედავად, ქართველი სამართალდამცველები ანტიკონტრაბანდისტულ ღონისძიებებს კვლავ ატარებენ.

თუმცა, როგორც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, კონტრაბანდისტებმა ტვირთების გადატანის ფორმა შეცვალეს და ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიიდან ქართულ სოფლებში სხვადასხვა სახის აღურიცხავი ტვირთის გადატანას ხეხილის ბაღების გავლით ახდენენ.

წუხელ, გვიან ღამით ჩატარებული ღონისძიების დროს, შიდა ქართლის გუბერნატორმა და სამხარეო პოლიციის უფროსმა სოფელ დიცსში, რომელიც ერგნეთის ბაზრობასთან ახლოს მდებარეობს, მძინარაშვილების საცხოვრებელ სახლში დიდი ოდენობით აღურიცხავი ტვირთი აღმოაჩინეს. ოპერაციის დროს დააკავეს, აგრეთვე, რამდენიმე "მოტოროლერი", რომელთა მეშვეობითაც შემოვლითი გზებით ხდებოდა აღნიშნული ტვირთის შემოტანა.

მიხეილ ქარელი კონტრაბანდისტ ქართველებს "ქვეყნის მოღალატეებს" უწოდებს, რადგან მისი თქმით, დე ფაქტო ხელისუფლების ბიუჯეტში შესული თითოეული რუბლი ქართველების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად გამოიყენება. **24 საათი**

# დააკავეს საპყრობილეს ყოფილი უფროსი

აჭარის პროკურატურამ, გუშინწინ, გვიან ღამით, ბათუმის №3 საპყრობილეს ყოფილი უფროსი თემურ რუხაძე დააკავა. მას ბრალად ედება პატიმარ თემურ მალაყმაძის ჯერ წამება, შემდეგ კი მკვლელობა.

როგორც ცნობილია, 1993 წელს თემურ მალაყმაძე ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსის ვაჟა გოგიტიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილად ცნეს და აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით, იზოლატორში აწამეს. თემურ რუხაძე მაშინ შს სამინისტროში მუშაობდა და, აჭარის პროკურორის მოადგილის ილია დვალიშვილის განცხადებით, მალაყმაძის წამებაში უშუალოდ მონაწილეობდა. თემურ მალაყმაძე ვაჟა გოგიტიძის მძღოლი იყო. ვაჟა გოგიტიძის მანქანის აფეთქების შემდეგ იგი შემთხვევით გადარჩა. სამართალდამცველებმა ეჭვი მასზე სწორედ ამ შემთხვევის გამო მიიტანეს.

მოგვიანებით, ვაჟა გოგიტიძის მკვლელობა გაიხსნა და იგი ასანიძეების გახმაურებულ საქმეს დაუკავშირდა. ილია დვალიშვილის განცხადებით, მალაყმაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილია კიდევ რამდენიმე პიროვნება, რომელთა დასაკავებლადაც ღონისძიებები ტარდება. დაკავებისთანავე პროკურატურასთან თემურ რუხაძის ნათესავები გამოჩნდნენ და პროკურორთან შეხვედრა მოითხოვეს. თემურ რუხაძე შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და აღმკვეთ ღონისძიებას სასამართლო მას დღეს შეუფარდებს. **ინტერ-პრესი**

# გალში კიდევ ორი ქართველი მოკლეს

გალის რაიონში ქართველების სისხლიანი დევნა, როგორც ჩანს, იქამდე გაგრძელდება, ვიდრე კონფლიქტს წერტილი საბოლოოდ არ დაესმება. ამ ხნის განმავლობაში არც იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ რეალურ დამნაშავეებს ვინმე გამოავლენს და ისინი კანონის შესაბამისად დაისჯებიან. ასეთ დროს, ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრების ერთადერთი ფუნქცია კი მხოლოდ და მხოლოდ პრობლემის ხმამაღლა გაჟღერება რჩება. ასე მოხდა გუშინდელ ტრადიცულ შეხვედრაზეც, სადაც ქართულმა მხარემ აფხაზური მილიციის მიერ გალის რაიონში განხორციელებული მორიგი ეთნიკური წმენდის ფაქტი გაახმაურა, რომლის დროსაც აფხაზებმა ორი ქართველი მოკლეს.

როგორც თავად აფხაზები ირწმუნებიან, ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების დროს, იქაურ მილიციასა და ორ ქართველ ბოროტმოქმედს შორის, სოფლების - ხურჩასა და გუმირიშის ტერიტორიაზე შეტაკება მოხდა, რის შემდეგაც ქართველები, რომელთა ვინაობაც ამ ეტაპზე უცნობია, ადგილზევე დაიღუპნენ. ქართველთა გვამები ამჟამადაც გალის პროზექტურაშია მოთავსებული და მიმდინარეობს ამოცნობა.

ქართული მხარე აფხაზების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ქართველები ბოროტმოქმედები იყვნენ, კატეგორიულად უარყოფს და ოთხმხრივ შეხვედრაზე საქმის ობიექტურ გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს.

გუშინდელი შეხვედრა ასევე ნარუმატებელი აღმოჩნდა ცოლ-ქმარ ალფენიძეების მოძებნა-გათავისუფლებასთან დაკავშირებითაც. ცოლ-ქმარი გალის რაიონის სოფელ სიდადან აფხაზებმა ერთი კვირის წინათ გაიტაცეს და დღემდე მათ შესახებ არაფერია ცნობილი. ქართულმა მხარემ შეხვედრაზე მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლების საკითხიც დააყენა, მაგრამ მოჰყვება თუ არა მათ მოთხოვნას შედეგი, არავინ იცის. რადგან, როგორც ცნობილია, ალფენიძეების შვილები მოსკოვში ცხოვრობენ და გამტაცებლები მშობლების სანაცვლოდ ფულს მოითხოვენ.

*24 საათი*

# "ჯორჯიან თაიმსი" აპროტესტებს

ფინანსურ პოლიციაში სიცრუეს უწოდებენ "ჯორჯიან თაიმსის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს პოლიცია გაზეთის რედაქციაში შესამოწმებლად უკანონოდ შეიჭრა. ფინანსური პოლიციის განცხადებით, "ჯორჯიან თაიმსი" შპს-ს ფორმის ჩვეულებრივი საწარმოა და ფინანსურ პოლიციას ამგვარ საწარმოებში საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის და დარღვევების გამოვლენა ევალება.

"სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის" 290-ე მუხლის თანახმად, ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიული სამმართველოს წარმომადგენლებმა ჩვეულებრივი საპროცესო მოქმედება განახორციელეს და შპს-დან საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოიღეს. **"ჯორჯიან თაიმსის" თანამშრომლებს განემარტათ ამ მოქმედების შინაარსი, მათი უფლება-მოვალეობები, რასაც შესაბამის დოკუმენტზე მათი ხელმოწერაც ადასტურებს,"** - განაცხადეს პოლიციაში.

პოლიციაში აღნიშნავენ, რომ კანონით განსაზღვრულ ვადაში გადაუდებელი ღონისძიებების სახით ჩატარებული ამოღების ოპერაცია სასამართლოს წესით დაკანონდა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 16 ივლისის დადგენილებით, პოლიციის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება კანონიერად არის ცნობილი.

**"ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება აუცილებლობით იყო განპირობებული. როგორც პოლიციას ოპერატიული წყარო ატყობინებდა, "ჯორჯიან თაიმსის" ხელმძღვანელობამ იცოდა იმის შესახებ, რომ ფინანსური პოლიცია გაზეთით დაინტერესდებოდა და შეეძლო დოკუმენტაცია შეეცვალა, ან გაენადგურებინა,"** - განმარტავენ პოლიციაში. "ჯორჯიან თაიმსიდან" ამოღებულ საბუთებზე პოლიციაში დოკუმენტური რევიზია ჩატარდება.

თავად "ჯორჯიან თაიმსის" დამფუძნებლის მალხაზ გულაშვილის განცხადებით კი, პოლიციის ასეთი მიდგომა არასერიოზულია. **"პოლიციას იმ წყაროს დასაბუთება მოუწევს, რის საფუძველზეც რედაქციაში გადაუდებელი საპროცესო მოქმედება ჩაატარა. მათ რედაქციაში უკანონოდ შემოჭრის გამო სერიოზული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. დღეს სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ და ისინი თავის მიერვე დაგებულ მახეში გაებმებიან,"** - განაცხადა გულაშვილმა.

მისი თქმით, პოლიციამ რედაქციიდან წაღებული საბუთების გახსნის მომენტში გაზეთის თანამშრომლებს პროცედურაზე დასწრება შესთავაზა, თუმცა ვიდრე სასამართლო პროცესი არ დასრულდება, ჟურნალისტები საბუთების შემოწმების წინააღმდეგნი არიან.

**"საბუთებში დარღვევას ვერ აღმოაჩენენ, ამის არ გვეშინია, მაგრამ ჯერ პროცესი უნდა დასრულდეს,"** - აღნიშნა გულაშვილმა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფოთთან, ერთ-ერთ სარკინიგზო გადასარბენზე სატვირთო მატარებელი ტრაილერს შეეჯახა. წინასწარი ინფორმაციით, მომხდარში ტრაილერის მძღოლს ადანაშაულებენ, რომელმაც მანქანა გადასარბენთან არ გააჩერა და მატარებელი არ გაატარა. შეჯახების შედეგად, სხეულის დაზიანებები მიიღეს ავტომანქანაში მსხდომმა ორმა ადამიანმა და მატარებლის მემანქანემ. ბოქსიტით დატვირთული 40-ვაგონიანი მატარებელი აზერბაიჯანის მიმართულებით მოძრაობდა. ტრაილერი კი ქათმის ბარკლებით იყო დატვირთული და ფოთისკენ მიემგზავრებოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის 21-ე ქვეითი ბრიგადის ჰოსპიტლის თანამშრომლები ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს აპროტესტებენ.

22 ივლისს მათ საპროტესტო აქცია გამართეს, რადგან სამედიცინო ასეულიდან სამსახურში მხოლოდ 16 თანამშრომელი რჩება. ჰოსპიტლის მომსახურე პერსონალის განცხადებით, 21-ე ბრიგადის მეთაური აქციის მონაწილეებთან შეხვედრაზე უარს აცხადებს. აქციის მონაწილეთა თქმით, მათ გასული წლის ხელფასებიც არ აუღიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, ამჟამად ძარცვისთვის პირობით მსჯავრდებული, 21 წლის დავით შენგელია, მეტსახელად "ტყეჭელა", რომლისგანაც ამოიღეს ავტომატი "აკს" მჭიდითა და 18 ვაზნით. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 21 ივლისს სამი პირი თავს დაესხა წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში მცხოვრებ, 51 წლის არამ შელიას ოჯახს, საიდანაც ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცეს ოქროულობა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის წალენჯიხის ქვეგანყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონის სოფელ ნიქოზში განლაგებულ თავდაცვის სამინისტროს სამშვიდობო ბატალიონში ავტომატური იარაღის შემთხვევითი გასროლით ფეხში დაზიანება მიიყენა რიგითმა, 19 წლის ამირან კურტანიძემ. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალგორის გამგებელი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამო დააკავეს. მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურამ რაიონის გამგებელს ნუგზარ თინიკაშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალი უკვე წაუყენა. გამოძიების ვერსიით, ნუგზარ თინიკაშვილმა არამიზნობრივად დახარჯა ის სატრანსფერო თანხები, რომლებიც ახალგორის ოსური სოფლების პედაგოგებისთვის იყო გათვალისწინებული.

კულუარული ინფორმაციით, პროკურატურა შესაძლოა ნუგზარ თინიკაშვილის ძმით, ახალგორის პოლიციის უფროსითაც დაინტერესდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის სამხარეო ფინანსური პოლიციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს ძალებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოტანილი 57 ყუთი უაქციზო სიგარეტი დააკავეს. როგორც ფინანსური პოლიციის უფროსმა კახა კაკაბაძემ განაცხადა, ეს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში გალის რაიონის ტერიტორიიდან ზუგდიდში შემოსული უაქციზო სიგარეტის დაკავების მეხუთე შემთხვევაა. მისი თქმით, სპეცოპერაციაში ფინანსურ პოლიციას შინაგანი ჯარის ნაწილებიც ეხმარებიან. ფინანსურმა პოლიციამ ზუგდიდის ცენტრში 10 ათასი ლარის ღირებულების 400 ყუთი უაქციზო სიგარეტი ამოიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჯვართამაღლების მრევლის წევრები დღეს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს შენობის წინ მათი თანამოაზრის, 32 წლის არჩილ კორსავას გათავისუფლების მოთხოვნით, საპროტესტო აქციას გამართავენ.

ჯვართამაღლების მრევლის წევრებმა არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ერთ-ერთ ხელმძღვანელს გელა ნიკოლეიშვილს მიმართეს. მათი განცხადებით, 20 ივლისს პირველი ჯგუფის ინვალიდი არჩილ კორსავა ეკლესიაში მიდიოდა, რა დროსაც იგი პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს, გაჩხრიკეს და ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" ჩაუდეს. მრევლის წევრთა მტკიცებით, კორსავას ნარკოტიკებთან არანაირი შეხება არ აქვს და იგი უკანონოდ არის დაპატიმრებული. მათივე თქმით, ჯვართამაღლების ეკლესიის მოძღვარი თეოდორე გაგნიძე სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესზე საშუამდგომლო მიმართვას წარადგენს. **ინტერ-პრესი**

# ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა და საქართველოს დევნილი მოსახლეობის უფლებათა დაცვის პერსპექტივა

*ბევრი რამ, რაც სტრასბურგის სასამართლოს ქვემოთ განხილულ საქმეებშია აღწერილი, ძლიერ წააგავს მდგომარეობას და ტანჯვას, რისი გადატანაც უხდებოდათ და უხდებათ დევნილებს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან; აგრეთვე მათაც, ვისაც დღეს სეპარატისტული რეჟიმების ქვეშ უხდება ცხოვრობა. ანალოგია პრეცედენტული სამართლის მთავარი ინსტრუმენტია. სადაც ფაქტების ანალოგია დადგენილია, იქ სასამართლოს გადაწყვეტილებაც თითქმის გარანტირებულია. ამიტომაც, ვინც ქვემოთ აღწერილ მოვლენებში საკუთარ ბედთან რაიმე ანალოგიას დაინახავს, ვურჩევდი არ დაივიწყოს უფლებათა დაცვის იმ მძლავრი საერთაშორისო მექანიზმის შესახებ, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ეწოდება.*

სანდრო ბარამიძე
*ადვოკატი*

ახლახან, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ, საქმეზე - "ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის წინააღმდეგ", საქართველოსთვის ძალზე საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ მოლდოვასაც და რუსეთსაც პასუხისმგებლობა დააკისრა მოლდოვას ოთხი მოქალაქის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ("კონვენცია") რამოდენიმე მუხლის დარღვევის გამო.

ილაშკუს საქმე პირველი პრეცედენტი არ არის, როდესაც სტრასბურგის სასამართლო კონვენციის დარღვევაში ადანაშაულებს სახელმწიფოს (მოცემულ შემთხვევაში რუსეთს), რომლის ტერიტორიაზეც არ მომხდარა უფლებათა დარღვევა. ასეთი გადაწყვეტილებების პირველი პრეცედენტები შეიქმნა საქმეებით, სახელწოდებით "ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ" და "კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ", რომელთაგან თითოეული 1974 წელს თურქეთის არმიის მიერ ოკუპირებული კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილიდან დევნილი ბერძნული მოსახლეობის უფლებების დარღვევას შეეხებოდა.

ზემოთ აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებების მოცულობა იმდენად დიდია (მარტო ილაშკუს საქმეზე გადაწყვეტილება თითქმის 200 გვერდს მოიცავს), რომ ერთ წერილში ყველა საკითხის მიმოხილვა შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც ზოგადად შევეხებით მხოლოდ რამოდენიმე საყურადღებო ასპექტს.

### იურისდიქცია და ტერიტორია

ჩვეულებრივ, როდესაც საუბარია სახელმწიფოს იურისდიქციაზე, იგულისხმება, რომ ეს იურისდიქცია სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვრცელდება. გარკვეულ წილად ამ აზრს, საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც იზიარებს. ამიტომაც, როდესაც კვიპროსელმა ბერძენმა ქალბატონმა ლოიზიდუმ ევროპის სასამართლოში განცხადება შეიტანა თურქეთის წინააღმდეგ, პირველი პროტესტი, რომელიც მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენელმა განაცხადა, იმაში მდგომარეობდა, რომ, მისი აზრით, თურქეთი ვერ იქნებოდა ლოიზიდუს უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებელი, რადგან ამ უფლებათა დარღვევა თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ანუ მისი "იურისდიქციის ფარგლებში" არ განხორციელებულა. სასამართლოს პასუხი ამ პროტესტზე გახდა პირველი ნაბიჯი სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რომელმაც გზა გაუხსნა ტერმინ "იურისდიქციის" განსხვავებულ ინტერპრეტაციას. აი, ეს პასუხიც:

"მიუხედავად იმისა, რომ პირველი მუხლი კონვენციის გავრცელების სფეროებზე შეზღუდვებს აწესებს, "იურისდიქციის" ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ეროვნული ტერიტორიით. ხელშემკვრელი მხარის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის სამხედრო მოქმედების შედეგად - კანონიერი იქნება თუ უკანონო ასეთი მოქმედება - ეფექტურ კონტროლს ახორციელებს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ ტერიტორიაზე. ასეთ ტერიტორიაზე კონვენციით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ვალდებულება გამომდინარეობს თვით კონტროლის ფაქტიდან, მიუხედავად იმისა, თუ რა გზით ხორციელდება ასეთი კონტროლი - პირდაპირ, შეიარაღებული ძალების მეშვეობით თუ მორჩილი ადგილობრივი ადმინისტრაციის საშუალებით." ("ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ, პროტესტი საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით").

### იურისდიქცია და პასუხისმგებლობა

განმცხადებლის, ქალბატონ ლოიზიდუს თქმით, რადგანაც კვიპროსის რესპუბლიკა აშკარად ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი კუნძულის იმ ნაწილზე, რომელიც თურქეთს ჰქონდა ოკუპირებული, პასუხისმგებლობა სწორედ თურქეთს უნდა დაკისრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის მხრივ კვიპროსის ჩრდილოეთი ნაწილი ვაკუუმში აღმოჩნდებოდა, რაც სრულ წინააღმდეგობაში იქნებოდა კონვენციის პრინციპებთან. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ თურქეთს არ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, მაშინ გამოვიდოდა, რომ ამ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის საერთოდ არავინ იქნებოდა პასუხისმგებელი, რაც კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს ეწინააღმდეგება.

სტრასბურგის სასამართლომ გაიზიარა ეს არგუმენტაცია. სასამართლოს თქმით, "ეფექტური კონტროლის" პრინციპი არ მოითხოვს, რომ ასეთი კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო მაინცდამაინც ადგილობრივი ხელისუფლების, ამ შემთხვევაში "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის", ყოველ ცალკეულ ნაბიჯს და მოქმედებას აკონტროლებდეს. ის ფაქტი, რომ თურქეთს კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში უზარმაზარი სამხედრო კონტინგენტი ჰყავდა (30 000 სამხედრო მოსამსახურე) შეყვანილი, თავისთავად მეტყველებდა იმაზე, რომ თურქეთი ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა კუნძულის ამ ნაწილზე. შესაბამისად, სწორედ თურქეთი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო, უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" მოქმედებებზე.

### "ეფექტური კონტროლის" დოქტრინის შემდგომი განვითარება

ლოიზიდუს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილების კომენტირებისას, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა: მართალია ეს საქმე ეხებოდა კერძო პირის საჩივარს იმის გამო, რომ მას არ ეძლეოდა საშუალება, ესარგებლა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული ქონებით, სასამართლომ თურქეთს დააკისრა საერთო პასუხისმგებლობა "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" პოლიტიკასა და საქმიანობაზე. სასამართლოს თქმით, ეფექტური კონტროლის გამო, რომელსაც თურქეთი ჩრდილოეთ კვიპროსზე ახორციელებს, თურქეთის პასუხისმგებლობა ვერ შემოიფარგლება მხოლოდ თურქი სამხედრო მოსამსახურეებისა და მოხელეების მოქმედებით. თურქეთს ეკისრება პასუხისმგებლობა ადგილობრივი ადმინისტრაციის ყველა მოქმედებაზე, რადგან ეს ადგილობრივი ადმინისტრაცია მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის სამხედრო და სხვაგვარი მხარდაჭერით სულდგმულობს. შესაბამისად, კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული ყველა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების დარღვევა სწორედ თურქეთს შეერაცხება ("კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ").

"ეფექტური კონტროლის" დოქტრინამ შემდგომი განვითარება ჰპოვა საქმეში "ილაშკუ და სხვები მოლდოვასა და რუსეთის" წინააღმდეგ. საქმე ეხება მოლდოვას ოთხი მოქალაქის უფლებათა დარღვევას ე.წ. "დნესტრისპირეთის რესპუბლიკის" ტერიტორიაზე, სადაც ისინი წლების განმავლობაში უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდნენ და მათ წინააღმდეგ განხორციელდა ქმედებები, რომლებსაც წამების კვალიფიკაცია მიენიჭა.

როგორც ცნობილია, მდინარე დნესტრის მარცხენა სანაპირო უპირატესად რუსულენოვანი მოსახლეობით არის დასახლებული. 1991 წელს, მოლდოვას მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დამოუკიდებლობა გამოაცხადა "დნესტრისპირეთის რესპუბლიკამაც", რამაც მოლდოვასა და დნესტრისპირეთის სეპარატისტულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვა. კონფლიქტში სეპარატისტების მხარეზე აქტიურად ჩაებნენ მოლდოვას ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საბჭოთა კავშირის მე-14 არმია და კაზაკების შეიარაღებული ფორმირებები. საბოლოო ჯამში, საბრძოლო მოქმედებები შეწყდა, მაგრამ მოლდოვამ დაკარგა კონტროლი თავისი ტერიტორიის ნაწილზე, რომელსაც რუსეთის აქტიური მხარდაჭერით დღემდე დნესტრისპირეთის დე ფაქტო სეპარატისტული ხელისუფლება აკონტროლებს.

როგორც ილაშკუ და დანარჩენი სამი განმცხადებელი ჩიოდნენ, მდგომარეობა დნესტრისპირეთში ანალოგიური იყო იმისა, რაც კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში არსებობდა. კერძოდ, სიტუაციას მოცემულ რეგიონში აკონტროლებდა და მასზე იურისდიქციას ახორციელებდა რუსეთი, რომელიც სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას უწევდა სეპარატისტულ რეჟიმს. შესაბამისად, ისინი თავიანთი მოთხოვნების საფუძვლად "ლოიზიდუს" და "კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ" პრეცედენტებზე მიუთითებდნენ.

ამის საწინააღმდეგოდ რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ სიტუაციის შედარება ჩრდილოეთ კვიპროსთან არამართებული იყო, რადგან თურქეთს ჩრდილოეთ კვიპროსში 30000-იანი არმია ჰყავდა განლაგებული, ხოლო რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი ყოფილი საბჭოთა მე-14 არმიის კონტინგენტი დნესტრისპირეთში მხოლოდ 2000 კაცით შემოიფარგლებოდა.

სტრასბურგის სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ 1991-92 წლების კონფლიქტის დროს ყოფილი მე-14 არმიის ნაწილები სეპარატისტების მხარეზე იბრძოდნენ და რუსეთის არმიის შეიარაღების დიდი ნაწილი ნებაყოფილობით გადაეცა სეპარატისტებს. კონფლიქტის დროს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი პოლიტიკური განცხადებებით სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ სეპარატისტულ რეჟიმს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1992 წლის შეთანხმება, უმეტეს წილად, რუსეთის წარმომადგენლების მიერ იქნა შედგენილი. უფრო მეტიც, რუსეთმა, როგორც მხარემ, ხელი მოაწერა აღნიშნულ შეთანხმებას.

ასეთ ფონზე სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის ფედერაცია პასუხს აგებს დნესტრისპირეთის სეპარატისტების უკანონო ქმედებებზე, რადგან სეპარატისტული რეჟიმი სწორედ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად შეიქმნა. უფრო მეტიც, სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის შემდეგაც, რუსეთის ფედერაცია განაგრძობდა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების გაწევას სეპარატისტული რეჟიმისათვის, რამაც, სასამართლოს თქმით, ხელი შეუწყო სეპარატისტული რეჟიმის შენარჩუნებას, განმტკიცებას და მის მიერ მოლდოვასაგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვებას.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც 1998 წლის 5 მაისს რუსეთმა კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა და, შესაბამისად, აილო ვალდებულება უზრუნველეყო თავისი იურისდიქციის ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. უფრო მეტიც, ეუთო-ს 1999 წლის სტამბულის და 2001 წლის პორტოს სამიტებზე აღებული ვალდებულებების საწინააღმდეგოდ, რუსეთის შეიარაღებული ძალები განაგრძობენ მოლდოვას ტერიტორიაზე ყოფნას. რუსეთი, ასევე, განაგრძობს "დნესტრისპირეთის რესპუბლიკისათვის" სამხედრო და ფინანსური დახმარების გაწევას.

სასამართლოს აზრით, ეს და მრავალი სხვა გარემოება აშკარად ადასტურებს, რომ 1991-92 წლების კონფლიქტის შედეგად და რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით ჩამოყალიბებული "დნესტრისპირეთის რესპუბლიკის" ადმინისტრაცია კვლავაც რუსეთის ხელისუფლების "ეფექტური კონტროლის" ან, სულ მცირე, "ძლიერი გავლენის" ქვეშ იმყოფება და მისი ხელისუფლების შენარჩუნება მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის შედეგად ხერხდება. შესაბამისად, რუსეთი პასუხს აგებს იმ დარღვევებისათვის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა განმცხადებლების მიმართ.

როგორც ვხედავთ, თუ თავდაპირველად "ეფექტური კონტროლის" პრინციპი უპირატესად კონვენციის მხარე სახელმწიფოს "კანონიერ თუ უკანონო სამხედრო მოქმედებაზე" იყო დამოკიდებული, მოგვიანებით, ამ დოქტრინის დამუშავების შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სხვის ტერიტორიაზე "ეფექტური კონტროლი" სახელმწიფომ შეიძლება ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის და გავლენის საფუძველზეც განახორციელოს.

### გამორიცხავს თუ არა საკუთარი ტერიტორიის ნაწილზე კონტროლის უქონლობა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას?

განმცხადებლების თქმით, მოლდოვას სახელმწიფომ არ იღონა ყოველივე შესაძლებელი, რათა დაეცვა თავისი მოქალაქეები კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დარღვევისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვას არ ჰქონდა უნარი განეხორციელებინა ეფექტური კონტროლი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მას შეეძლო მიეღო საკმარისი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა განმცხადებლების უფლებების დაცვას. თუმცა, ასეთი ზომები მიღებული არ ყოფილა.

უფრო მეტიც, განმცხადებლების თქმით, მოლდოვას ხელისუფლებამ არამცთუ არ შეასრულა კონვენციიდან გამომდინარე თავისი პოზიტიური ვალდებულებები, არამედ *დე ფაქტო* აღიარა კიდეც ტირასპოლის რეჟიმი ან, სულ მცირე, დუმილით დაეთანხმა და შეეგუა არსებულ ვითარებას.

სასამართლომ ცნო, რომ მოლდოვას ხელისუფლება, რომელიც, საერთაშორისო საჯარო სამართლიდან გამომდინარე, მოლდოვას რესპუბლიკის ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლებაა, ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს თავისი ტერიტორიის ნაწილზე, კერძოდ იმ ნაწილზე, რომელიც "დნესტრისპირეთის რესპუბლიკის" კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ამავე დროს, სასამართლოს განცხადებით, დნესტრისპირეთის რეგიონის ტერიტორიაზე ეფექტური კონტროლის უქონლობის პირობებშიც კი, მოლდოვას აკისრია პოზიტიური ვალდებულება მიიღოს დიპლომატიური, ეკონომიკური, მართლმსაჯულებითი და სხვა ზომები, რომელთა მიღებაც მას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად შეუძლია, რათა უზრუნველყოს განმცხადებელთა უფლებების დაცვა. ამასთან, სასამართლომ აღიარა, რომ როდესაც საწინააღმდეგო მხარეს დგას ისეთი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალის მქონე სახელმწიფო, როგორიც არის რუსეთის ფედერაცია, მოლდოვას სახელმწიფოს რეალურად ძალზე მცირე რამის გაკეთება შეეძლო დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე თავისი იურისდიქციის აღსადგენად, მაგრამ სასამართლომ ამ ადამიანების უფლებების დარღვევაში, რუსეთთან ერთად, პასუხისმგებლად მოლდოვაც ცნო.

თუმცა, მოლდოვას პასუხისმგებლობის საკითხი, როგორც ჩანს, იმით იყო განპირობებული, რომ განმცხადებლებმა რუსეთთან ერთად მოლდოვასაც უჩივლეს ადამიანის უფლებათა დარღვევაში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო და განმცხადებლებს მოპასუხე სახელმწიფოდ მხოლოდ რუსეთი დაესახელებინათ, მოლდოვას პასუხისმგებლობის საკითხი, სავარაუდოდ, არ დადგებოდა.

### კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ

მთავარი პრეცედენტი კი მაინც არის საქმე "კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ".

განცხადება სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილ იქნა კვიპროსის ხელისუფლების მიერ, რომელიც მოპასუხეს - თურქეთის ხელისუფლებას უჩიოდა კონვენციის თითქმის ყველა ნორმის დარღვევაში, 1974 წლის ივლის-აგვისტოში თურქეთის სამხედრო ოპერაციების შედეგად.

1983 წლის ნოემბერში კვიპროსის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ფაქტიური რღვევის მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. გამოცხადდა ე.წ. "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა". 1985 წელს მიღებულ იქნა "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის კონსტიტუცია".

ეს ფაქტი დაგმობილ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. 1983 წლის 18 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია N541, რომელმაც "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" დაფუძნება ბათილად გამოაცხადა და მოუწოდა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს, არ ეცნო კვიპროსის მიწაზე რომელიმე სხვა სახელმწიფო, გარდა კვიპროსის რესპუბლიკისა. იგივე მოწოდებები იქნა შეტანილი უშიშროების საბჭოს 1984 წლის 11 მაისის N550 რეზოლუციაშიც.

ამჟამად ჩრდილოეთ კვიპროსს კვლავაც "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა" აკონტროლებს, ხოლო კვიპროსის რესპუბლიკასა და მას შორის მოქმედებს ბუფერული ზონა, რომელსაც გაეროს სამშვიდობო ძალები იცავენ.

თავის განცხადებაში კვიპროსის ხელისუფლება თხოვდა სასამართლოს განეხილა და ეცნო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის 1-6, 8-11, 13-14 და 17-18 მუხლების, აგრეთვე კონვენციის პირველი ოქმის პირველი და მეორე მუხლებით დაცული უფლებების და თავისუფლებების მუდმივი დარღვევა. მითითებები ამ დარღვევებზე ოთხ ძირითად კატეგორიად იქნა გაერთიანებული: 1) გაუჩინარებული ეროვნებით ბერძენი კვიპროსელებისა და მათი ნათესავების უფლებათა დარღვევა; 2) ჩრდილოეთ კვიპროსიდან სამხრეთისკენ იძულებით გადაადგილებული პირების სახლის და ქონებრივი უფლებების დარღვევა; 3) ჩრდილოეთ კვიპროსში შემორჩენილი ბერძნული ანკლავების ბერძნული მოსახლეობის უფლებათა დარღვევა; 4) ჩრდილოეთ თურქეთში ეროვნებით თურქი კვიპროსელებისა და ბოშური თემების უფლებათა დარღვევა. ადგილის სიმცირის გამო, შევეხებით მხოლოდ პირველ სამ კატეგორიის დარღვევებს.

**1) გაუჩინარებული ეროვნებით ბერძენი კვიპროსელებისა და მათი ნათესავების უფლებების დარღვევა.** როგორც განმცხადებელი სახელმწიფოს წარმომადგენელმა აღნიშნა, გაუჩინარებულ ადამიანთა რაოდენობა იმ დროისათვის დაახლოებით 1485 იყო. არსებული მტკიცებულებების თანახმად, ყველა ეს ადამიანი თურქეთის არმიის ან სახალხო ლაშქრის მეომართა მიერ იქნენ დატყვევებულები და უკანასკნელად ისინი იმ ადგილებში ნახეს, რომლებზედაც მოპასუხე სახელმწიფო ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა. გარდა ამისა, კვიპროსის ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, მოპასუხე სახელმწიფო სისტემატურად არღვევდა პროცესუალურ ნორმებს, რადგან არასდროს უწარმოებია ეფექტური გამოძიება იმისათვის, რომ გაუჩინარებული პირების ადგილსამყოფელი დაედგინა. სასამართლომ ცნო, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება), რადგან არ აწარმოა ეფექტური გამოძიება იმ ბერძენი კვიპროსელების ადგილსამყოფლის დადგენის მიზნით, რომლებიც სიცოცხლისთვის საშიშ ვითარებაში გაუჩინარდნენ.

განმცხადებელი სახელმწიფოს წარმომადგენლის თქმით, მოპასუხე სახელმწიფომ გაუჩინარებული პირების მიმართ კონვენციის მე-5 მუხლის პირობებიც დაარღვია (თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება), რადგან არ აწარმოა სათანადო ჩანაწერები მისი წარმომადგენლების მიერ დაკავებული პირების შესახებ და არ მიიღო სხვა აუცილებელი ზომები, რათა თავიდან აეცილებინა ამ პირების გაუჩინარების რისკი.

სასამართლოს განცხადებით, პირის დაკავება და მისი დაკავების ფაქტის აუღიარებლობა მისი თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლების სრული უარყოფაა. როდესაც პირი სახელმწიფო ორგანოების ხელში იმყოფება, სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებაა, აღრიცხონ და დოკუმენტურად გააფორმონ მისი ადგილსამყოფელი. უფრო მეტიც, როდესაც მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პირი სახელმწიფო ორგანოების მიერ იქნა დაკავებული და მას შემდეგ იგი არავის უნახავს, სახელმწიფო ვალდებულია აწარმოოს სასწრაფო და ეფექტური გამოძიება ამ პირის ადგილსამყოფლის დასადგენად. ასეთი ქმედებების არგანხორციელებით, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლიც (წამების აკრძალვა).

სასამართლომ, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ მართლაც არ შეასრულა თავისი მოვალეობა და არ გამოიძია გარემოებები, რომლებიც ამ პირთა გაუჩინარებასთან შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული. როდესაც გაუჩინარებული პირის ახლო ნათესავმა არ იცის, თუ სად იმყოფება მისი ახლობელი ადამიანი, მას უხდება ცხოვრება მუდმივი გაურკვევლობისა და მტანჯველი ფიქრების ტყვეობაში, რომელთა ინტენსივობა დროთა განმავლობაში არ კლებულობს. ამიტომაც, სასამართლოს განცხადებით, მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების დუმილი მაშინ, როდესაც გაუჩინარებული პირის ახლობლები ასეთ საშინელ გაურკვევლობაში იმყოფებიან, სისასტიკის იმ ზღვარს აღწევს, რომელიც არაადამიანურ მოპყრობად უნდა ჩაითვალოს, ამ ტერმინის იმ მნიშვნელობით, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლშია (წამების აკრძალვა) ჩადებული.

**2) დევნილების სახლისა და ქონების უფლების დარღვევა.** უდავო იყო ის ფაქტი, რომ სწორედ მოპასუხე სახელმწიფოს მოქმედების შედეგად არ ეძლეოდათ ეროვნებით ბერძენ კვიპროსელებს თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება, რაც კონვენციის მე-8 (პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 (უფლება ეფექტურ ზომაზე) მუხლების და პირველი ოქმის პირველი მუხლის (ქონების დაცვა) დარღვევას ნიშნავდა.

განმცხადებლის თქმით, მოპასუხე სახელმწიფოს პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ კვიპროსი რასობრივ ზონებად დაეყო, რამაც 211 000 ბერძენი კვიპროსელი და ზოგიერთი უმცირესობის წარმომადგენელი დევნილად აქცია. მისივე განცხადებით, "ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა", თავისი გამუდმებული უარით, მიეცა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სახლებში დაბრუნების უფლება, არა მხოლოდ დევნილთა სახლის უფლებას, არამედ მათი ოჯახური ცხოვრების უფლებასაც არღვევდა, რადგან ბერძენთა განდევნას შედეგად ოჯახების დაშლაც მოჰყვა. თავისი მოქმედებებით, თურქეთი მიზანმიმართულად ცდილობდა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში ტრადიციული ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი გარემოს განადგურებას და ახალი, ხელოვნური რეალობის შექმნას. საამისოდ, ის ცდილობდა მასობრივად ჩაესახლებინა ჩრდილოეთ კვიპროსში თურქეთიდან ჩამოსული ახალმოსახლეები, რათა ქვეყნის ჩრდილოეთში ბერძენთა კულტურა ამოეძირკვა.

სასამართლოს აზრით, მოპასუხე სახელმწიფო არ უარყოფდა განმცხადებლის მტკიცებას, რომ ბერძენი მოსახლეობისთვის სახლებში დაბრუნება შეუძლებელი იყო. თუმცა, მოპასუხე ასეთ შესაძლებლობას მანამდე არ უშვებდა, სანამ კვიპროსის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა არ იქნებოდა მიღწეული. სასამართლომ მიუთითა, რომ პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტა და თურქულ და ბერძნულ თემებს შორის მოლაპარაკება კონვენციის დარღვევის გამართლებისა და ლეგიტიმაციისათვის არ გამოდგება, ამიტომაც თურქეთმა დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.

სასამართლო დაეთანხმა განმცხადებლის არგუმენტაციას და ცნო თურქეთის ხელისუფლების მხრიდან კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა. სასამართლომ დარღვეულად ცნო კონვენციის მე-13 მუხლიც.

**3) ჩრდილოეთ კვიპროსში დარჩენილი ბერძნული მოსახლეობის ცხოვრების პირობებთან დაკავშირებული დარღვევები.** კვიპროსის წარმომადგენლის თქმით, თურქების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ბერძნულ მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება, ესარგებლა სამედიცინო მომსახურებით, რაც კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევის ტოლფასი იყო. სასამართლომ ცნო, რომ კონვენციის მე-2 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებულია თავი შეიკავოს ადამიანის სიცოცხლის უკანონოდ და განზრახ ხელყოფისაგან, არამედ მიიღოს ზომები, რათა თავისი იურისდიქციის ფარგლებში დაიცვას ადამიანთა სიცოცხლე. თუმცა, რადგან არ დადასტურდა ფაქტები, რომ მოპასუხე სახელმწიფო განზრახ ეუბნებოდა უარს ბერძენ კვიპროსელებს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არ ცნო. ასევე არ ცნო სასამართლომ კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევაც.

სამაგიეროდ სასამართლომ შელახულად მიიჩნია ჩრდილოეთ კვიპროსში დარჩენილი ბერძნული მოსახლეობის რელიგიის თავისუფლება (მუხლი 9), რადგან ბერძნებს არ ჰქონდათ თავიანთი საკულტო ადგილების მონახულების საშუალება.

განმცხადებლის თქმით, მოპასუხე სახელმწიფომ ასევე დაარღვია კონვენციის მე-10 მუხლიც (გამოხატვის თავისუფლება), რადგან ბერძენი ბავშვების სასკოლო სახელმძღვანელოები მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა, ხოლო ბერძნულენოვანი გაზეთებისა და წიგნების შემოტანა ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე მკაცრად იზღუდებოდა.

განმცხადებელი სახელმწიფოს წარმომადგენელმა ასევე მიუთითა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში დარჩენილ ეროვნებით ბერძენ მოსწავლეებს არ ჰქონდათ ბერძნულ სკოლაში სიარულის შესაძლებლობა (თურქულმა ადმინისტრაციამ ასეთი სკოლები გააუქმა), რაც ართმევდა მათ მშობლებს კონვენციის პირველი ოქმის მეორე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას, უზრუნველეყოთ თავიანთი ბავშვებისათვის ისეთი განათლება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსთან.

სასამართლოს განმარტებით, თურქულ ადმინისტრაციას უნდა სცოდნოდა, რომ ეროვნებით ბერძენ მშობლებს თავიანთი შვილებისთვის განათლების მიცემა ბერძნულ ენაზე ენდომებოდათ. შესაბამისად, ბერძნული სკოლების გაუქმება კონვენციის პირველი ოქმის მეორე მუხლით დაცული უფლების დარღვევას ნიშნავდა.

მთლიანობაში სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრებ ბერძნებს "მტრულ გარემოში უხდებათ არსებობა, სადაც შეუძლებელია ნორმალური კერძო და ოჯახური ცხოვრებით ცხოვრება." აუტანელი პირობები, რომლებშიც ამყოფებდნენ ბერძნულ მოსახლეობას, გამოიხატებოდა ნორმალური საკომუნიკაციო საშუალებებისა და ბერძნულენოვანი პრესის არარსებობაში, სასულიერო პირების უკმარისობაში, საშუალო განათლებასთან, სამედიცინო მომსახურებასთან, გადაადგილებასთან, საზოგადოებრივ აქციებში მონაწილეობასთან, ქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობაში. სასამართლოს თქმით, ადამიანების ასეთ პირობებში ცხოვრება დამამცირებელია და ფეხქვეშ თელავს თვით ადამიანის ღირსების იდეას.



*ქართველი დევნილების დროებითი ბანაკი სვანეთის მთებში. ამ ხალხმა ყველაფერი დაკარგა.*

## ორი რეცენზია ერთ სპექტაკლზე



B2

## ოცნების ფინალი: არგენტინა - ბრაზილია



B4

## ცხოვრება პლაჟია

პარიზული პლაჟი სამ კილომეტრზეა გადაჭიმული - ლუვრის მუზეუმიდან სენტ ლუის პატარა კუნძულამდე.



B8


# სასამართლოში ძველი სქემების აღდგენა ემუქრება საზოგადოებას

თამარ ხორბალაძე
დიანა ჩაჩუა

*მიუხედავად სასამართლო სისტემის კორუმპირებულობის თაობაზე დამკვიდრებული მოსაზრებებისა, საქართველოში ეს სისტემა დღემდე, თითქმის, "ხელშეუხებელია". ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ სისტემიდან დათხოვილია მხოლოდ 16 მოსამართლე, ისიც - დისციპლინარული გადაცდომებისა თუ "კანონის უხეში დარღვევის" მუხლით. პარლამენტმა საგაზაფხულო სესიის მიწურულს მოსამართლეთა დისციპლინარული დევნის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო, რითაც დღემდე სადავო ტერმინების განმარტება სცადა და მოსამართლეებზე დისციპლინარული დევნის უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს "წიაღიდან" იუსტიციის საბჭოში გადაანაცვლა. საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორები ფიქრობენ, რომ ეს ცვლილებები დისციპლინარული დევნის შესახებ კანონმდებლობას მოქნილს გახდის და მოსამართლეთა დისციპლინარულ გადაცდომებს, დამკვიდრებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ, დაუსჯელს აღარ დატოვებს. ახალი ხელისუფლების ამ ინიციატივას ცალსახა შეფასება არ მოჰყოლია - მოსამართლეთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შეზღუდვა ხდება. აღნიშნულ საკითხებზე დღეს საუბრობენ "24 საათის" სტუმრები - უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს ხელმძღვანელი ნინო გვენეტაძე, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წევრი ნიკა გვარამია და ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში დავით უსუფაშვილი.*



ნინო გვენეტაძე



დავით უსუფაშვილი



ნიკა გვარამია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**ნინო გვენეტაძე:** ჩვენი სამართალწარმოების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადაცემა განაპირობა სახელმწიფოს სურვილმა, რომ სასამართლო სისტემაში აღმოიფხვრას ან, ყოველ შემთხვევაში, შემცირდეს კორუფციული ქმედებანი. რაც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობის, მისი კონტროლისა და მათ შორის ბალანსის არსებობას, ეს ძალიან რთული თემაა. ჩვენს სასამართლოს კორპუსს მოწვევის დღიდან საკმაო გარანტიები მიეცა, თუმცა კანონი დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ ამოქმედებისთანავე - ანუ 2000 წლიდან, გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა სასამართლო კორპუსშიც და ფართო საზოგადოებაშიც.

ამ ოთხი წლის მანძილზე მე ვხელმძღვანელობდი მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს, საკმაო გამოცდილებაც შევიძინე და მივედი იმ დასკვნამდე, რომ "კანონის უხეში დარღვევისათვის" დევნა, რაც დისციპლინარული სამართალწარმოების შესახებ 2000 წელს მიღებულ კანონში არის გათვალისწინებული, ძალიან პრობლემურია იმიტომ, რომ არ არსებობდა განმარტება, თუ რას ნიშნავს "კანონის უხეში დარღვევა". ახალი საკანონმდებლო ცვლილებები ამ ცნების განმარტების მცდელობაა, თუმცა სასამართლო კორპუსს მიაჩნია, რომ ეს არ არის გამოსავალი მდგომარეობიდან; დებულება, რომ არავის აქვს უფლება მოსამართლეს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოსთხოვოს ანგარიში, აშკარად ილახება.

ყოველ შემთხვევაში, სასამართლო კორპუსის განწყობა ასეთია. თუმცა, სხვაგვარია მედიის, საზოგადოების, მოქალაქეების განწყობა, რომლებიც მოგვმართავენ საჩივრებით და გარკვეული მოსამართლეების სამართალწარმოების წესით დასჯას გვთხოვენ. მოქალაქისთვის არ აქვს მნიშვნელობა, რა ხარვეზები და პრობლემებია კანონში და რა პრინციპები ირღვევა სასამართლოსა და მართლმსაჯულებაში.

ოთხი წლის მანძილზე ჩვენ გარკვეული შენიშვნები და დამატებები მოვამზადეთ და შეგახსენებთ, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, გარკვეულწილად, განხორციელდა. თუმცა, მე მგონია, რომ ეს მხოლოდ ორგანიზაციულ საკითხებს უკავშირდებოდა - მოსამართლეთა დისციპლინარული საბჭო გადაეცა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; იქ წევრების არჩევის წესი შეიცვალა, რაოდენობა შემცირდა და დადგინდა, რომ საბჭოს თავმჯდომარე იქნება არა მხოლოდ მოსამართლე და ა.შ. ასე რომ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კორპუსის უარყოფით პოზიციაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ კანონის უხეში დარღვევისათვის დევნა, ანუ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხი, გადავიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში. ეს ძალიან რთული საკითხია - ვფიქრობ, ამას ძალიან დიდი დრო და საკმაოდ აკადემიური განსჯა სჭირდება.

ის, რომ, თითქოს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები არ უშვებენ შეცდომებს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.რასაკვირველია, ისინი უშვებენ შეცდომებს და ეს ნორმალურია. მაგრამ, თუ ჩვენ ვთანხმდებით, რომ სამართალწარმოება კასაციით უნდა დამთავრდეს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სამართალწარმოების კანონის გარკვეული ნორმები, რომლებიც დისციპლინარული სამართალწარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას ართმევს მოსამართლეს, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი; ანუ საკონსტიტუციო სასამართლომ თქვა, რომ ირღვევა კონსტიტუციური უფლება - ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს. ეს საკითხიც ჯერ კიდევ დასარეგულირებელია.

**ნიკა გვარამია:** უპირველეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ცვლილებები, რომლებიც პარლამენტმა მიიღო, იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. ვერ ვიტყვი, რომ სასამართლო სისტემა არის ყველაზე ნაკლოვანი და იქ არ არიან პროფესიონალები, მაგრამ ეს არის სისტემა, რომელიც საჭიროებს რეფორმირებას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მივიღეთ და რამაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ამ სისტემაში, იყო კანონის დარღვევებზე საკუთრივ ამ სისტემიდან რეაგირების მოხდენა. ამით საქართველოს პარლამენტმა იმის დეკლარირება მოახდინა, რომ სასამართლო სისტემა არის ჰორიზონტალური სისტემა; ყველა მოსამართლე, მიუხედავად მათი ინსტანციურობისა, თანასწორუფლებიანია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დევნის შენარჩუნება კი ჰორიზონტალურ სისტემას აქცევდა ვერტიკალურ სისტემად.

როცა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს კანონის უხეში დარღვევისათვის დევნის აღძვრის უფლება, მას უჩნდება მოსამართლეებზე ზემოქმედების ძალიან ძლიერი ბერკეტები. ცხადია, ბერკეტის არსებობა არ გულისხმობს იმას, რომ თავმჯდომარე მათ გამოიყენებს, მაგრამ აქ უდავოდ არსებობს რისკი. პირველ რიგში, უნდა ვიფიქროთ არა საკადრო კონიუნქტურაზე, არა იმაზე, თუ როგორ იყენებდა კადრი ამ უფლებას ადრე და როგორ გამოიყენებს ახლა, არამედ იმაზე, რომ ინსტიტუციურად ამგვარი შესაძლებლობა საერთოდ მოვსპოთ. შესაბამისად, არ მივცეთ არავის თეორიული შესაძლებლობაც კი, რომ მოახდინოს ზეწოლა მოსამართლეებზე.

ამიტომ კანონის უხეში დარღვევის წინააღმდეგ დევნის უფლება მივეცით იუსტიციის საბჭოს, რომელიც არის კოლეგიალური, პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. მთავარი ამ კანონში არის ის, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები იუსტიციის საბჭოს მხრიდან უხეში კანონისთვის დევნას დაუქვემდებარა. ამით ჩვენ მოვახდინეთ შემდეგი პრინციპის დეკლარირება - სასამართლო სისტემაში არ არსებობენ განსხვავებული რეჟიმით რეგულირებადი მოსამართლეები, მიუხედავად მათი ინსტანციისა და განწესებისა.

**ნინო გვენეტაძე:** ყველა ინსტანციის მოსამართლის მიმართ შეიძლება დევნის აღძვრა. იუსტიციის საბჭოს შეეძლო მხოლოდ იმ მოსამართლეების დევნა, რომლებიც ინიშნებოდნენ; უზენაესი სასამართლოს მიმართ კი მხოლოდ უზენაესის თავმჯდომარეს ჰქონდა დევნის აღძვრის უფლება. სხვა შემთხვევაში, არანაირი რანგირება და განსხვავება ჩვენ შორის არ არსებობდა.

**- არ მიგაჩნიათ, რომ ამ ცვლილებით მოსამართლეთა დამოუკიდებლობა შეიზღუდება და სასამართლო სისტემაზე ამჯერად უკვე პრეზიდენტის სათათბირო ორგანო მოახდენს ზემოქმედებას?**

**ნიკა გვარამია:** რა უფრო სამართლიანია - პრეზიდენტის სათათბირო ორგანო ამზადებდეს მოსამართლეების გათავისუფლების საფუძველს, თუ შიდაკორპორაციულად ხდებოდეს ამ გადაწყვეტილებების მიღება?! საბჭო არის დევნის აღმძვრელი ორგანო. ვერდიქტი გამოაქვს რვა კაცისაგან შემდგარ ერთგვარ სასამართლოს. ამ რვა ადამიანში შედის ოთხი მოსამართლე და ოთხი არამოსამართლე. მათ საბჭო არ ნიშნავს - მოსამართლეთა კონფედენცია ამტკიცებს. თუ ეს რვა ადამიანი არ სარგებლობს მოსამართლეთა ნდობით, ე.ი. ისინი ვერ მოხვდებიან ამ თანამდებობებზე. ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, მათ შორის ცნობილი პროფესიონალები იყვნენ, მაშინ, უბრალოდ, არ მესმის, რაში ხედავენ მოსამართლეები საშიშროებას - ჩვენ მოსამართლეების დევნა თვითმიზნად არ დაგვისახავს.

**- მაშინ რა იყო ამ ცვლილებების მოტივაცია. სადაა გარანტია, რომ მსგავსი ცვლილებები სასამართლო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრას მოემსახურება და არა სხვა, ზემოთ უკვე ნახსენებ მიზნებს?**

**ნიკა გვარამია:** თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ კორუფციის აღმოფხვრა არ არის უპირველესი პრობლემა. პრობლემა პროფესიონალიზმის ნაკლებობაა, რაც აშკარად იგრძნობა. თუ მოსამართლე, ფაქტობრივად, ყველა საქმეში თვალშისაცემ დარღვევას უშვებს, ის აღარ უნდა იყოს თანამდებობაზე. ძალიან ბევრ ქვეყანაში ასე ხდება. მოსამართლის უფლებამოსილებები არასოდესაა შეუზღუდავი - უხეშ პროფესიულ შეცდომებზე ის ყოველთვის პასუხს აგებს.

**ნინო გვენეტაძე:** ამ პერიოდში 16 მოსამართლე გავათავისუფლეთ, ფაქტობრივად, კანონის უხეში დარღვევისა და თანამდებობრივი მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო. მე, როგორც საბჭოს თავმჯდომარეს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მევალებოდა, მაგრამ დღესაც მრჩება ხიბჯი - იქნებ ყოფილიყო სხვა მექანიზმი, რომელიც ამ გადაწყვეტილების მოტივაციის მეტ საშუალებას მოგვცემდა. აბსოლუტურად ვეთანხმები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების საშუალება; სასამართლოსთვის მიმართვის საშუალება მაინც.

როგორც უკვე ვთქვი, საპროცესო ნორმის დარღვევისთვის რამდენიმე მოსამართლე საბჭომ გაათავისუფლა თანამდებობიდან. ეს მოსამართლე დღესაც ამტკიცებს თავის უდანაშაულობას. არადა, ამ საქმეში, "კანონის უხეში დარღვევების" გარდა, აღმოჩნდა, რომ განზრახ ქმედებასთან გვქონდა საქმე და მასალები პროკურატურას მივაწოდეთ. მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, პროკურატურამ უარყო ჩვენი ბრალდებები და თქვა, რომ იქ არ იყო დანაშაულებრივი ქმედებები.

შემიძლია, მოვიშველიო ბევრი ექსპერტის მოსაზრება ამ თემასთან დაკავშირებით. მათი პოზიცია არის ის, რომ დევნა დისციპლინარული არ შეიძლება იყოს; რომ ეს ეწინააღმდეგება მოსამართლის დამოუკიდებლობას - გაერო-ს და ევროსაბჭოს პრინციპებს.

**- მაგრამ, თქვენ ამბობთ, რომ ვერც ერთი სხვა მუხლის საშუალებით მოსამართლეების გათავისუფლება ვერ მოხერხდა.**

**ნინო გვენეტაძე:** მე ამ საკითხებზე, ძალიან დიდი ხანია, ვფიქრობ. ამ პრობლემების შესასწავლად დავაარსეთ მოსამართლეთა ასოციაცია. რადგან არ იყო დეფინიცია და არ იყო გამიჯვნა ეთიკური ნორმის დარღვევასა და ადმინსტრაციულ კანონდარღვევას შორის, ვერ მოხდა ამ ნორმის ამოქმედება. არ ვამბობ, რომ სასამართლო სისტემაში კორუფცია არ არის, მაგრამ ვამტკიცებ, რომ ჩვენთან არ არის სისტემური კორუფცია, ანუ ქრთამი არ ხვდება პირველ ინსტანციაში და ის არ მოდის ბოლო ინსტანციამდე - ეს ნამდვილად მიმაჩნია სასამართლო რეფორმის მიღწევად.

სასამართლო სისტემაში არსებული კორუფცია წმინდა დანაშაულია. დანაშაულებრივ ქმედებებზე დისციპლინარული სამართალწარმოების ორგანომ და უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ მიმართა პროკურატურას, მაგრამ ჯერ შედეგი არ ჩანს. ვისურვებდი, რომ არც ერთი მოსამართლე არ ყოფილიყოს მსხვერპლი, მაგრამ ჯერ არ მინახავს კორუფციული დარღვევების გამო დასჯილი მოსამართლე.

**ნიკა გვარამია:** ძალიან კარგად მახსოვს საქმეები, რომლებიც შიგ სასამართლოშივე დამთავრდა; ამაზე მქვს საუბარი, ქალბატონო ნინო.....

**ნინო გვენეტაძე:** სასამართლო კანონმდებლობა საშუალებას არ გვაძლევდა, რომ ფარული ვიდეო და აუდიო მტკიცებულებები მიგვეღო...

**ნიკა გვარამია:** მაგრამ, შიდაკორპორაციული წმენდა ამას არ მოჰყოლია. მე არავის არაფერს ვაბრალებ, უბრალოდ, გამოვდივარ მოცემულობიდან - სასამართლო სისტემაში ძალიან მაღალი ხარისხის შიდაკორპორაციული თანალმობაა.

რაც შეეხება კორუფციას, არაპროფესიონალიზმს და ა.შ. ვიმეორებ, კორუფცია არის აღმოფხვრადი, თუ ჩვენ სამჯერ და ოთხჯერ გავზრდით მოსამართლეთა ხელფასებს. ეს არ არის მიუღწევადი. ამაში დარწმუნებული ვარ, თუმცა, ცხადია, ეს არ არის ერთადერთი ნაბიჯი, რომელიც კორუფციის აღმოსაფხვრელად უნდა გადაიდგას.

**- ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სასამართლო სისტემაში არის კორუფცია, მაგრამ რეალური მექანიზმი, რომლითაც უნდა მოხდეს მისი აღმოფხვრა, დღემდე ვერ მოიძებნა.**

**დავით უსუფაშვილი:** კორუფცია სასამართლო სისტემაში არა მარტო ყველაზე სახიფათო და დამღუპველია, არამედ - ყველაზე რთულად გამოსავლენი და აღმოსაფხვრელიც. ეს რამოდენიმე მიზეზით არის განპირობებული.

სასამართლო სისტემაში სირთულეს ქმნის ის, რომ კორუფციული ქმედება უკავშირდება კონკრეტული საქმის განხილვას, კერძო საქმის განხილვაში კი არავის აქვს ჩარევის უფლება. ამიტომ ეს საქმე გამოსავლენად ძალიან რთულია. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს მექანიზმები სასამართლო სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად. უბრალოდ, აქ განსხვავებული მიდგომაა საჭირო. ერთი მხრივ, მიზანი უნდა იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, ამ სფეროში საგანგებოდ მომზადებული და პროფესიონალი ადამიანები უნდა ჩაერთონ. თუ მთლიანად ინსტანციურობის სისტემა კარგად მუშაობს და ინსტანციებს შორის კორუფციული ბმები გაწყვეტილია, მაშინ შესაძლებელი ხდება ამ კორუფციული გარიგების გამოვლენა.

**- ითქვა, რომ სასამართლო რეფორმას, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ვერ გაამართლა, მაინც ჰქონდა რამდენიმე დადებითი მომენტი - მაგალითად ის, რომ სასამართლოში არ არსებობს სისტემური კორუფცია. რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

**დავით უსუფაშვილი:** ამ მოსაზრებას დავეთანხმებოდი რეფორმის საწყის ეტაპზე. ეს, მართლაც, ასე იყო, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში ძველმა სქემებმა ნელ-ნელა აღიდგინეს თავისი სახე. მე ძნელად დავიჯერებ, რომ უზენაეს სასამართლომდე ეს ძაფები არ მიდის.

**- დისციპლინარული დევნის აღძვრის უფლება უნდა ჰქონდეს თუ არა სასამართლო სისტემაში არსებულ ორგანოს?**

**დავით უსუფაშვილი:** ვფიქრობ, რომ ნორმალურ სასამართლო სისტემაში ამ უფლებების მქონე ორგანო უნდა იყოს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილი. სასამართლო სისტემაში უნდა იყოს აწყობილი ეს რგოლები. ამ საქმეში ძალიან სერიოზულ როლს უნდა თამაშობდეს მოსამართლეთა გაერთიანება. თუმცა, ჩვენთან მოსამართლეთა კონფერენციამ ადგილი ჯერჯერობით ვერ დაიმკვიდრა. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ თვითმმართველობა ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით. ამ მექანიზმის მოშლილობის გამო, გვიხდება ფიქრი, თუ როგორ შეიძლება პრობლემას მოევლოს. მე მომიწია მუშაობა თვით სადისციპლინო საბჭოში. იქ ერთ-ერთი არამოსამართლეთაგანიც იყო თორმეტკაციანი საბჭოს წევრი. მიწევდა მუშაობა კოლეგიაში, სადაც იყვნენ მოსამართლეები და მე - არამოსამართლე და ვიხილავდით დისციპლინარული დევნის საკითხებს. ჩვენთან მოდიოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ აღძრული საქმეებიც, საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებისაც და იუსტიციის საბჭოს მიერ აღძრულიც. მე ვერ ვიტყვი, რომ საქმის აღძვრის უფლების მქონეთა შორის ვინმე განსაკუთრებულად გამოირჩეოდა აქტიურობით, თანმიმდევრულობით და ა.შ. ყველასთვის ყოველთვის პრობლემა იყო ის, რომ ჩვენთან მოსული საქმეების 80 პროცენტში ბრალმდებელი იქცეოდა ხოლმე ადვოკატად. კოლეგა ყოველთვის განიცდის მოსამართლისადმი რიდს.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლადო ჭანტურია ძალიან კარგი ორგანიზატორი იყო, ამ საქმისთვის მეტი ავტონომიურობა უკეთესი იქნებოდა.

**- ითქვა, რომ "კანონის უხეში დარღვევის გამო", გათავისუფლდა 16 მოსამართლე, მაგრამ თვით ამ ცნების განმარტება იწვევს საკმაო უკმაყოფილებას, რადგან გარკვეული ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. რამდენად საკმარისია ის დეფინიცია, რომელიც ამ ცვლილებებით ჩაიდო კანონში?**

**დავით უსუფაშვილი:** ძალიან ბევრი ექსპერტი, რომელიც მუშობდა ამ საკითხზე, მოითხოვდა უფრო დიდ და ფართო დეფინიციას. უნდა გვესმოდეს, რომ, პრაქტიკულად, საუბარია მინი სისხლის სამართლის საქმეზე, არადა ამ საქმისთვის შესაფერისი განმარტებები ნამდვილად არ იყო და ეს ბევრ პრობლემას ქმნიდა. იყო შემთხვევა, როცა უცხოელი ექსპერტი გვირჩევდა, კანონის უხეშ დარღვევად ჩათვლილიყო ისეთი შემთხვევა, როცა დამტკიცებულია ბრალი. მე ვთვლი, რომ ეს ასე უნდა იყოს. იმიტომ, რომ თუ ვერ ვამტკიცებთ მოსამართლის ბრალეულობას, ჩემი აზრით, მისთვის კანონის უხეში დარღვევის შეფარდება სრულიად შეუფერებელია.

**- ის, რომ საქართველოში მოსამართლისთვის წინასწარი განზრახვის დამტკიცების პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა, ხომ არ გაართულებს ისედაც არასაკმარის ბრძოლას დარღვევების წინააღმდეგ?**

**დავით უსუფაშვილი:** სასამართლო სისტემაში დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ უნდა ჩაენაცვლოს კრიმინალთან ბრძოლას. იმიტომ, რომ ამ დანაშაულებებს უნდა მოუარონ სამართალდამცავმა ორგანოებმა. როცა ვამბობ, რომ კანონის უხეში დარღვევის ცნება უნდა დაკონკრეტდეს, სულ არ ვგულისხმობ, რომ ამან უნდა გადაკვეთოს ის ზღვარი, რომლის იქითაც დანაშაულზე ვსაუბრობთ. პროკურატურაში და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში უნდა სპეციალურად მომზადდნენ შესაბამისი მუშაკები. სასამართლო სისტემას თავისებური მიდგომა სჭირდება. ასეთივე მიდგომაა საჭირო მედიასთან და ა.შ. უნდა არსებობდნენ კვალიფიციური პროკურორები, რომლებიც, ზიანის მიყენების გარეშე, მოახერხებენ ამ სისტემიდან კორუფციული ელემენტების აღმოფხვრას.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ანკეტა B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# ორი რეცენზია ერთ სპექტაკლზე





*19 წლის ციცინო (მსახიობი კაროლინა ლიმინოვიჩი) წმინდა ქალწულად გადაიქცევა. ტიპური პანკის სტილის (ჩაცმულობა, ვარცხნილობა) თინეიჯერი, ღამ-ღამობით წმინდანებს ხედავს, რომლებიც ელაპარაკებიან და ეუბნებიან, რომ მან უნდა "მოაგვაროს რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტი".*

*12 ივნისს პოლონეთის ქალაქ ბიგდოშჩის იერონიმ კონეჩკის სახელობის პოლონური თეატრის სცენაზე გაიმართა პოპულარული ქართველი დრამატურგის ლაშა ბუღაძის პიესის "პოლიტიკური პიესა" - პრემიერა. გთავაზობთ პოლონური პრესის გამოხმაურებას ამ პიესის შესახებ.*

### გაზეთი "ვიბორჩა"
### საოცრება ქართულად

გროტესკის და შავი იუმორის ნაზავი. საიდან გვეცნობა ეს?

ბალკანეთიდან, იუგოსლავიის დაცემის შემდეგ. ისევე როგორც არტისტული ზეწოლის პათოსი, ეგზალტაცია და პარანოია.

იანუშ მილანოვსკი

"მე დავიბადე ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხი ყველაზე უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში" - ემირ კუსტურიცას ბოსნიაზე ნათქვამი ეს სიტყვები თავისუფლად შეიძლებოდა გაემეორებინა ქართველ დრამატურგ ლაშა ბუღაძეს. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, მაგრამ მისი "პოლიტიკური პიესა" ძალიან დაახლოებულია "ანდერგრაუნდის" რეჟისორის შემოქმედებასთან. შეიძლება ამის მიზეზი მსგავსი გეოპოლიტიკური ჯოჯოხეთია. როგორც ჩანს, რევოლუციამ საქართველოს მოსახლეობა ისეთივე აბსურდში ჩააგდო, როგორც ხორვატები, სერბები და ბოსნიელები იუგოსლავიის დაშლის შემდეგ. გაათავისუფლა გაუგებრობა და არადამაჯერებლობა იმიტომ, რომ თავისუფლების მექანიზმით, სუსტ სახელმწიფოში სხვაზე უკეთესად მასა სარგებლობს. ახალგაზრდა 26 წლის ბუღაძემ თავის "პოლიტიკურ პიესაში" აღწერა დრამატული სინდრომი, რომელიც თავს იჩენს ქვეყნებში, სადაც დიქტატურაა გამეფებული: ლიდერის, რაღაც ათვლის წერტილის და საერთო იდეალის არარსებობა.

უბრალო ხალხი თავის თავს ვერ პოულობს თავისუფლებაში, რომელიც მათ მოულოდნელად დაატყდა თავს. რას აკეთებენ მაშინ ისინი? უარეს შემთხვევაში იპარავენ, სვამენ და საქმეებს არჩევენ. საბოლოოდ აბსურდისა და გაუგებრობის აუტანლობის გამო, ქმნიან რაღაც ნაზავს. და აი, აქ იწყება შოუ.

ასე ხდება ბუღაძის "პოლიტიკურ პიესაშიც". 19 წლის ციცინო (მსახიობი კაროლინა ლიმინოვიჩი) წმინდა ქალწულად გადაიქცევა. ტიპური პანკის სტილის (ჩაცმულობა, ვარცხნილობა) თინეიჯერი, ღამ-ღამობით წმინდანებს ხედავს, რომლებიც ელაპარაკებიან და ეუბნებიან, რომ მან უნდა "მოაგვაროს რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტი". ციცინო იმეორებს მანიფესტს მშვიდობაზე, თავისუფლებაზე და ა.შ. მისი ახლობლები ამ ფაქტს კაცის უკმარისობით ან ყოველთვიური უსიამოვნებებით (მენსტრუაციით) ხსნიან. მასთან გამოძახებული მთვრალი ვეტერინარი (ვოიცეხ სვიებოდა) ამტკიცებს, რომ ციცინოს ჩეჩნეთში ჰყავს მეგობარი ბიჭი და სწორედ ამითი აიხსნება მისი ზმანებები. საბოლოოდ, მას თბილისში წაიყვანენ, სადაც ის საოცრებებს ახდენს: საზოგადოებას უბრუნებს ტერორისტს, კურნავს ნარკომანს, ჩვეულებრივ ორიენტაციას უბრუნებს გეებს (ცისფრებს, პედერასტებს), ცუდი თვისებისაგან ანთავისუფლებს მანიაკალურ ონანისტს.

სპექტაკლი დადგმულია "პოლონეთის თეატრის" ხელმძღვანელის, ადამ ოჟეხოვსკის მხატვრული ხელმძღვანელობით, ბულვარულ ფორმაში, ძალიან ვიტალური, ისეთივე მომენტებით, როგორც dell'arte-ში ან კაბარეში. მოქმედება თანმიმდევრულად ვითარდება, მისი წამყვანები იცვლებიან, მსახიობები კი რამდენიმე როლს თამაშობენ.

სპექტაკლში ძალიან ბევრი, ცოტა უხეში იუმორია. მსახიობები მას კარგად გრძნობენ და მთელ მის არაჩვეულებრიობას წარმოაჩენენ, ზოგჯერ იმდენად შედიან თავისი გმირის როლში, რომ ზედმეტიც კი მოსდით, მაგრამ ეს ყველაფერი მაყურებლის სასარგებლოდ ხდება. პრემიერაზე კი მაყურებელს თავისი პროტაგონისტი ჰყავდა, რომელიც მართლა არანორმალურად ძლიერად იცინოდა და ყველა დანარჩენ მაყურებელზეც გადამდებად მოქმედებდა. ეს მონიკა ობარა იყო, რომლის დებიუტიც ერთი კვირის წინ შედგა, მან მერლინ მონროს განასახიერა. შეიძლება, აქ, sitcom-ის ეფექტზე იყო საუბარი? სპექტაკლის პროგრამა არ ითვალისწინებს დარბაზიდან წამოსულ ხმებს.

### გაზეთი "პომორსკა"
### ცა და მიწა არ განსხვავდება

ანიტა ხმარა

ქართული პიესები თეატრებში ყოველდღიურად არ იდგმება. სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა მივულოცოთ "პოლონურ თეატრს" ბიგდოშჩში. და აი, ისიც - მომდევნო პრემიერა. სხვა საკითხია, ვიზიარებთ თუ არა ჩვენ იმ მიდგომას, რომლითაც ეს პიესა იყო წარმოდგენილი. ლაშა ბუღაძის "პოლიტიკური პიესა" საქართველოში დაუსრულებელი კონფლიქტების ნათელი გამოსახულებაა, რომელიც გროტესკული ფორმით არის გამოხატული. მაგალითად, ციცინო 19 წლისაა, გამუდმებით წმინდანებს ხედავს და ჩეჩნურ-რუსული, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება აქვს მიზნად დასახული. აქვეა მისი ოჯახი, რომელიც ციცინოს არანორმალურად მიიჩნევს. თბილისში გამგზავრებისას ციცინო პირველ სასწაულს მოახდენს - მოლაპარაკებები ტერორისტებთან. აჟიტირებული მედია შოუს აწყობს, რომლის დროსაც ციცინო ჭეშმარიტი არსებობისკენ შემოაბრუნებს წყალწაღებულ ნარკომანს, ჰომოსექსუალისტს და ონანისტს...

ეს, მართლაც, ცირკია. ციცინო კი აგრძელებს რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის მოგვარებაზე ფიქრს, მიუხედავად იმისა, რომ წმინდანები მას საბოლოო პასუხს არ აძლევენ, თუ რა გზით არის ეს შესაძლებელი. ამიტომ ციცინოს უკანასკნელი იმედის მომცემი ქადაგება ისევე სასაცილოა, როგორც ტრაგიკული, ისევე როგორც ღმერთისა და მეფისტოფელის მიერ რამდენჯერმე გამეორება იმის შესახებ, რომ ისინი ციცინოს არ იცნობენ. ეს არც კაბარეა და არც სასაცილო პიესა. თუკი ის რამეს გვასწავლის, ეს მორალია იმის შესახებ, რომ ადამიანთა სულებისათვის ჭკუიდან შეშლილი ციცინო იბრძვის, ღმერთისა და ეშმაკისათვის კი ეს სულერთია. აი, ასეა ბუღაძესთან.

"პოლონურ თეატრში" კი სპექტაკლის ფორმა კაბარეს სტილშია გადაწყვეტილი. გააცნობიერა კი ქშიშტოფ კოპკამ, სცენარის მთარგმნელმა და სპექტაკლის იდეის ავტორმა, ბუღაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სერიოზულ თემაზე სერიოზულად საუბარი არ შეიძლება? შესაძლებელია. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ზედმეტად გააცნობიერა. სპექტაკლის ბაზრობის შესაფერისი ხასიათი ერთია, მაგრამ უნდა თამაშობდნენ თუ არა მსახიობები სპექტაკლში როგორც ფარსში - ეს მეორეა. ვინ დაუჯერებს მათ? ეს ხომ სინამდვილეში ფარსი არ არის. ციცინოს ტრაგედია ისევე ნათელია, როგორც საქართველოს ტრაგედია. მაგრამ ვინ მიხვდება ამას სასაცილო, ფრივოლურ, ფეიერვერკული კაბარეს შემხედვარე, ერთი გამაერთიანებელი შტრიხით?! თეატრში თეატრიც რომ მოვაწყოთ (როგორც ფარსში) პირდაპირ, ურთიერთობა დავამყაროთ აუდიტორიასთან და ასე (სერიოზულად) შევასრულოთ ჩვენი როლი.

ყველას აქვს საკუთარი კონვენციის (არჩევანის) უფლება, რატომ უნდა ჩამოვართავთ ეს უფლება ქშიშტოფ კოპკას? ვფიქრობ, რომ სასაცილოს ჩვენებით, და იმის მიჩქმალვით, რაც სასაცილო არ არის, გაჩნდა დაწერილისგან განსხვავებული ნაწარმოები (თუმცა ტექსტი თითქმის არ არის შეცვლილი). ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე ფინალს - ორიგინალში ციცინო თავად ლაპარაკობს საჯარისო ფორმირებების გარეშე. მისი სიტყვები სიცარიელისკენ მიდის, რომელსაც მეფისტოფელისა და ღმერთის გაოცებული სიტყვები ახშობს: "იცი შენ, ვინ არის ციცინო?". ბიგდოშჩის თეატრში კი ციცინო თავის ჯართან ერთად გამოცხადდება, მისი სიტყვა პრეზიდენტისადმი, არის ქადაგება იმის შესახებ, რომ მოდის მაცნე - დიდი, ძლიერი და უმოწყალო. მეფისოტფელი და ღმერთი კვლავ გაკვირვებულნი არიან, მაგრამ ველარაფერს ამბობენ. და ვინაიდან ეს კაბარეა, ყოველივე ამას ჩვენ სერიოზულად ვერ აღვიქვამთ. ეს ერთი და იგივეა?!. არ ვარ დარწმუნებული.

# ამბები თბილისური მონმარტრიდან

თეონა ჭაფარიძე

მას შემდეგ, რაც ქართველმა Art-ისტებმა ძველ თბილისში ერეკლე მეორეს ქუჩის ყოველი გოჯი აითვისეს და ამ ადგილს არაოფიციალურად, მაგრამ თბილისში უკვე მეორე მონმარტრი დაარქვეს, საინტერესო შეიქმნა აქ ყოფნა და თამამად შემიძლია საკუთარ თავს ერეკლეს ქუჩის საკუთარი კორესპონდენტი ვუწოდო.

გუშინ საღამოსაც, როგორც კი წვიმამ გადაიღო აქ საინტერესო ამბები მოხდა, რომელიც ვფიქრობ ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.



*გია ჭანტურია, ბიძინა ბრეგაძე, უცნობი და რატი ამაღლობელი ქალაქის კეთილმოწყობისთვისაც იცლიან.*

### ამბავი პირველი
### სოციალური კულტურა

ის-ის იყო ქუჩას მივადექი, სადაც ერთი ფრანგული ჟურნალის პრეზენტაციაზე მივდიოდი, რომ საქმიანი და ჩქარი ნაბიჯით, თანაც ხელში საქაღალდით (ასეთი იმიჯი ნამდვილად უცხოა მისთვის) დიზაინერ გუგა კოტეტიშვილს გადავეყარე, რომელსაც უკან მთელი ამალა მოჰყვებოდა: ლაშა ბუღაძე, უცნობი, ზუმბა, გია ჭანტურია, ქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე და კიდევ სხვები. მთელი ეს საზოგადოება თბილისელებისათვის კარგად ნაცნობ და ძალიან ლამაზ შენობასთან შეჩერდა, რომელიც ლესელიძისა და ერეკლე მეორის ქუჩების გადაკვეთაზე დგას. ალბათ, გაიხსენებთ: - ლამაზი აგურის შენობაა, აღმოსავლური თაღებით, კედლებზე ამოსული ბალახით, ჩუქურთმებით, ნახანძრალითა და ფსიტის სუნით (ახლა უკვე ნამდვილად გაიხსენებთ განსაკუთრებით თქვენ, ვინც ამ ბოლო დროს ე.წ. თბილისური მონმარტრის, უკვე მოდური ადგილის ხშირი სტუმარი გახდით. სხვათა შორის, შენობა ოფიციალურად საპატრიარქოს ეკუთვნის).

ჰოდა, თბილისური არტის ხიბლთან ერთად, ამ ქუჩაზე უკვე მოსეირნე ტურისტებმა (რომ არაფერი ვთქვათ საკუთარ თავზე) ეს სურნელი თან რომ არ წაიყოლონ თბილისის მოსაგონრად, როგორც გუგამ მითხრა, "ადგილობრივი ინიციატივების მხარდამჭერი ფონდი" შეიქმნა. სიტყვათა ეს კონსტრუქცია, ანუ ფონდი ბატონო თანამოქალაქენო, იმას ნიშნავს, რომ ყოველ თქვენგანს, რომელთაც ჯერ კიდევ შეგრჩენიათ ცნების - "ჩვენი ეზოს" და არა "ჩემი ეზოს" შეგრძნება, შეგიძლიათ წინადადებით მიმართოთ ფონდს, რომელიც მერიის სამსახურთან ერთდ აუცილებლად განიხილავს თქვენს წინადადებას და თქვენთან ერთად დაეხმარება თქვენს ეზოს.

აგურის ლამაზ შენობას კი, ფონდი, როგორც არქიტექტურულ ძეგლს, ისე მიხედავს: შენობა, რომელიც თავის დროზე ქარვასლა ყოფილა და რომელიც, როგორც გუგამ მითხრა, "მხოლოდ ქართული და ევროპული უძველესი აგურითაა ნაგები", ერეკლეს ქუჩის Art-სივრცეს კიდევ უფრო თვალში საცემს გახდის: "შეიძლება შენობა საინტერესოდ განათდეს; თაღებში სლაიდების გაშვებაც შეიძლება ფრესკების გამოსახულებით" - ამუშავდა გუგა კოტეტიშვილის ფანტაზია, რომელიც მიტოვებული შენობების შეფუთვის დიდოსტატია.

დღეს დღის 12 საათზე აქ მერიის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ფონდის წარმომადგენლები ისევ შეიკრიბებიან. ვნახოთ...



*ქალბატონმა კლერ დელესარიმ პერფორმანსს მიმართა და ახალი ჟურნალის სასიგნალო ეგზემპლარები პირდაპირ აკვანში ჩასვენებული საზოგადოებას როგორც თავისი პირველი შვილი, ისე წარუდგინა.*

### ამბავი მეორე
### ახლადშობილი ფრანგი, რომელიც საქართველოში დაიბადა

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ ერეკლეს ქუჩაზე ფრანგული ჟურნალის პრეზენტაციაზე მივდიოდი. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალის დამაარსებელმა ფრანგმა ქალბატონმა კლერ დელესარიმ პერფორმანსს მიმართა და ახალი ჟურნალის სასიგნალო ეგზემპლარები პირდაპირ აკვანში ჩასვენებული საზოგადოებას როგორც თავისი პირველი შვილი, ისე წარუდგინა, მაშინ გეტყვით, რომ ახალშობილს GeorJie+ ჰქვია. მაგრამ აქვე შეგახსენებთ, რომ ნიშანი + გრაფიკულად მხატვარ გელა წულაძის მიერ შექმნილი, საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი "სიყვარულის დროშით" არის გამოსახული. "სიყვარულის დროშა" კი, ამასაც შეგახსენებთ, გრაფიკულად ჩვენი ხუთჯვრიანი დროშის გელა წულაძისეული Art-ისტული ვერსიაა, სადაც ცენტრალური ჯვრის კუთხეებში ოთხი წითელი გულია გამოსახული. როგორც მიხვდით ჟურნალი საქართველოზეა და კიდევ პლიუს ისეთ ქართულ რეალობებზე და ნიუანსებზე, რომელსაც უცხოელის თვალი ამჩნევს. მაგალითად, ფრანგი ჟურნალისტი რეჟის ჟანტე თვლის - იმისათვის, რომ უკეთ გააცნოს მკითხველს თავის რეპორტაჟებში ეს ქვეყანა, ის აქცენტს მხოლოდ მნიშვნელოვან მოვლენებზე კი არა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებზეც აკეთებს. საერთოდ რეჟის ჟანტე 20-მდე ევროპული ჟურნალისა და გაზეთისთვის აკეთებს მასალებს კავკასიაში, "მაგრამ საქართველო იმდენად დატვირთულია ახალ-ახალი მოვლენებით, რომ ჩემი მასალების 80 პროცენტი მხოლოდ თქვენს ქვეყანაზე მოდის" - მეუბნება ჟურნალისტი. Georgie+ის სასიგნალო ეგზემპლარში მისი ერთ-ერთი სტატია გოგა ხაინდრავაზეა. "ვცდილობდი, გამეკეთებინა გოგა ხაინდრავას პორტრეტი. ამისათვის მას მთელი ერთი დღე უკან დავსდევდი. მისი პორტრეტის ფონზე ქართულ-ოსურ ურთიერთობებზეც ვწერ." - მიხსნის ფრანგი ჟურნალისტი.

როგორი მიმართულება ექნება ახალ ჟურნალს, როგორი იქნება მისი გავრცელების არეალი და და რატომ მოუნდა ფრანგ ქალბატონს მისი გამოცემა?

"Georgie+ 1000-ეგზემპლარიანი ტირაჟით გამოვა ოქტომბრიდან. საქართველოში ის გაიყიდება. ევროპაში კი ხელმოწერით გავრცელდება. მასზე 40-მდე ფრანგულენოვანი კორესპონდენტი მუშაობს. ეს იქნება ჟურნალი ორიგინალური ინფორმაციებით, რეპორტაჟებით, პორტრეტებით, სპორტის, კულტურისა და საზოგადოების განყოფილებებით. ასპირანტი ვარ პოლიტოლოგიაში და პარალელურად ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ვეწევი. საქართველოში 15 ოქტომბერს ჩამოვედი სამი თვით და როგორც ხედავთ, დღემდე აქ ვარ. ვმუშაობდი თემაზე, თუ როგორ ვითარდება კავკასიაში დემოკრატია და როგორ გადადის ხელისუფლება ერთი ხელიდან მეორეში. ახლა, ალბათ, მიხვდით, რატომ დავრჩი საქართველოში სამი თვის ნაცვლად დღემდე. თქვენი ქვეყანა ჩემი თემისათვის ძალიან საინტერესოა. ამასობაში ჟურნალის გამოცემის იდეაც მომივიდა იმიტომ, რომ ამბები კავკასიიდან და საქართველოდან ევროპისათვის, მართლაც, მნიშვნელოვანია." - მეუბნება კლერ დელესარი, რომელმაც ჩვენთან თავი შეიკავა პასუხი გაეცა თავისი საასპირანტურო თემის მთავარ კითხვაზე: - "როგორ გადასცემენ ხელისუფლებას კავკასიაში და რა არის კავკასიური დემოკრატია." ამ კითხვაზე როგორც ჟურნალისტი, ვერ გიპასუხებთ, იმიტომ რომ ჟუნალისტს ანალიტიკა არ ევალება, ხოლო როგორც პოლიტიკოსი გეტყვით, რომ ამ შემთხვევაში აქ ჟურნალის პრეზენტაციაზე როგორც ჟურნალისტი ისე ვიმყოფები" - მომიგო საკმაოდ ოსტატურად.

# მოგზაურები "აუზის ფსკერზე"

მაკა კუკულავა




*ფრანსუა ოზონს უყვარს 50-იანი წლები, იმიტომ რომ მოსწონს იმ წლების მოდა. უნდა, რომ მისი ფილმი იყოს ლამაზი, და ამიტომაც ირჩევს საფრანგეთის ყველაზე ცნობილ და ლამაზ რვა მსახიობ ქალს.*

პოსტმოდერნიზმი თავისთავად (ამ შემთხვევაში კინოში) ყოველგვარ კონკრეტულობას შლის. პოსტმოდერნიზმის გმირები ხშირად ამ ფილმების უკან მდგომი რეჟისორები არიან, თუმცა "ფრანგული კინოს ვარსკვლავ-ბიჭუნა" თანამედროვე მაყურებლისათვის ყველაზე "კომფორტული" რეჟისორი ფრანსუა ოზონი თავისი პოსტმოდერნისტული კინოს არაპოსტმოდერნისტი რეჟიოსორია ცხოვრებაში.

ფრანსუა ოზონმა მოკლემეტრაჟიანი ფილმებით საკულტო რეჟისორის სახელი დაიმკვიდრა. პოსტმოდერნისტული ნოსტალგია ძველი ფილმებისადმი სწორედ მის ბოლო ნამუშევრებში გამოვლინდა. ორაზროვანი ციტატა, ინტერსექსუალობა, რთული გამომსახველობითი რითმი, დეტალებით დატვირთული კადრები, ოზონის პოსტმოდერნისტული კინოს ერთგვარ აუზს წარმოადგენს, რომელიც მაყურებელს სიღრმისაკენ ითრევს. ოზონი, როგორც ნამდვილი სინეფილი, ფილმებს ტვირთავს ციტატებით კინოკლასიკიდან და ამავე დროს, მისთვის ჩვეული ირონიით, ყოველგვარ ჭეშმარიტებას კითხვის ქვეშ აყენებს. ეს ყველაფერი მომზადებულ მაყურებელს ითხოვს, შემეცნების განსხვავებული უნარით. მახსოვრობა, წარსულის არქივი და ინტერსექსუალობა ერთად მოქმედებენ, რათა მაყურებელში ნამდვილი სინემატიკური სიამოვნება გამოიწვიონ. ეს, პირველ რიგში, თავად ოზონის ბავშვურ თამაშებს ჰგავს, რომელსაც როგორც თვითონ ამბობს, - კინოში ყველაზე უფრო თამაში, სიამოვნება და ღელვა უყვარს. უყვარს 50-იანი წლები, იმიტომ რომ მოსწონს იმ წლების მოდა. უნდა, რომ მისი ფილმი იყოს ლამაზი, და ამიტომაც ირჩევს საფრანგეთის ყველაზე ცნობილ და ლამაზ რვა მსახიობ ქალს. უყვარს ინტრიგა და ამიტომ იღებს აგათა კრისტის ტრადიციებზე შექმნილ დეტექტიური ჟანრის მივიწყებულ პიესას და 50-იანი წლების კომედიური მიუზიკლის სტილიზაციას ახდენს. საფრანგეთის რვა სიმბოლოს, რვა სასცენო გამოსვლას დაურიგებს, ასე რომ, ყველას საკუთარი პატარა ბენეფისი ექნება და ახალგაზრდა პროვოკატორს ნაწყენი არავინ დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ ის მათ იმიჯებსა და სტერეოტიპებს გააშარჟებს და იტყვის, რომ უკანასკნელთ ნაფტალინის სუნი ასდით. თუმცა, აქაც ირონია ყველაფრის მიმართ, გულწრფელ სიყვარულთან იქნება შეზავებული.




ოზონის ეს ნოსტალგიური მოგზაურობა 50-იან წლებში გაგრძელდება "აუზში", რომელიც სახელწოდებიდან გამომდინარე 60-იან წლებზე ნოსტალგიას და იმ პერიოდში გადაღებულ ჟაკ დერეს "აუზთან" ბადებს ასოციაციას. ოზონის "აუზი" სინამდვილეში კომედიაა, რომელიც ჩახლართული ისტორიით, საგულდაგულოდ აგებული თხრობის მანერით, სადაც არც ერთი კადრი არ არის შემთხვევითი და ცარიელი, თავს კრიმინალურ ფსიქოდრამად გვაჩვენებს. დეტალებით დატვირთული, რომელიც აბნევს მაყურებელს და აიძულებს ეძებოს მნიშვნელობა იმისა, რასაც ხშირად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს უბრალოდ პოსტმოდერნისტული თამაშია. ოზონი, რომელიც "რვა ქალის" შემდეგ ხმამაღლა აცხადებს, რომ ქალებთან ამჯობინებს მუშაობას, "აუზშიც" მთავარ გმირად ქალს ირჩევს, ხოლო იმ კითხვაზე პასუხს, რომელიც მას აწუხებს და აიძულებს გადაიღოს ფილმები, ანუ ის, თუ რა განაპირობებს შემოქმედის შთაგონების წყაროს, იგი ფილმის მთავარ გმირს, დეტექტიური რომანის მწერალ ქალს - სარა მორტონს აკისრებს. თუ რა აიძულებს სარა მორტონს დაწეროს წიგნები, ამის გამოსარკვევად ოზონის გმირი მოგზაური ხდება. თუმცა მოგზაურობა არა მარტო ფიზიკურ გადაადგილებას, არამედ პირველ რიგში, საკუთარ თავში მოგზაურობას გულისხმობს. მოგზაურობას აუზის ფსკერისკენ, წყლისკენ, ქვეცნობიერში საკუთარი თავის პოვნის მიზნით.

"ქვიშის ქვეშ" თუ "აუზის" ფსკერზე ოზონის მთავარი გმირი ქალები დაკარგულები არიან. მათი მოგზაურობა საკუთარ თავში ერთი რეალობიდან მეორეში ილუზორული გადასვლაა. ვოიაჟი ირეალურსა და გამოგონილში ოზონის ფილმებს მისტიკურ მომხიბვლელობას სძენს, განსაკუთრებული წესებით თამაშში გვითრევს და ჩვენც ველარ ვარკვევთ, სერიოზულად აღვიქვათ გათამაშებული თუ არა. ოზონი კამერის საშულებით ქალებს თავის მზერის ქვეშ აქცევს და თავისი, როგორც ვუაიერის როლს, ფილმში უკვე სარას გადაულოცავს. ის თავის ცხოვრებაში მოულოდნელად შემოჭრილ ჟიულის (რომლის მიმართ რთული გრძნობათა გამა იბადება - სიძულვილიდან სიყვარულამდე და ნოსტალგიიდან ეჭვიანობამდე) ვუაირისტულ ხედვის არეალში მოაქცევს და თავისი რომანის პერსონაჟად ხდის.

მაგრამ, ცოტა ხანში სარა, ღალატობს რა ვუაიერის პრინციპს და თავად ხდება განვითარებული მოვლენების მონაწილე, დამკვირვებლის როლიდან გამოდის. რომანი სრულდება, აუზის წყალში არეკლილი სარა და ჟიული კი ერთი და იგივე ქალი აღმოჩნდება. ყველაფერი ზემოხსენებული გამსჭვალულია პოსტმოდერნისტი სინეფილის ღრმა ირონიით. რომელიც ამ ნოსტალგიური თამაშებით "როგორც მთელი კაცობრიობა, ემშვიდობება წარსულს სიცილით".

როგორც მიხეილ ტროფიმოვი წერს: "პოსტმოდერნისტული კინემატოგრაფის იდეალური გმირი ადვილი წარმოსადგენია - ეს არის მოხეტიალე მოგზაური (და არა მეამბოხე) მიზეზის გარეშე". ასე რომ, მეამბოხეს მოგზაური შეცვლის, თუმცა როგორც ვნახეთ, მოგზაურობები აერთიანებს არა მარტო ფიზიკურ გადაადგილებას საკუთარი თავის საძიებლად, არამედ მოგზაურობას საკუთარ თავში ერთი რელობიდან, გამოგონილ, წარმოსახულ რეალობაში. ეს ყველაფერი კი, ერთად კინო იქნება. ძალზე დატვირთული, მოულოდნელი, კულტურული ინტერპრეტაციებით. თანამედროვე ცივილიზაციის ყველანაირი ფორმის გამოყენებით. ადამიანის და კულტურის, ადამიანის და დროის, დამოკიდებულების ახლებური გააზრება-გაანალიზებით.

წარსული და მომავალი პოსტმოდერნიზმში ერთმანეთს ერწყმის და თანამედროვე კულტურა თავისი ურთიერთგამომრიცხავი მანერებით შეიძლება აღვიქვათ, როგორც გზა, რომელიც წარსულიდან მოდის და მომავალში გრძელდება.

# ფერფლის ოთხშაბათი დასასრული არ არის

სამბა - მთელი წელი



*სამბა სიტი კარს სექტემბრიდან გააღებს. თუმცა, არის ერთი "მაგრამ" - იქ დამკვიდრება მხოლოდ პრემიერ ლიგის სკოლებს შეეძლებათ. დაბალი რანგის სკოლები კი ისევ ძველ საწყობებში გააგრძელებენ ვარჯიშს.*

სამბა სიტი - ასე ერქმევა 93 კვადრატულ მეტრ ფართობზე გადაჭიმულ კომპლექსს, რომელიც საკარნავალო განწყობას კარნავალების ქალაქში მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს.

სამბა სიტი - ასე ერქმევა კომპლექსს, რომელიც ყოველი წლის თებერვალში დაგეგმილ კარნავალს უწყვეტს გახდის. სამბას გამაყრუებელი რიტმები, თითქმის შიშველი მოცეკვავეები, ჭრელი კოსტიუმები, ეს ყველაფერი ახალი კომპლექსის სტუმრებს წლის ნებისმიერ დროს ექნებათ.

"სამბა სიტი" - კომპლექსი სტუმრებს კარს სექტემბერში გაუღებს. იქ შესულებს თვალწინ გადაეშლებათ ცალ-ცალკე განთავსებული სამბას სკოლის დარბაზები. უმაღლეს ლიგაში სულ 14 სკოლაა, მანამდე ისინი ძველ საწყობებში ვარჯიშობდნენ. სექტემბრიდან კი თებერვლის კარნავალისთვის მზადებას უკვე კეთილმოწყობილ კომპლექსში გააგრძელებენ. ვარჯიშის პარალელურად არც ტურისტებს დაივიწყებენ და კვირაში რამდენჯერმე სტუმრებისთვის სახელდახელო შოუებსა და წვეულებებს მოაწყობენ. ანუ, სექტემბრიდან უკვე ყველა გაიგებს და საკუთარი თვალით ნახავს, თუ რეალურად როგორ ემზადება რიო "მსოფლიოში უდიდესი "ფართისთვის" - როგორც თებერვლის კარნავალს უწოდებენ ხოლმე.

"კარნავალი ფერფლის ოთხშაბათს მთავრდება, მაგრამ ყველას, ვინც რიოში ჩამოდის, ამ შოუს ნახვა სურს. სამბა სიტი კარნავალის გრანდიოზული საოცნებო ფაბრიკა იქნება. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ის ქალაქის ახალი ტურისტული ბრენდიც გახდება", - აცხადებს ტურიზმის მინისტრი რუბენ მედინა.

სამბა სიტი მუნიციპალური ფინანსებით გაკეთდა. პროექტზე 25 მილიონი დოლარი დაიხარჯა. სამბას სკოლის დარბაზებთან ერთად იქვე სუვენირების მაღაზიები და კაფეტერიებიც განთავსდა.

ფინანსისტების ვარაუდით, კომპლექსს ყოველწლიურად მილიონი ტურისტი ეყოლება და შემოსავალიც დიდი იქნება. მით უფრო, რომ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩასული უცხოელები რიოში ისედაც უზარმზარ თანხებს ხარჯავენ. შემოსავალი ყოველწლიურად მატულობს. მხოლოდ 2004 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში ტურისტებმა ქალაქს 450 მილიონი დოლარი მოუტანეს, ეს კი მთელი 45 პროცენტით მეტია 2003 წლის იმავე პერიოდში შემოსულ თანხაზე.

ეს ციფრებიც საკმარისია იმისთვის, რომ დავასკვნათ, რიოს ეკონომიკა ტურიზმით ცოცხლობს. სამბა სიტი კი ბოლო წლებში ჩადებული ერთ-ერთი უდიდესი ინვესტიციაა, რომელიც შემოსავალის ამ წყაროს კიდევ უფრო გაზრდას ემსახურება. პირველი ინვესტიცია კი ფესტივალში 1984 წელს ჩადეს, როცა ქალაქში პირველად ააშენეს სამბადრომი - კარნავალისთვის განკუთვნილი პოდიუმი გვერდებზე განთავსებული სკამებითა და ვიპ კუპეებით.

თუმცა, სანამ ტურისტები გაიაზრებდნენ სიახლეს, სამბა სიტის გახსნა ყველაზე მეტად თავად სამბას მოცეკვავეებს უხარიათ. მათი საწყობები ხომ სავარჯიშოდ ძალიან პატარა და კეთილმოუწყობელი იყო. ახლა კი უკეთეს გარემოში მათ უკეთესი კოსტიუმების შეკერვა და შოუების დადგმა შეეძლებათ.

ასე რომ, სამბა სიტი კარს სექტემბრიდან გააღებს. თუმცა, არის ერთი "მაგრამ" - იქ დამკვიდრება მხოლოდ პრემიერ ლიგის სკოლებს შეეძლებათ. დაბალი რანგის სკოლები კი ისევ ძველ საწყობებში გააგრძელებენ ვარჯიშს. რაც მთავარია, პრემიერ ლიგაში განსაზღვრულ 14 ადგილზე ყოველწლიურად სხვადასხვა სკოლა ხვდება. სპეციალური ჟიური კარნავალზე ყველაფერს აფასებს - კოსტიუმებს, შოუს, მოცეკვავეებს, მუსიკას, ცეკვის დონეს და საუკეთესო 14-ეულსაც ასე ადგენს.

თუმცა, სამბა სიტის ოპოზიციაც ჰყავს. მათი მტკიცებით, ეს კომპლექსი ძველი ტრადიციების გაუფასურებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. თანდათან კარნავალის ძველისძველი ტრადიცია წმინდა წყლის კომერცია ხდება და სამბა სიტიც კომერციალიზაციის პროცესს კიდევ უფრო აღრმავებს. თუმცა, ამ პროცესს ხომ ისედაც ვერაფერი შეაჩერებს. რიოს კარნავალი უკვე იქცა ერთ გლობალურ შოუდ, რომელიც პირდაპირი ეთერით მსოფლიოს მრავალ არხზე გადაიცემა. ამიტომ უზარმაზარი და კეთილმოწყობილი კომპლექსი ცუდს ველარაფერს გააკეთებს, პირიქით, ის რიოელებს უფრო დახვეწილი და ლამაზი სპექტაკლების დადგმაში დაეხმარება. ასე რომ, სექტემბრიდან ბრაზილიას სამბას ცეკვაში მეორე სუნთქვა ეხსნება და აქ კომერცია არაფერ შუაშია. რიოელებს ცხოვრება სამბას გარეშე ხომ დოლარების გარეშეც ვერ წარმოუდგენიათ. ისინი მუდამ ცეკვავენ, ყველანაირ ფინანსურ ამინდში...

ნინია კაკაბაძის სვეტი

# პურჭყის ღირსი ხარ შენ...



საქმე ის გახლავთ, რომ სვეტი, რომელსაც ახლა წაიკითხავთ, ჩემს "სვეტურ" გრაფიკში არ იჯდა. მაგრამ ერთმა ქალბატონმა იმდენი ქნა, რომ მთელი ჩემი გეგმები ყირაზე დააყენა და ამ ტრაგი-კომიკურ თემამდე მიმიყვანა. არადა, ნამდვილად არ მინდოდა ამგვარი ფაქტებისათვის და მათი მთავარი გმირებისათვის ამდენი ყურადღება დამეთმო. მაგრამ, როგორც ხედავთ, არ გამოვიდა. ეს ქალბატონი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლე და ახლანდელი "კანონიერი" ხელისუფლების, მგონი, პრემიერ-მინისტრი მანანა არჩვაძე გახლავთ. მასზე ჯერ კიდევ ჩემს ბავშვობაში ბევრს საუბრობდნენ: ერთ-ერთი ვერსია ის იყო, რომ ზვიადს მანანა ე.წ.-მა "კაგებემ" შეუგზავნა. ზუსტად არ ვიცი, ვინ ვისი აგენტი იყო, მაგრამ ფაქტი ერთია, ეს ქალბატონი მხოლოდ ზვიადის სიყვარულით არ ცოცხლობდა და არც ახლა ცოცხლობს. ეს მგონი, ყველასათვის ნათელია. მინდა ჩემს სიტყვებში ეჭვი მეპარებოდეს, მაგრამ აბა, რას მოვეჭიდო. შვილები საამაყო მამულიშვილებად გაზარდაო, ვერ ვიტყვით, საკუთარი ცხოვრება სწორად წარმართაო, ვერც ამას ვიტყვით. ფემინისტი ქალების სიმპათიაც კი ვერ დაიმსახურა. აქტიური "საზოგადო მოღვაწე", რომელიც გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს არანაკლებ პოპულარული ფიგურა იყო, მისი თანხმობის გარეშე არც ერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო გადაწყვეტილებას არ იღებდა იმჟამინდელი ხელისუფალი თუ მთლიანად ხელისუფლება, და არა მხოლოდ ის, მისი და ლელეც კი ისტორიულ ფიგურად იქცა. ვინმე ლელე, რომელიც ფარდის უკან იდგა და იქიდან მართავდა მის ხელთ არსებულ მარიონეტებს. თავად მანანა კი საკუთარ და მისი დის მოსაზრებებს სახალხოდ ახმოვანებდა. ერთი სიტყვით, ამგვარი "ქმედითი" პირველი ლედი, მგონი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს არ ახსოვს. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფემინისტი ქალბატონებისგანაც კი ვერ მიიღო აღიარება და დაფასება. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე სხვადასხვაგვარი გამონათქვამები არსებობს, უფრო კონკრეტულად კი, - თუ ვინ არის დომინანტი მათ შორის, პატრიარქალები, თუ, უბრალოდ, თანამედროვე ენაზე სექსისტები; რას აღარ ამბობენ?! ერთ-ერთი უკანასკნელი "ხატოვანი" გამონათქვამი, რომელსაც ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ამგვარია: "ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას რომ ქალი კისერია, მამაკაცი კი თავი?". ადამიანთა ამ ბიოლოგიური გადახარისხების "სენტენციაზე" ყურადღებას აღარ შევაჩერებ, მაგრამ ერთს კი ნამდვილად ვიტყვი, გამსახურდია-არჩვაძის შემთხვევაში, არჩვაძე რომ კისერიც იყო, თავიც, ფეხიც და თეძოც - ეს ფაქტია. ამით მე გამსახურდიას უმწიკვლოებას და როგორც დესპოტი ცოლის მსხვერპლს, ნამდვილად ვერ მივიჩნევ, მაგრამ ექს-პრეზიდენტი დღეს აქტუალური აღარ არის და ამიტომ მასზე ყურადღებასაც აღარ შევაჩერებ. ვერც კახა ბენდუქიძის ადვოკატად ვივარგებ, და არა იმიტომ რომ "იყიდება საქართველოს" პათოსს ვუერთდები, უბრალოდ, ეკონომიკა ის სფეროა, რომელშიც არც მე და არც მანანა არჩვაძე კომპეტენტურები არ გახლავართ, ამიტომ მე ჩემს საქმეს გავაკეთებ და აი, მანანა არჩვაძე რას გააკეთებს, არ ვიცი. მის პროფესიონალურ მონაცემებს არ ვიცნობ და ფულს კი ამ წივილ-კივილში უხდიან. აბა, რა ქნას.

ქალბატონ მანანასთან ნაკლები პრეტენზია მაქვს, მე მისი თანამოაზრეების მიკვირს. რა უნდა გააკეთოს ამ ქალმა, რომ ვინმეს მის პატიოსნებაში ეჭვი შეეპაროს?! მიმდევართა ჯგუფი, ბუნებრივია, კლებისკენ მიდის, მაგრამ ის ერთეულებიც, რომელნიც დარჩნენ, უკვე სრულ მარაზმში იმყოფებიან. როდესაც შევარდნაძეს ებრძოდნენ, ასე თუ ისე, ადეკვატურები იყვნენ თანამედროვეობასთან, (რასაკვირველია, მხოლოდ ნაწილობრივ) მაგრამ ამის შემდეგ, როდესაც შევარდნაძის მზე ჩასვენებას იწყებდა, გიორგი გამსახურდია კობა ნარჩემაშვილთან ერთად კანცელარიის შენობას და პრეზიდენტს იცავდა, ქალბატონი მანანა კი შევარდნაძის დასაცავ მიტინგებზე "პატრიოტული" "რეჩით" გამოდიოდა; აბაშიძის გამოგზავნილ ხალხს ამხნევებდა ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად, რომელსაც ჭეშმარიტი ქართული სული მხოლოდ აჭარაში ეგულებოდა. ნეტავ, რატომ არ წაიყვანა ასლან აბაშიძემ ჯაველიძე მოსკოვში, ალბათ, მას შემდეგ წაიყვანს, რაც იქ გააღვივებს ქართულ-პატრიოტულ კოცონს, რომ მასზე ბატონმა ელიზბარმა ხელები და გაყინული გული შეითბოს. ამ ადამიანთა საქციელი - მაპატიეთ ამგვარი პათოსი - მაგრამ ფიზიოლოგიურ ტოქსიკოზს იწვევს: ჯაველიძე, არჩვაძე, წერეთელი და სხვა. ამდენი პოლიტიკური თუ ლიტერატურული გვამი ასე როდემდე უნდა ყვიროდეს, ასე ხმამაღლა და, რაც ყველაზე საწყენია, რატომ უნდა ჰყავდეს მსმენელი? რითი დაიმსახურეს მათ, თუნდაც მცირერიცხოვანი ჯგუფის ერთგულება, არ მესმის. ფანატიზმი მასობრივი მოვლენაა, მაგრამ ამ ფანატიზმსაც სადღაც თავისი ლოგიკური სათავე აქვს, აქ მე ვერავითარ ლოგიკას ვერ ვხედავ და თუკი ვინმე დამანახებს, სიამოვნებით მოვუსმენ.

ახლა კი, ლოზუნგი - "იყიდება საქართველო". ეს ქვეყანა მხოლოდ არჩვაძის თუ მისნაირების არ არის, ეს ქვეყანა სხვასაც ეკუთვნის და ამიტომ ისე ნუ ვილაპარაკებთ, თითქოს მათი საკუთრება იყიდებოდეს. თუმცა, ქართველი ადამიანი, ბუნებით რომ მესაკუთრეა ესეც გასაგებია, მაგრამ მოდით, ასე შვხედოთ ამ საქმეს. სახელმწიფოს ხელშია უამრავი დრამატული თეატრი, კინოთეატრი, მუზეუმი, მონასტერი, ქახანა, ფაბრიკა და კიდევ სხვა მრავალი. წლების მანძილზე ამ შენობებს ვირთხები, ქვეწარმავლები თუ ის ადამიანები დაეპატრონენ, რომელთაც ისინი უფასო საპირფარეშოებად თუ ნაგავსაყრელებად აქციეს. ფაქტია, რომ ამ ე.წ. სახელმწიფო ქონებას ვერც სახელმწიფო უვლის და ვერც ხალხი (მათ შორის "პატრიოტებიც"), ყვირილი და ფურთხება კი ყველამ იცის, ეს ძალიან ადვილია. საზოგადოებრივი შეგნება კი იმ დონეზე ჯერ არ განვითარებულა, რომ თითზე ჩამოსათვლელ ბიზნესმენებს თუ "მეცენატებს" ამ შენობების რეკონსტრუქცია დაავალოს ან სთხოვოს. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა კი ვერც ერთი მათგანი ამას ვერ ხვდება. აი, მაგალითად, თეთრი პატარკაციშვილის ზოოფილური მიდრეკილებებიდან გამომდინარე, ცირკი და ასლანის ძაღლები გადაშენებას გადაურჩა. ივანიშვილი აშკარად კულტურის მიმართულებით ამჟღავნებს საკუთარ ინტერესებს. მაგრამ ეს რომ საკმარისი არ არის, ამას ყველა ხედავს. ერთი სიტყვით, საქართველო არ ვიცი და რაღაც რაღაცები რომ უნდა გაიყიდოს, ეს ფაქტია, საქართველოდან იმ ქარხნებს, წყალ-კანალს, კინოს თუ თეატრს, ვერავინ (ფიზიკურად) ვერ წაიღებს, ამიტომ არაფერი მრჩება გარდა იმისა, რომ ვიფიქრო - ისევ ვიღაც აქაური "მეცენატი" აფინანსებს "საქართველოს კანონიერი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრს", იმისათვის, რომ მომავალში ისე, როგორც უკვე მოხდა, ორ კაპიკად ჩაიგდოს ხელში ქართული საწარმოები, ქარხნები, კინოთეატრები, სასტუმროები სხვა. ეს სურს არჩვაძესაც, რომელიც შესაძლებელია იმ იმედით ცხოვრობს, რომ მომავალში ამ "მეცენატისგან" მიღებული თანხებით მეორე სახელმწიფო გადატრიალებას მოაწყობს და მის კანონიერ, საპატიო ადგილს დაიკავებს. პრეზიდენტი კი, ალბათ მისი ვაჟი იქნება, რომელიც აქამდე პოლიციის მუშაკი იყო და პოლიციელებისთვის ტრადიციული საქმიანობით იყო დაკავებული.

**P.S.** სიტყვა **პურჭყი** გამოყენებულია ახლანდელი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიას ლექსიკონიდან.

ფეხბურთი

# კლინსმანი გერმანიის ნაკრების მწვრთნელია

## მაძიებლებმა ეძებეს, ეძებეს და ისევ გამოუცდელი მწვრთნელი იპოვეს

აკა ტონია

რუდი ფიოლერის გადადგომიდან ოთხი კვირის შემდეგ გერმანიის ეროვნულ ნაკრებს კვლავ ჰყავს მწვრთნელი. მას შემდეგ, რაც ამ პოსტის დაკავებაზე უარი თქვეს ოტმარ ჰიცფელდმა და ოტო რეჰაგელმა, მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებები ჩაიშალა მორტენ ოლსენთან და გუს ჰიდინკთან, ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად კამერუნის ეროვნული გუნდის გერმანელი თავკაცი ვინი შეფერი მიიჩნეოდა. მან კი უკვე საკუთარი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად ჩათვალა თავი და ახალ სამსახურზე დიდი გეგმებიც ააწყო. თუმცა...

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ეგრეთ წოდებული "გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მოძიების" კომისიის ოთხი წევრი უკვე მეორედ შეიკრიბა. ეს გუშინწინ, ოთხშაბათს მოხდა. იმის შესახებ, თუ ვინ დაიკავებდა გერმანიაში არსებული ვაკანტური სამუშაო ადგილებიდან ყველაზე საპატიოს, საუბარი დაახლოებით ორსაათნახევარს გაგრძელდა. ფედერაციის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი და გენერალური მდივანი ჰორსტ შმიდტი წინა დღეს, აშშ-ში მათი მოგზაურობის დეტალებს მოყვნენ. იქ ისინი იურგენ კლინსმანს შეხვდნენ...

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები და კლინსმანი ნიუ იორკში შეხვდნენ ერთმანეთს. საუბარი ხუთ საათს გაგრძელდა. სწორედ ამ შეხვედრისას გადაწყდა ის, რაც მაიერ-ფორფელდერმა და შმიდტმა ოთხშაბათს გააცნეს მწვრთნელის მოძიების კომისიის დანარჩენ წევრებს: 39 წლის იურგენ კლინსმანი გერმანიის ნაკრების მწვრთნელია. ფეხბურთის ფედერაციასთან ის ორწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებს სწორედ კლინსმანი გაუძღვება.

გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი, რომელმაც სულ რაღაც 4 წლის წინათ, 2000 წელს მიიღო მწვრთნელის "დიპლომი", ფედერაციის შეთავაზებაზე უყოყმანოდ დათანხმებულა: "თავისთავად ცხადია, რომ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას დავეხმარები. თანაც, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა თანამდებობაზე მომიწევს მუშაობა", - უთქვამს კლინსმანს.


სამი მუშკეტერი: კლინსმანი, ბირჰოფი და ოსიეკი.

ნიუ იორკის შეხვედრაზე მხარეებს ეროვნული ნაკრების ახალ სტრუქტურაზეც უსაუბრიათ. ამიერიდან ნაკრების მწვრთნელს ნაკრების მენეჯერი დაეხმარება. ეს ადამიანი კი ოლივერ ბირჰოფი იქნება. კანდიდატურა, რომელიც თავად კლინსმანმა დაასახელა და რომელიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ, პირველად კარლ-ჰაინც რუმენიგემ ახსენა საჯაროდ. 36 წლის ბირჰოფი, რომელიც კლინსმანის გვერდით თამაშობდა გერმანიის ნაკრების შეტევაში, მენეჯერის პოსტის დაკავებაზე თანახმაა.

მაშ ასე, გერმანიის ახლანდელ ნაკრებს 90-იანი წლების ნაკრების შემტევი დუეტი უხელმძღვანელებს. თუმცა, იმის გამო, რომ კლინსმანისა და ბირჰოფის სამწვრთნელო გამოცდილება, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტად მწირია, საერთო გადაწყვეტილებით, სამწვრთნელო შტაბში ბევრად უფრო გამოცდილ პროფესიონალსაც შეიყვანენ. კლინსმანის თანაშემწე იქნება 55 ჰოლგერ ოსიეკი, რომელიც ჯერ კიდევ 1987-1990 წლებში მუშაობდა გერმანიის ნაკრების მეორე მწვრთნელის პოსტზე, ფრანც ბეკენბაუერის თანაშემწედ. მიმდინარე წლის მაისიდან მოყოლებული, ოსიეკი FIFA-ს ტექნიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობდა.

გერმანიის დროით 15 საათზე მწვრთნელის მაძიებელთა სხდომა დახურულად გამოცხადდა. მიღებული გადაწყვეტილებით ყველა გახარებული და დამშვიდებული ჩანდა. თუ უკანასკნელი დღეების პერიპეტიებს გავიხსენებთ, კმაყოფილების მიზეზი მათ, მართლაც, ჰქონდათ. ნაკრების მწვრთნელის ძიებაში კომისიის წევრებს შორის ბევრი უთანხმოება წარმოიშვა. მას შემდეგ, რაც ოტმარ ჰიცფელდმა და ოტო რეჰაგელმა გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია უარით გაისტუმრეს, კანდიდატთა შორის ლოთარ მათეუსისა და ვინი შეფერის გვარები დასახელდა, რის გამოც მწვრთნელის მოძიების კომისიის წევრთა აზრი ორად გაიყო და ურთიერთობაც დაიძაბა. მათეუსი თავიდანვე იყო ფრანც ბეკენბაუერის ფავორიტი, მაშინ როდესაც ბუნდესლიგის შეფი ვერნერ ჰაკმანი და ფედერაციის პრეზიდენტი მაიერ-ფორფელდერი ამ კანდიდატურას ეწინააღმდეგებოდნენ. საინტერესოა, რომ მაიერ-ფორფელდერს არც ვინი შეფერის კანდიდატურა მოსწონდა. 1998 წელს კამერუნის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი "შტუტგარტის" თავკაცად დაინიშნა. ამ პოსტზე ის სწორედ მაიერ-ფორფელდერმა დანიშნა - "შტუტგარტის" მაშინდელმა მწვრთნელმა. თავისი გადაწყვეტილების გამო მაიერ-ფორფელდერმა მალევე ინანა და განაცხადა, რომ შეფერის დანიშვნით დიდი შეცდომა დაუშვა. მაიერ-ფორფელდერი დღემდე იგივე აზრისაა...

პრეზიდენტის უარყოფითი აზრის მიუხედავად, ფრანც ბეკენბაუერი უკანასკნელ დღემდე ამტკიცებდა, რომ შეფერი მწვრთნელობის კანდიდატად რჩებოდა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ფედერაციის წარმომადგენელთაგან შეფერისათვის ოფიციალური წინადადებით არავის არც ერთხელ არ მიუმართავს...

უცხოელ კანდიდატებს გუს ჰიდინკსა და მორტენ ოლსენს ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ "ეინდჰოვენთან" (ჰიდინკს) და დანიის ფეხბურთის ფედერაციასთან (ოლსენს), რის გამოც რომელიმე მათგანის ნაკრების სათავეში მოწვევას ბეკენბაუერი თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა. ასე რომ, უკანასკნელ მომენტში ყველას ეგონა, რომ ნაკრების მწვრთნელის პოსტს ლოთარ მათეუსი დაიკავებდა. უნგრეთის ეროვნული გუნდის დამრიგებელს ძალიან უნდოდა გერმანიის ნაკრებში დაბრუნება. ბეკენბაუერი ამბობდა, რომ "ის ჩინებულად გაუძღვებოდა ამ საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ახალგაზრდაა".

მაგრამ გამოჩნდა კლინსმან-ბირჰოფ-ოსიეკის ტრიო და გერმანიის ფეხბურთის ჩინოვნიკებმა სწორედ ეს ვარიანტი არჩიეს მათეუსის კანდიდატურას. სხვათა შორის, კლინსმანი მათეუსზე სამი წლით უმცროსია...

### კომენტარები ნაკრების მწვრთნელად კლინსმანის დანიშვნაზე

**მიხაელ ბალაკი:** "ეს კარგი გადაწყვეტილებაა. კლინსმანს აქვს საჭირო თვისებები. მის მიმართ ყველა სიმპათიურად არის განწყობილი, ისევე როგორც რუდი ფიოლერის მიმართ. როგორც მწვრთნელი, ის გამოუცდელია, მაგრამ საგანი კარგად ესმის და ფეხბურთელობისას დიდი წარმატებებიც ჰქონდა. მის მიმართ უპატივცემულობის პრობლემა არ გვექნება".

**ლოთარ მათეუსი:** "თუ ასე გადაწყვიტეს, სამივეს დიდ წარმატებებს ვუსურვებ. ეს თემა მე უკვე აღარ მაინტერესებს".

**იურგენ კოლერი:** "კარგია, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც იურგენ კლინსმანია, გერმანული ფეხბურთის სამსახურში ჩადგომას დათანხმდა".

**ფელიქს მაგატი:** "მოულოდნელი, სასიხარულო და კარგი არჩევანია. მთელი ბუნდესლიგა უნდა დაეხმაროს ახალ მწვრთნელს. ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კავშირი უნდა გვქონდეს".

**უდო ლატეკი:** "ეს კარგად ჟღერს. თუმცა, მაინც სარისკოდ მეჩვენება, რომ ნაკრების სათავეში ისევ ისეთი ადამიანი მოდის, რომელსაც აქამდე არასოდეს უხელმძღვანელია გუნდისთვის".

# ოცნების ფინალი: არგენტინა - ბრაზილია

ლევან ბერიაშვილი

ბრაზილიის ნაკრები კოპა ამერიკას მეორე ფინალისტი გახდა. პერუში მიმდინარე ტურნირის ნახევარფინალში ბრაზილიელებმა პენალტების სერიაში - 5:3 დაამარცხეს ურუგვაის ნაკრები (მატჩის ძირითადი დრო ფრედ - 1:1 დამთავრდა. გოლები სოსამ - 22-ე და ადრიანომ - 47-ე წუთებზე გაიტანეს) და გულშემატკივარს საშუალება მისცეს, ძველი, ტრადიციული მეტოქეების - არგენტინისა და ბრაზილიის ფინალი იხილონ.


ბრაზილია ფინალშია.

საინტერესოა, რომ ოცნების ფინალი, რომელსაც გულშემატკივარი ასე ელოდა, შეიძლებოდა არც ყოფილიყო. ბრაზილიამ ხომ პენალტების სერიაში მოიგო. საერთოდ, ამ ბოლო დროს ბრაზილიის ნაკრები ოსტატურად ასრულებს თერთმეტმეტრიან დარტყმებს. 1988 წლის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, როცა ბრაზილიის ნაკრებმა ბებეტოთი და რომარიოთი პენალტების სერიაში მუდამ იღბლიანი გერმანია დაამარცხა, პენალტების სერიაში აღარ წაუგია და ყოველთვის, ნებისმიერ ტურნირზე სჯობდა მეტოქეს.

არადა, ურუგვაისთან მატჩის დებიუტში მინდორზე ურუგვაი დომინირებდა. მე-5 წუთისთვის “სელესტეს” ფეხბურთელებმა ორჯერ შეაწუხეს ჟულიო სეზარი. ამასთან, დარიო სილვას დარტყმული სეზარმა სასწაულებრივი ნახტომით მოიგერია. ურუგვაიმ ამ მონაკვეთში სამი კუთხური მოაწოდა და ხუთწუთიანი შტურმის შემდეგ ბურთისთვის ბრაზილიამაც მოიცალა. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ადრიანომ კარგად დაარტყა მეტოქის კარში, მეკარე ვიერამ დარტყმა მოიგერია და კლებერსონმა დამატებაზე ბურთს ვერ მიუსწრო.

ბრაზილიელთა ამ ერთჯერადი გამოხდომის შემდეგ ინიციატივას ისევ ურუგვაი დაეუფლა. მე-12 წუთზე რეალური მომენტი ვერ გამოიყენა დარიო სილვამ. ლუიზაოს მიერ უხეიროდ მოგერიებულ თავურს სილვა დაუხვდა და უძლიერესი დარტყმით ბურთი სეზარის კარში გაგზავნა, მაგრამ ბრაზილიელთათვის საბედნიეროდ, ბურთი ძელს მოხვდა. ბოლოს და ბოლოს, 22-ე წუთზე, ურუგვაიმ თავისი უპირატესობა გოლად აქცია. დელგადომ ჩააწოდა საჯარიმო მოედანში და მარსელო სოსამ, რომელიც ამას წინათ მოსკოვის “სპარტაკის” ღირსებას იცავდა, ბურთი თავით გაგზავნა სეზარის კარში - 1:0.

ამ გოლის შემდეგ ურუგვაიმ მწყობრად უკან დაიხია. თითქოს მწვრთნელის შეგონებას ასრულებენო - საკუთარ კართან ბეტონის კედელი აღემართათ. ბრაზილიელები, რომელთაც ხონჩით მიართვეს ინიციატივა, ამ კედელს ძალუმად კი ეჯაჯგურებოდნენ, მაგრამ ტაიმის ბოლომდე მისი დანგრევა ვერ მოახერხეს. “სელესტაომ” ვერც ხეირიანი მომენტის შექმნა შეძლო და პირველი ნახევარი ურუგვაის გამარჯვებით დასრულდა.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმის მეორე წუთზე მსოფლიო ჩემპიონებმა მაინც მოახერხეს წონასწორობის აღდგენა. ადრიანომ ედუს გადაცემით ტურნირზე მე-6 გოლი გაიტანა და კიდევ უფრო გაიმყარა საუკეთესო ბომბარდირის რეპუტაცია. ორი წუთის შემდეგ ადრიანომ მეორე გოლის გატანის ხელსაყრელი შანსი ვერ გამოიყენა, ხოლო 55-ე წუთზე ასეთივე შანსი უკვე ალექსმა გაუშვა ხელიდან.

როგორც კი ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხორხე ფოსატი მიხვდა, რომ ბრაზილიელთა ზეწოლას აუცილებლად მეორე გოლი მოჰყვებოდა, კარლოს ბუენო დიეგო ფორლანით შეცვალა. ამ ცვლილების ბრალი იყო თუ სხვა მიზეზი, მაგრამ თამაში გათანაბრდა. გუნდებმა პრაქტიკულად შეწყვიტეს სახიფათო მომენტებით ერთმანეთის დაშინება და მთლიანად შორიდან დარტყმებით იქცევდნენ თავს. ურუგვაის ნაკრების შემადგენლობაში შორეული დარტყმებით სოსა გამოირჩეოდა. მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე კი სეზარის მზადყოფნა დელგადომაც შეამოწმა. ბრაზილიელთაგან ისევ ადრიანოს შეეძლო მორიგი გოლის გატანა.

ძირითადი დროის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაინც მსოფლიო ჩემპიონებს შეეძლოთ გამარჯვება, მაგრამ ჟულიო ბატიშტას დარტყმის შემდეგ მეკარე ვიერამ საიმედოდ დაიცვა საკუთარი კარი. პენალტების სერიაში გუნდებმა პირველი სამი დარტყმა ზუსტად შეასრულეს. შემდეგ კი სეზარმა ვისენტე სანჩესის დარტყმა მოიგერია. ბოლოს, 4:3-ზე, ბრაზილიის სასარგებლოდ, გუნდის საშტატო პენალტისტმა ალექსმა თავისი შანსი გამოიყენა.

დამარცხების მიუხედავად, ურუგვაელთა მწვრთნელი ხორხე ფოსატი გულგატეხილი არ ჩანდა: “ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ვამბობდი, რომ პერუში ჩვენი მიზანი ურუგვაული ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენა იყო. ვფიქრობ, ჩვენ ეს გამოგვივიდა. მგონია, რომ ჩვენი გულშემატკივარი გუნდით უნდა ამაყობდეს. ახლა მე მომავალს იმედით ვუყურებ. ბოლოს და ბოლოს, გვყავს გუნდის ბირთვი, რომელსაც შეუძლია, იბრძოლოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად”, - განაცხადა ფოსატიმ. შეგახსენებთ, რომ ფოსატიმ გუნდი აპრილში მას შემდეგ ჩაიბარა, რაც გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რამდენიმე უსუსური თამაში გამართა.

საინტერესოა, თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალში ის გუნდები გავიდნენ, რომლებსაც არავინ ელოდა, სამხრეთ ამერიკაში ფინალური წყვილი შეადგინა კონტინენტის ორმა საუკეთესო გუნდმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ ურთიერთპაექრობაში გაეთამაშებინათ რეგიონის უმთავრესი ჯილდო. “კოპა ამერიკას” წლევანდელი ფინალი პერუს დედაქალაქ ლიმაში 25 ივლისს გაიმართება.

ოლიმპიზმი

# სამარანჩის თვალით დანახული ათენი წარმატებულია



სამარანჩს ათენის იმედი აქვს.

ხუან ანტონიო სამარანჩს დიდი წარდგენა არ სჭირდება. ორი ათეული წლის განმავლობაში (1981-2000) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სავარძლიდან განაგებდა ოლიმპიურ მსოფლიოს და ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რამაც ოლიმპიური მოძრაობა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. არადა, სამარანჩის სოკ-ში მისვლა ორგანიზაციის ისტორიაში ყველაზე რთულ ხანას დაემთხვა - ოლიმპიური მოძრაობის კრიზისი და ფინანსური სიდუხჭირე. დღეს ოლიმპიური თამაშები ყველაზე მომგებიან სპორტულ ღონისძიებად ითვლება. თუმცა, ესპანელი მარკიზის სახელთან მარტო წარმატებები როდია დაკავშირებული. 90-იანი წლების მიწურულს სამარანჩის სახელი კორუფციულმა სკანდალებმა მოიცვა, უფრო სწორად, მისი ქვეშევრდომები კორუფციაში ამხილეს, თვითონ მშრალი ამოვიდა წყლიდან. სკანდალი კი იმის გამო ატყდა, რომ სოლტ ლეიკ სიტისთვის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის სტატუსი მიეკუთვნებინათ. მაგრამ ახლა, როდესაც ის აურზაური ჩამცხრალია და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსაც ახალი პრეზიდენტი, ბელგიელი ჟაკ როგი უდგას სათავეში, მომავალზე - კარს მომდგარ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ვილაპარაკოთ. უფრო სწორად, ამ საკითხზე ილაპარაკებს სამარანჩი, რომელთან გასაუბრების საშუალება BBC-ის ინტერნეტ-საიტის მეშვეობით ყველას ჰქონდა. ყველას შეეძლო, სოკ-ის ექსპრეზიდენტისთვის მისთვის საინტერესო კითხვა დაესვა, ოღონდ გარკვეული შეზღუდვით - შეკითხვები ათენის თამაშებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, თუმცა, რამდენიმე კითხვა სოლტ ლეიკ სიტიზეც დაუსვეს.

**- თქვენი აზრით, როგორ ჩატარდება ოლიმპიური თამაშები?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ათენის ოლიმპიური თამაშები წარმატებული იქნება. ოლიმპიადებს ყოველთვის აქვს როგორც სპორტული, ისე კულტურული საზომები. როდესაც თამაშებს საბერძნეთი მასპინძლობს, ამას ისტორიული ასპექტიც ემატება.

**- მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინათ პრობლემები იყო ბილეთების გაყიდვასთან, ოლიმპიური ობიექტების მზადყოფნასთან და ენერგომომარაგების საკითხებთან დაკავშირებით, მაინც გჯერათ, რომ ოლიმპიადა წარმატებული იქნება?**

- უნდა ვაღიარო, რომ პრესა არცთუ გულმოწყალე იყო. სულ ცოტა ხნის წინათ საინფორმაციო საშუალებები ირწმუნებოდნენ, რომ ოლიმპიური ობიექტები თამაშებამდე ვერ მოესწრებოდა.

ახლა, როდესაც ობიექტების მზადყოფნის საკითხი გადაწყვეტილია, ბილეთების ყიდვა-გაყიდვა გახდა აქტუალური.

ჩემი ინფორმაციით, ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებებზე (მძლეოსნობა, ცურვა, გახსნა-დახურვის ცერემონიალები) ყველა ბილეთი გაყიდულია. ბილეთები ბოლომდე არ გაიყიდა მხოლოდ ნაკლებად პოპულარულ სახეობებზე.

**- სოკ-ის მეთაურის თანამდებობაზე მუშაობისას თუ გქონდათ ისეთი მომენტი, როდესაც სკანდალების გამო გსურდათ გადადგომა?**

- არა. მაშინაც კი, როდესაც სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ორგანიზებასთან დაკავშირებით პრობლემები გვქონდა, არ მიფიქრია გადადგომაზე (შეგახსენებთ, რომ კორუფციის ბრალდებები იმ პირებს წაუყენეს, რომლებიც სოლტ ლეიკ სიტის თამაშების წინააღმდეგ პიარ-კამპანიით იყვნენ დაკავებულნი. კერძოდ, მოქმედებდა საგანგებოდ შექმნილი მილიონდოლარიანი ფონდი, რომლის მეშვეობით ეს უკანასკნელნი სოკ-ის პასუხისმგებელ პირებსა და მათ მეუღლეებს უძღვნიდნენ ძვირფას საჩუქრებს, აფინანსებდნენ მათი ოჯახის წევრთა მოგზაურობებს უცხოეთში, ეხმარებოდნენ სამუშაოზე მოწყობაში და მათი შვილების სასწავლებლებში მოწყობის ხარჯებსაც კი საკუთარ თავზე იღებდნენ.-რედ.). საბედნიეროდ, ეს საკითხი მოგვარდა. გარდა ამისა, შევძელით, შეგვეცვალა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურა, შეგვეცვალა მისი მუშაობის რეგლამენტი.

**- უკავშირდება თუ არა ეს სკანდალები იმას, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში თამაშებმა ბევრად კომერციული ხასიათი მიიღო?**

- რა თქმა უნდა. თამაშებზე ცოტა ფული არ ტრიალებს. ოლიმპიადების ორგანიზატორებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა იმ ქალაქის გასავითარებლად, სადაც ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს და, აქედან გამომდინარე, რეკლამაც გაუწიონ.

ჩვენ ამ პრობლემას შევეჯახეთ, რადგან სოკ-ის ზოგიერთმა წევრმა პროფესიული ეთიკის ნორმები დაარღვია. ყველაფერ ამის გამო მათ პასუხი აგეს - ზოგი დაითხოვეს, ზოგიც იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

**- როგორია სოკ-ის წევრთა ხელფასი?**

- სოკ-ის წევრთა ხელფასი შვეიცარიაში გამომუშავებული ხელფასის შესაბამისია. არა მგონია, ეს ხელფასები მსოფლიოში ყველაზე მაღალი იყოს, მაგრამ არც ყველაზე ნაკლებია. და მას იღებენ კომიტეტის ახალგაზრდა თანამშრომლები, რომლებიც სავსენი არიან ენთუზიაზმით, რომლებმაც იციან, რომ იოლი არაა პურის ფულის შოვნა და რომ ემსახურებიან მეტად საპატიო საქმეს.

**- ხომ არ გეშინიათ იმისა, რომ სპორტმა შეიძლება შეჯიბრების ხასიათი დაკარგოს, რადგან კომერციული ორგანიზაციების მხრიდან უდიდესი წნეხის ქვეშ არიან, ისევე როგორც ტელეტრანსლაციების უფლების გაყიდვასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გამო?**

- უნდა მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ სოკ-ს აქვს ფული, რომლითაც შეგვიძლია, დახმარება აღმოვუჩინოთ ყველა საერთაშორისო ფედერაციას, 200-ზე მეტ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომლებიც თამაშებში მონაწილეობისთვის დოლარსაც არ იხდიან.

**- შეუძლია თუ არა, ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდეს შიდსის ვირუსის მატარებელი სპორტსმენი?**

- რა თქმა უნდა. ყველას შეუძლია მონაწილეობა, ოღონდ უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ჩოგბურთი

# წინ საინტერესო თვენახევარია

სანდრო ნავერიანი

საჩოგბურთო სამყარო აგრძელებს არსებობას და მის მოყვარულებს თავს არ ავიწყებს. პრესტიჟული არა, მაგრამ რაღაც თავშესაქცევი ტურნირები მაინც იმართება.

ახლა მიმდინარეობს ATP-ის სერიის სამი ტურნირი, ავსტრიაში, შეერთებულ შტატებსა და ხორვატიაში. აქედან ყველაზე პრესტიჟული აშშ-ში, კერძოდ, ინდიანაპოლისში მიმდინარე ტურნირია. მისი შარშანდელი გამარჯვებული ამერიკელი ენდი როდიკია. ინდიანაპოლისის ტურნირის საპრიზო ფონდი 600,000 ამერიკულ დოლარს შეადგენს.

არც ავსტრიაში, კერძოდ, კიცბუელში მიმდინარე ტურნირია ხელწამოსაკრავი. შარშან აქ არგენტინელმა გილიერმო კორიამ გაიმარჯვა. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი დანარჩენ ორთან შედარებით გაცილებით დიდია - 800 000 ევრო, რომელიც ორჯერ აღემატება ხორვატიაში, ქალაქ უმაგში მიმდინარე ტურნირის საპრიზო ფონდს. ხორვატიის ტურნირზე დიდი საპრიზო ფონდი რომ არაა, არც არის გასაკვირი - ამ ქვეყანამ ხომ სულ რაღაც ათი წელიწადია, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ხორვატებმა მაინც შეძლეს და 395,000-ევროიან ტურნირს ატარებენ. ესეც ხომ საქმეა, თან, დიდი საქმე. ამ ტურნირში შარშან ესპანელმა კარლოს მოიამ გაიმარჯვა.




ამ ტურნირების შემდეგ ტორონტოში იწყება მასტერსის კლასის ტურნირი, რომელიც, წესით, დაძაბული და საინტერესო უნდა გამოდგეს. კანადის მასტერსზე ყველა წამყვანი ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას, გარდა იმათი, ვინც ტრავმირებულია. საერთოდ, ჩოგბურთის მოყვარულებს საინტერესო თვენახევარი ელით. ტორონტოს მასტერსის შემდეგ იწყება ცინცინატის მასტერსი, რომელიც ასევე ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს. ამ ყველაფრის შემდეგ კი იწყება ის, რაც ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება - ოლიმპიადა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ოლიმპიური ოქროს მოპოვების შანსი ირაკლი ლაბაძესაც აქვს. საქმე ის არის, რომ ოლიმპიური ოქროსთვის არ იბრძვის ბევრი ძლიერი ჩოგბურთელი, ასე რომ, ერთხელ ქართველებსაც გაგვიჩნდა შანსი...

მოკლედ

## ბექჰემის ბურთი გაიყიდა

ბურთი, რომელიც დევიდ ბექჰემმა პორტუგალიის ნაკრების კარში პენალტის ნიშნულიდან ააცდინა, ინტერნეტ-აუქციონზე 28 ათას ევროდ გაიყიდა. ბურთის მფლობელი გახდა კანადის მოქალაქე, რომლის ვინაობაც არ სახელდება. აუქციონის მსვლელობისას სხვადასხვა თანხა სახელდებოდა. მათ შორის 10 მილიონი ევროც. თუმცა, ბევრი წინადადება არასერიოზულად იქნა აღქმული და ანულირებული. ესპანელმა პაბლო კორალმა, რომელმაც ბურთი ტრიბუნაზე ჩაიგდო ხელში, ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთს უარი უთხრა, ბურთი 18 ათას ევროდ მიეყიდა. მან აუქციონი ინტერნეტის საშუალებით მოაწყო. მას შემდეგ ადამიანთა რიცხვმა, რომელთაც ინგლისელთათვის საბედისწერო ბურთის შეძენა განიზრახეს, 142-მდე მოიმატა. თუმცა, აუქციონის მსვლელობაში ყველაზე მაღალთანხიანი წინადადებები იგნორირებულ იქნა.

## კლუივერტი ალბიონზე

მომავალი სეზონის წინ "ნიუკასლ იუნაიტედმა" კიდევ უფრო გააძლიერა ისედაც ძლიერი თავდასხმა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "კაჭკაჭების" შავ-თეთრ ფორმაში გამოეწყობა ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდი პატრიკ კლუივერტი, რომელიც აქამდე ესპანეთის "ბარსელონას" ღირსებას იცავდა. 28 წლის ფორვარდმა ინგლისურ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ადრე იგეგმებოდა, რომ კლუივერტი ინგლისში ერთ წელიწადს იჯარის წესით გაატარებდა და შემდეგ, მდგომარეობიდან გამომდინარე, რობსონი გადაწყვეტდა, გაეგრძელებინა თუ არა ფეხბურთელთან თანამშრომლობა. ფეხბურთელმა ახალ კლუბში მიიღო 11 ნომერი, რომელიც გარი სპიდის "ბოლტონში" გადასვლის შემდეგ უპატრონოდ იყო მიტოვებული. ახლა ჰოლანდიელი თავდასხმაში პარტნიორობას გაუწევს ალან შირერს, კრეიგ ბელამისა და შოლა ამეობის.

"ყოველთვის ვოცნებობდი, პრემიერლიგის რომელიმე ძლიერ კლუბში მეთამაშა და ახლა, როგორც ხედავთ, ოცნება ამისრულდა. ალან შირერთან წყვილში თამაში ნებისმიერი ფორვარდისთვის პატივია. ალანისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. გასული სეზონი "ნიუკასლმა" მეხუთე ადგილზე დაასრულა. თუმცა, მიმაჩნია, რომ წლევანდელ სეზონში გუნდის უმთავრესი მიზანი ამ შედეგის გაუმჯობესება და ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად გამოსვლა იქნება", - განაცხადა პატრიკ კლუივერტმა.

პატრიკ კლუივერტმა "აიაქსში", "მილანსა" და "ბარსელონაში" გამართულ 279 მატჩში 133 გოლი გაიტანა. ამას გარდა, ფორვარდის ანგარიშზეა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში გამართულ 79 მატჩში 40 გოლი. თუმცა, შარშან კლუივერტმა ტრავმა მიიღო და, მართალია, დიკ ადვოკაატმა ის ევროპის ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანა, მაგრამ კლუივერტი ჰოლანდიის ნაკრებში ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელიც მინდორზე არ გამოსულა.

## ტაისონს ვიტალი კლიჩკოსთან ჩხუბი სურს

მაიკ ტაისონი აპირებს, რინგზე მსოფლიო ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო გამოიწვიოს. ამერიკელი მოკრივის მწვრთნელმა ფრედი როუჩმა განაცხადა, რომ ტაისონი კლიჩკოს წინააღმდეგ კიდევ ერთი საწვრთნელი ბრძოლის შემდეგ გამოვა. უახლოეს პერიოდში "რკინის მაიკს" მოუწევს დენი უილიამსთან შერკინება.

"კლიჩკო დღეისთვის უძლიერეს სუპერმძიმეწონოსან მოკრივედ მიიჩნევა, - განაცხადა როუჩმა, - ამიტომ მასთან შეხვედრამდე ჩვენ კიდევ რამდენიმე ბრძოლის გამართვა დაგვჭირდება. მე მსურს, რომ უილიამსთან ბრძოლის შემდეგ ტაისონმა უახლოეს მომავალში ერთი ბრძოლა კიდევ გამართოს. შემდეგ, თუ მაიკი ამ ბრძოლებში თავს გამოიჩენს, ჩვენ კლიჩკოსთან საბრძოლველად მოვემზადებით".

როუჩმა ტაისონის ვარჯიშის მიმდინარეობაზეც ისაუბრა. "ვცდილობთ, მაიკს დავუბრუნოთ სერიებით მუშაობის ჩვეულება, - თქვა მწვრთნელმა, - პროგრესი შეიმჩნევა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ხელშესახები არის. მაიკი კვლავ თავის ძალას ეყრდნობა. ჩვენ კი ვცდილობთ, ეს მუდმივი წვრთნის ხარჯზე ოდნავ გამოვასწოროთ. ყოველდღე კომბინაციებს ვამუშავებთ და თავის მოძრაობას ვხვეწთ".

მწვრთნელის თქმით, მისი აღსაზრდელი ყოველდღე 18 რაუნდს ატარებს და სირბილში გაძლიერებული რეჟიმით ვარჯიშობს. როუჩს მიაჩნია, რომ ახლა, მრავალი წლის შემდეგ, ტაისონი საუკეთესო ფორმაშია. "ის მიყვებოდა, რომ როცა სრულიად გაზარმაცდა, მაშინ ყველა მხარზე ხელს უთათუნებდა და ეუბნებოდა: "შესანიშნავია, მაიკ!" და ამ დროს ხმას არ იღებდა იმაზე, რასაც მაიკი სინამდვილეში აკეთებდა. პირადად მე არ ვაპირებ, მას მოდუნების უფლება მივცე. ამჯერად მაიკი სამი რაუნდის შემდეგ არ გამოიფიტება", - განაცხადა მწვრთნელმა.

TV-სპორტი

## პარასკევი. 23 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
06:30 NBA TV. სეზონი 2003-2004. "TORONTO RAPTORS" -"LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000-2001. მეოთხედფინალი. "გალათასარაი" - "რეალი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "FUTBOL MUNDIAL"
16:30 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
17:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "კიევო"
18:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000-2001. მეოთხედფინალი. "არსენალი" - "ვალენსია"
21:20 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "ჩარლტონი"
23:05 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "შალკე"
00:50 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:20 01:20-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "CLEVELAND CAVALIERS" - "DENVER NUGGETS"
05:30 NBA TV - წნეხის ქვეშ

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:25 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
11:15 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
11:45 კანადის თასი 1984. "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
12:15 "საუკუნის ათლეტები". "ამერიკული ლეგენდა". ჯესი ოუენსი
13:35 ფრენბურთი. მსოფლიო სერია. გრან-პრი გერმანიაში. ქალები. რუსეთი - აშშ
14:40 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა სამხრეთ კორეიდან
15:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:15 გასაბერი ნავებით რბოლა. "სანკტ პეტერბურგის ექვსი საათი"
17:15 "ტაილანდური კრივი"
18:15 ცხენოსანთა სამჭიდი. "მოსკოვის რეგიონის გუბერნატორის თასი"
19:30 "სპორტული გლობუსი" "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:00 "საუკუნის ათლეტები". "კალიფორნიული საოცრების საიდუმლო". რ. მეტაისი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
21:55 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
22:25 ფრენბურთი. მსოფლიო სერია. გრან-პრი გერმანიაში. ქალები. გერმანია - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ახალი ამბები
00:15 მაგიდის ჩოგბურთი. "Super Circuit" ინგლისში

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი
10:45 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
11:00 ცხენოსნობა. სუპერ ლიგა გერმანიაში
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
12:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
13:15 ფეხბურთი. ალპური თასი გერმანიაში. ფინალი
14:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
16:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
20:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
21:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება იტალიაში
22:00 აერობიკა. მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარეთში
3:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. გუნდური შეჯიბრება უნგრეთში
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:15 ქსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:45 ახალი ამბები
02:00 ბილიარდი. საერთაშორისო შეჯიბრება ჰოლანდიაში

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

განსაკუთრებული ტელეშოუ "ხალხის პირისპირ" [illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ ჰყავთ)

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადახდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული. მისი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
| --- | --- |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

[illegible]

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ორშაბათი 26.07

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი "პიკის საათი-2" (გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "მეოცნებენი". მთ. რ-ში: მაიკლ პიტი, ევა გრინი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **14.05** თეატრის 5 გაკვეთილი. დოკ. ფილმი. **15.30** გადაცემა შუქ-ჩრდილი. **16.25** დიდი სიამოვნება. მხ. ფილმი. რეჟისორი ფრანსის ჟირო. 1983. **19.05** დინების საწინააღმდეგოდ. დოკ. ფილმი. **23.00** გზა. "გაუმარჯოს თავისუფალ კვებეკს" დოკ. ფილმი. **24.25** საყვარლები. მხ. ფილმი. 1958.

### ПЯТ

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ვირტუალური გოგონა". მთ. რ-ში: ჩარლი კერტისი. **03.00** პაუზის გარეშე.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.20** სერიალი "რვაფეხა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.20** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.05** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **17.25** მუს. არჩევნები **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "რობინ ჰუდი" (12) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მე სამებას მეძახიან" (ტერენს ჰილი) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (განჲ.) **20.00** მხ. ფილმი "ხაჭირო ხალხი" (ალ პაჩინო) (15) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ჰონკონგის ლეგენდები" (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10, 20.50** მინისერიალი "მძინარე ველდაბლოხის ლეგენდა" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კონან დოილის ქრონიკები" **13.10** მხ. ფილმი "თოჯინა" (გ) (ედრიან ბროუდი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.10** სერიალი "ფიფქია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "ტყუპების ეფექტი" (15) (ჯეკი ჩანი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. ფილმი "მითიური რაინდები" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "უსაფრთხოების ზომები" (15)

### კავკასია

**12.00** ინდ. მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **18.00** სერიალი "მილედი" 20-21 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 17.20, 01.40** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი "რელიკვიების მაძიებელი" **10.10** თათმაში "უდაბნოს სამჭედლოები" **11.25, 01.10** ტვ-მარკეტი **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.15** მხ. ფილმი "24 საათი ქალის ცხოვრებიდან" (გ) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.50** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება" **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "ლამაზმანი მოსახვევში" (ა. მირონოვი) (გ)

### იბერია

26.07 **18.00** მინისერიალი "პედიატრები" 1-ლი ს. **19.50** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ვანდომის მოედანი" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.35** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი "ტეკს-ავერი" **10.10** მუსიკა **10.30** სათავგადასავლო ფილმი "უცხოპლანეტელი" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "პლუტო ბუში" **14.20** მუსიკა **14.25** თრილერი "ლეონი" **16.45** მულტფილმი "ლოლო და სტიჩი" **18.20, 03.55** მუსიკა **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** კომედია "თავდავიწყებით სიყვარული" **21.00** მხ. ფილმი "უფროსილდი ავტომობილი" **23.00** მხ. ფილმი "ინგლისელი პაციენტი" **02.00** ფილმი-ფანტასტიკა "მთილი" **04.15** თრილერი "პირადი მცველი ქალიშვილისთვის"

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20** Любовь Полищук в детективе **"Тайна "Черных дроздов" 11.10** Следствие ведет Колобков **11.40** Дисней-клуб: "Алладин" **12.10** Лидия Федосеева-Шукшина в фильме **"Сверстницы" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20** Алексей Гуськов в многосерийном фильме **"Подозрение". 1-я с. 16.30** Криминальная Россия. "Казанская бригада". 1-я серия **17.00** "Русская рулетка" **18.20** Смехопанорама **19.00 Сериал "Клон" 20.00** Жди меня **21.00** Время **21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 22.40** Криминальная Россия. "Монстр из Старожилова". 2-я серия **23.10** "Форс-мажор" **23.50 Детективный сериал "24 часа" 00.40 Фильм Алана Паркера "Приди и увидишь рай" 02.50 Фильм "Потери" 04.20 Сериал "Бадди Фаро" 05.05** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Средиземное море"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.45 Сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Женский взгляд". Карэн Шахназаров. **10.55** "Путешествия натуралиста". Египет. **11.25** Ток-шоу "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 00.20** "Сегодня" **12.30** Елена Яковлева в остросюжетном фильме **"ЮККА". 14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Амалия Мордвинова в сериале **"ОХОТА НА ЗОЛУШКУ". 1-я серия. 18.35** Протокол. **19.40** Владимир Меньшов в сериале **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 1-я с. 20.55** Валерий Дегтярь в сериале **"ЧУЖОЕ ЛИЦО". 1-я с. 22.00** "Страна и мир" **22.35 Сериал "ДЖЕЙК 2.0". 8-я серия. 23.40 Сериал "ЛЮБОВНЫЕ АВАНТЮРЫ". 4-я серия.**

## სამშაბათი 27.07

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "შინაბერა" (გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "მტერი ჩემი". მთ. რ-ში: ლუის ჰოსეტი, დენის ქუეიდი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.45(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** რომის იმპერიის ეპოქა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** ნისლიანი სანაპირო. მხ. ფილმი. რეჟისორი მარსელ კარნე. 1938. **15.30** საუბრები მედიცინის შესახებ. **16.45** გადაცემა: ეს მე გადამხდა თავს. **19.05** სამხრეთის ანარეკლი. **22.05** მეიჯნები. 1903 წელი. **23.10** რეპორტაჟი: კორუფციის წინააღმდეგ. **04.20** სიმენონი ტროპიკებიდან. ტელესერიალი.

### ПЯТ

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ყველაფერი შესაძლებელია შვილო". მთ. რ-ში: ჰიუ ლორი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლეგრის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქოფაქტორი" (12) **22.25** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ხელი არ ახლო თეთრ ქალს" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "საჭირო ხალხი" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "გულები ატლანტიდაში" (ე. ჰოპკინსი) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "აის ვენტურა" (ჯიმ კერი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "საათები" (მერილ სტრიპი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "მძინარე ველდაბლოხის ლეგენდა" **12.10** დეტ. სერიალი "კონან დოილის ქრონიკები" **13.10** მხ. ფილმი "პარკში ფეხშიშველი" (გ) (რ. რედფორდი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ფიფქია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** მინისერიალი "მოგზაურობა დედამიწის გულში" **21.45** დეტ. სერიალი "მკაცრი დროება" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ლაურელის კანიონი" (18) (კეიტ ბეკინსეილი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** "პალიტრა" **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "სახიფათო პროფესია" (გ)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 21-22 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

### იმედი

